



# რელიგია და მეცნიერება: დიאלოგი, კონფლიქტი თუ იზოლაცია?



შეფდგენელი:  
გიორგი თაყაიძე



**რელიგია და მეცნიერება:  
დიალოგი, კონფლიქტი თუ იზოლაცია?**

შემდგენელი: გიორგი თავაძე

**RELIGION AND SCIENCE:  
Dialogue, Conflict, or Isolation?**

Compiled by Giorgi Tavadze

თბილისი 2021 Tbilisi

**აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი**

**ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის  
ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი**

**EAST EUROPEAN UNIVERSITY**

**Varlam Cherkezishvili Centre for Interdisciplinary Studies**

რედაქტორი: მანანა სანაია, ფილოსოფიის დოქტორი

Edited by *Manana Sanaia*, PhD

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

Cover design and layout: *Giorgi Bagrationi*

გარეკანის გასაფორმებლად გამოყენებული სურათები მოძიებულია ინტერნეტში და არ არის დაცული საავტორო უფლებებით.

სურათებზე გამოსახულნი არიან:

ზემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ: ნიკოლაუს კოპერნიკი, ჯორდანო ბრუნო ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ: ჩარლზ დარვინი, ალბერტ აინშტაინი ცენტრში: რელიგიური სიმბოლოები და დედამინა.

საათის ისრის მიმართულებით ზემოდან მოცემულია შემდეგი რელიგიების სიმბოლოები: ქრისტიანობა, ბაჰაიზმი, სიქჰიზმი, ბუდიზმი, ჰინდუიზმი, ტაოიზმი, ისლამი, იუდაიზმი.

© გიორგი თავაძე, 2021

ISBN 978-9941-8-3544-5 (PDF)

**გიორგი თავაძე** – ფილოსოფიის დოქტორი (2013 წ.), აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი. მისი კვლევის სფეროებია: პოლიტიკისა და სამართლის ფილოსოფია, პოსტკოლონიური და პოსტ-ტოტალიტარული კვლევები, განათლების ფილოსოფია, პოლიტიკური სოციოლოგია, იდეების ისტორია, ფილოსოფიური გეოგრაფია, ადგილებისა და სივრცეების სოციოლოგია. გიორგი თავაძეს ქართულად თარგმნილი აქვს ფრიდრიხ ნიცშეს, ჯონ დიუისი, თომას პეინის, კარლ შმიტის, იმანუელ კანტის და სხვა მოაზროვნეთა ნაშრომები.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის  
ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის მიერ  
განხორციელებული გამოცემების სანახავად ეწვიეთ  
ცენტრის ვებ-გვერდს შემდეგ მისამართზე:

<https://eeu.edu.ge/portfolio/interdisciplinary-centre-publications/>



## სარჩევი

|   |     |
|---|-----|
| <b>გიორგი თავაძე – წინასიტყვაობა</b> . . . . .  | 7   |
| <b>მაიკლ სტენმარკი – ქრისტიანული რწმენისა</b><br>და მეცნიერების ურთიერთმიმართება . . . . .  | 11  |
| <b>სთივენ ბერი – თანამედროვე კოსმოლოგია</b><br>და ქრისტიანული თეოლოგია . . . . .  | 38  |
| <b>ფრანცისკო ხოსე აიალა – დარვინი და გონივრული</b><br>ჩანაფიქრის თეორია . . . . .   | 63  |
| <b>ჯეიმს ვანდერკამი – ძველი აღთქმის ტექსტები,</b><br>მათი დასახელებები და თარგმანები . . . . .                                      | 91  |
| <b>რაიმონდ სკუპინი, ქრისტოფერ დე კორსე და სხვ. – რელიგია</b><br>კულტურის ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან . . . . .                     | 109 |
| <b>გიორგი თავაძე – შეუძლია თუ არა მეცნიერებას,</b><br>სასარგებლო იყოს რელიგიისთვის?<br>კულტურის ანთროპოლოგიის პერსპექტივა . . . . . | 131 |
| <b>სახელთა საძიებელი</b> . . . . .  | 152 |
| <b>ცნებათა საძიებელი</b> . . . . .  | 156 |



## წინასიტყვაობა

რელიგიისა და მეცნიერების კვლევები საკმაოდ კომპლექსური სფეროა და ის მოიცავს ისეთ განსხვავებულ დისციპლინებს, როგორებიცაა მეცნიერების ისტორია, მეცნიერების ფილოსოფია, თეოლოგია, რელიგიის ისტორია, ბიოლოგია, ფიზიკა, კულტურის ანთროპოლოგია, რელიგიის სოციოლოგია და სხვ. ინტერდისციპლინური კვლევების ამ სფეროში მოღვაწე მკვლევრები ცდილობენ, პასუხი გასცენ შემდეგ შეკითხვებს: არის თუ არა რელიგია და მეცნიერება ერთმანეთთან თავსებადი? თუ ასეთი თავსებადობა შესაძლებელია, მაშინ როგორ არის ის შესაძლებელი? მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების რა მოდელები არსებობს და რა ფაქტორები უწყობს დროის მოცემულ მონაკვეთში მეცნიერებასა და რელიგიას შორის სპეციფიკური მიმართების წარმოქმნას? რამდენად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს რელიგიისა და მეცნიერების დიალოგი?

მეცნიერებამ თავისი „თანამედროვე“ კონტურები XVII საუკუნიდან მიიღო, ე. წ. „სამეცნიერო რევოლუციის“ შემდეგ. ახალ დრომდე ევროპაში მსოფლმხედველობის დომინანტურ ფორმას რელიგია წარმოადგენდა, რომელიც „ვერტიკალური“ ლეგიტიმაციის პრინციპს ემყარებოდა. ამ მოდელის თანახმად, ეკლესიის ძალაუფლება უშუალოდ ღმერთისგან მომდინარეობდა. აღნიშნული მოდელი წარმატებით გამოიყენებოდა პოლიტიკურ სფეროშიც. თუმცა, ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნამ ევროპაში ცოდნა-ძალაუფლების ახალი ცენტრის შექმნა გამოიწვია. ეკლესიის ავტორიტეტსა და ძალაუფლებას თანდათანობით სახელმწიფოს ძალაუფლება და ავტორიტეტი დაუპირისპირდა. მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად (წიგნის ბეჭდვის გავრცელება, რეფორმაცია, ტექნოლოგიური პროგრესი, სამრეწველო რევოლუცია და ა.შ.) ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო ვერტიკალური ლეგიტიმაციის მოდელის შესუსტებას.



XVIII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში მომხდარმა რევოლუციებმა მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის უფრო შემწყნარებლური გარემო შექმნა. ეს მომენტი საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან მეცნიერებს უკვე აღარ ემუქრებოდათ იმის საფრთხე, რომ საკუთარი იდეების საჯაროდ გაჟღერების შემთხვევაში მათ კოცონზე დანავადნენ ან შინაპატიმრობას მიუსჯიდნენ.

ამის შედეგი იყო XIX საუკუნეში მეცნიერული მსოფლმხედველობის განვითარება, სწორედ ამ პერიოდში იქმნება ის დისკურსი, ანუ ინფორმაციული ველი, რომელსაც ჩვენ ვუნოდებთ „მეცნიერულს“ თანამედროვე აზრით. ახალი მეცნიერული მსოფლმხედველობის დომინანტურ პოზიციას **მეთოდოლოგიური ნატურალიზმი** წარმოადგენდა, რომლის თანახმად, მეცნიერული კვლევა-ძიება მხოლოდ ემპირიულად დაკვირვებადი რეალობით უნდა შემოიფარგლოს. ზეგრძნობადი სამყაროს არსებობა-არარსებობის საკითხი მეცნიერების კომპეტენციის „მიღმა“ არსებულ საკითხად გამოცხადდა. უფრო და უფრო მზარდი სეკულარიზაციის ფონზე მეცნიერებს შორის გაჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ღიად უარყოფდნენ ზეგრძნობადი სამყაროს არსებობას (ასეთ მიდგომას **ონტოლოგიური ნატურალიზმი** ეწოდება).

ონტოლოგიური ნატურალიზმის მზარდმა ტალღამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოშვა რელიგიის „სიკვდილის“ მოლოდინი, თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა. XX საუკუნის განმავლობაში რელიგიამ გასაოცარი „აღორძინება“ განიცადა და მისი „სიკვდილის“ მომლოდინე თეორეტიკოსებს იმედები გაუცრუა. XXI საუკუნის სამყაროში რელიგიის როლი არანაკლებ მნიშვნელოვანია. ისევე, როგორც წინა საუკუნეში, დღესაც მრავალი წამყვანი მეცნიერი ცდილობს, მეცნიერებისა და რელიგიის „მორიგების“, მათი სრული შეუთავსებლობისა თუ ნაწილობრივი „გადაკვეთის“ შესახებ ისაუბროს. ყველა ძირითად მოდელს ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები. მეცნიერებისა და რელიგიის დინამიკური განვითარება და ურთიერთქმედება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის შემდგომი კვლევებისა და დისკუსიებისთვის.

კრებულში შესული ტექსტები ჩემს მიერაა თარგმნილი. სულ წარმოდგენილია ხუთი თარგმანი: უფსალის უნივერსიტეტის პროფესორი **მაიკლ სტენმარკი** თავის სტატიაში „ქრისტიანული რწმენისა და მეცნიერების ურთიერთმიმართება“ ამტკიცებს, რომ მეცნიერებასა და რელიგიას პრინციპულად განსხვავებული მიზნები აქვთ. დელავერის უნივერსიტეტის პროფესორი **სთივენ ბარი** სამყაროს შექმნის საკითხთან მიმართებაში მეცნიერული და ქრისტიანული პერსპექტივების თანხვედრაზე საუბრობს („თანამედროვე კოსმოლოგია და ქრისტიანული თეოლოგია“). დარვინის თეორიისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართება განხილულია კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის, **ფრანცისკო ხოსე აიალას** სტატიაში „დარვინი და გონივრული ჩანაფიქრის თეორია“. ნოტრ-დამის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯეიმს ვანდერკამი** თავის სტატიაში „ძველი აღთქმის ტექსტები, მათი დასახელებები და თარგმანები“ ძველი აღთქმის ტექსტებს ისტორიულ-კრიტიკულ ჭრილში განიხილავს. ტექსტში „რელიგია კულტურის ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან“, რომელიც სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობითაა შედგენილი, გადმოცემულია, თუ რა თავისებურებები ახასიათებს რელიგიის ანთროპოლოგიურ ანალიზს. ამრიგად, კრებულში წარმოდგენილი სტატიები და ტექსტები ერთმანეთს შინაგანად უკავშირდებიან და რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების შესახებ საინტერესო პერსპექტივებს გვთავაზობენ. დაბოლოს, ჩემს სტატიაში „მეუფლია თუ არა მეცნიერებას, სასარგებლო იყოს რელიგიისთვის? კულტურის ანთროპოლოგიის პერსპექტივა“ რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართება კონკრეტული დისციპლინის – კულტურის ანთროპოლოგიის – ჭრილშია განხილული. მადლიერებას გამოვხატავ ახალი საქართველოს უნივერსიტეტის (ფოთი) ქრისტიანული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიმართ, რომლებსაც 2016-2017 წლებში ვუკითხავდი ლექციებს. აღნიშნული კრებულის იდეა სწორედ ლექცია-სემინარებზე მათი აქტიურობისა და მათგან მიღებული ნაყოფიერი იმპულსების შედეგად გამიჩნდა.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე კრებული ხელს შეუწყობს ქართულ აკადემიურ სივრცეში სამეცნიერო დისკუსიებს მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების შესახებ. სამეცნიერო-ტექნოლოგიური ჰიპერპროგრესის ფონზე ძალზე აქტუალური ხდება მთელი რიგი საკითხები: აქვს თუ არა ხელოვნურ ინტელექტს ცნობიერება? თუ კი, მაშინ აქვს თუ არა მას სული? რა გამოწვევებს უქმნის თანამედროვე ნეირომეცნიერება რელიგიას? რა პასუხები აქვს ქრისტიანობას ევოლუციური ანთროპოლოგიის სწავლებაზე? ეს და სხვა მრავალი შეკითხვა რელიგიისა და მეცნიერების კვლევების, როგორც ინტერდისციპლინური სფეროს, დინამიკურობასა და აქტუალურობას ადასტურებს. იმედი მაქვს, რომ აღნიშნული კრებული თავის წვლილს შეიტანს ამ მეტად კომპლექსური სფეროს რეაქტუალიზაციაში და რომ ის საინტერესო იქნება არა მხოლოდ რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის, არამედ, სტუდენტებისთვის და, ასევე, მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

დაბოლოს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორს, ბ-ნ დავით ჩერქეზიშვილს, რომლის თანადგომითაც აღნიშნული კრებულის გამოცემა შესაძლებელი გახდა.

*გიორგი თავაძე*

*თბილისი, 7 ივნისი, 2021 წელი*

## ქრისტიანული რწმენისა და მეცნიერების ურთიერთმიმართება



**მაიკლ სტენმარკი (დაიბ. 1962 წ.)** – უფსალის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი რელიგიის ფილოსოფიის მიმართულებით.

მ. სტენმარკის აღნიშნული სტატია იხ. შემდეგ კრებულში:

M. Stenmark, “How to Relate Christian Faith and Science”, in: J. B. Stump, A. G. Padgett (eds.), *The Blackwell Companion to Science and Christianity*, Wiley-Blackwell, 2012, გვ. 84-94.

მერი მიჯლი<sup>1</sup> წერს:

„საკმაოდ გავრცელებულია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს უპირისპირდება. ბევრი ადამიანი თვლის, რომ ამ ბრძოლას უკვე ჰყავს გამარჯვებული; რომ მეცნიერებამ, გარკვეულწილად, უკუაგდო რელიგია და

---

1 მერი ბეატრის მიჯლი (დაიბ. 1919-2018 წწ.) – ინგლისელი ფილოსოფოსი. ასწავლიდა ნიუკასლის უნივერსიტეტში. იკვლევდა მეცნიერების ფილოსოფიას, ეთიკას, მორალის ფილოსოფიას, ცხოველთა უფლებებს. – მთარგმნ. შენიშვნა.

მის ნაცვლად მეფობს. ეს საკმაოდ უცნაური იდეაა, რადგან ის გულისხმობს, რომ მეცნიერებაც და რელიგიაც თითქოს ერთსა და იმავეს ესწრაფვიან. მაგრამ თუ რა უნდა იყოს ეს საერთო რამ, ნათელი არაა.“<sup>2</sup>

მიჯლის ორიენტაცია აქ სწორია, რადგან თუკი გვსურს, ერთმანეთს შევადაროთ და გავიგოთ მეცნიერებასა და რელიგიას (უფრო ზუსტად, მეცნიერებასა და ქრისტიანულ რწმენას) შორის არსებული მიმართება, საკმაოდ გონივრული სტრატეგია იქნება იმის გათვალისწინება, თუ რას ესწრაფვის ეს ორი წამოწყება, რომლებიც ადამიანური ცხოვრების საკმაოდ მნიშვნელოვან მომენტებს წარმოადგენენ. მამ ასე, რას ესწრაფვიან და რას ახორციელებენ მეცნიერება და ქრისტიანული რწმენა და რას სთავაზობენ ისინი იმ ადამიანებს, რომლებიც მათ წიაღში მოღვაწეობენ?

იმის გასაგებად, თუ რას ახორციელებს მეცნიერება და ქრისტიანული რწმენა (ან უფრო ფართოდ თუ ვიტყვით, რელიგია), მიზანშეწონილი იქნება, გავაანალიზოთ ამ ორი პრაქტიკის მიზნები ანუ ის, თუ რას ესწრაფვიან ისინი; ასევე, უნდა გავაანალიზოთ ის საშუალებებიც, რომლებსაც მეცნიერების ან რელიგიის სფეროში მოღვაწე ინდივიდები იყენებენ ამ მიზნების მისაღწევად. როდესაც ამ საკითხში კარგად გავერკვევით, მაშინ შევძლებთ იმის შეფასებას, თუ რა მიმართებაა მეცნიერებასა და რელიგიას შორის: ა). მათ მსგავსი მიზნები აქვთ და ამიტომ ერთმანეთს უპირისპირდებიან (**მეცნიერებისა და რელიგიის კონკურენტული მოდელი**); ბ). მათ სრულიად განსხვავებული მიზნები აქვთ (**მეცნიერებისა და რელიგიის ერთმანეთისგან დამოუკიდებლობის მოდელი**), თუ გ). მათი მიზნები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს (**მეცნიერებისა და რელიგიის კონტაქტის მოდელი**).

---

2 იხ. M. Midgley, *Science as Salvation: A Modern Myth and Its Meaning*. London: Routledge, 1992, გვ. 51.

## მეცნიერებისა და ქრისტიანობის მიზნები

პირველ რიგში, გადავდგათ ერთი ნაბიჯი უკან და ზოგადად ადამიანის მდგომარეობას ჩავუღრმავდეთ. რა პრობლემებს ვაწყდებით ჩვენი ცხოვრების განმავლობაში? გავიხსენოთ ჩვენი ვითარება. ადამიანები შემთხვევითი არსებები არიან: ჩვენი არსებობისა და განვითარებისთვის სხვა საგნებზე ვართ დამოკიდებული. ჩვენ ვაფასებთ ისეთ პრაქტიკებს, რომლებიც, ძალიან ზოგადად რომ ვთქვათ, გარკვეულ საქმეს გვიკეთებენ და რომელთა მეშვეობით ჩვენ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ვინარჩუნებთ. შესაბამისად, რელიგია და მეცნიერება ვაკუუმში როდი არსებობს. მეცნიერება და რელიგია, როგორც აქტივობები, ხორციელდება და ფასდება შეზღუდული რესურსების მქონე სასრული არსებების მიერ, რომლებსაც, საკუთარი აგებულებებისა და გარემოს გამო, გარკვეული მოთხოვნები აქვთ.

მაგალითად, ჩვენ ისეთი მოვლენები შეგვემთხვევა ხოლმე, რომლებსაც წინასწარ ვერ ვჭვრეტთ. ეს მოვლენები ზოგჯერ საფრთხეს უქმნის ჩვენს სიცოცხლესა და კეთილდღეობას. გარდა ამისა, ჩვენ ვსაჭიროებთ გარკვეულ მატერიალურ ნივთებს, რომელთა მოპოვებაც ყოველთვის ადვილი არაა (მაგალითად, საკვები, წამალი, სახლი, ხიდი, მანქანა). ასეთ ნივთებთან მიმართებით მეცნიერება ძალიან ღირებული წამოწყება აღმოჩნდა. ის ბუნების კონტროლის საშუალებას გვაძლევს. ხოლო თუკი ბუნების კონტროლს ვერ ვახერხებთ, მაშინ მეცნიერება გვეხმარება ბუნების მოვლენების წინასწარმეტყველებაში და გვასწავლის, თუ როგორ შევეგუოთ ჩვენთვის არასახარბიელო პირობებს. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებას **ტექნოლოგიური მიზანი** აქვს. ჩვენ ვაფასებთ მეცნიერებას იმდენად, რამდენადაც ის სასარგებლოა და გვეხმარება გარემომცველი სამყაროს მოვლენების წინასწარმეტყველებაში, მის შეცვლასა და კონტროლში. თუმცა, ბევრი მეცნიერი ფიქრობს, რომ მეცნიერებას სხვა მიზანიც აქვს, კერძოდ, ფიზიკური თუ სოციალური სამყაროს თეორიული გაგება და იქ მიმდინარე პროცესების შესახებ ცოდნის (სულ მცირე, დასაბუთებული

რწმენის მაინც) მოპოვება. მეცნიერებას არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ **ეპისტემოლოგიური მიზანიც** აქვს.

მაგრამ იმისთვის, რომ ვიცოცხლოთ და კარგად ვიყოთ, მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება როდია საკმარისი. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ, ასევე, სულიერ ანუ ექსისტენციალურ მოთხოვნილებებს. ამრიგად, ჩვენი კეთილდღეობა, ასევე, დამოკიდებულია ჩვენს უნარზე, გავუმკლავდეთ ტანჯვის, სიკვდილის, დანაშაულის ან უსაზრისობის ჩვენეულ გამოცდილებებს (ექსისტენციალური საკითხები). ჩვენ, ასევე, გვჭირდება იმის ცოდნა, თუ რა არის ჩვენთვის კარგი, თუ რას უნდა ვესწრაფოთ და თუ როგორ მოვიქცეთ სხვებთან მიმართებაში (მორალური საკითხები). ამ საკითხებთან მიმართებით რელიგია საკმაოდ მნიშვნელოვანია. ის საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ ეს ექსისტენციალური გამოცდილებები, შევაფასოთ ისინი და დაბრკოლებების გადალახვის მეშვეობით ვიპოვოთ გზა კეთილდღეობისაკენ. ამასთან ერთად, რელიგია იმასაც გვეუბნება, თუ რა არის ეს კეთილდღეობა. შეიძლება ითქვას, რომ რელიგიას აქვს როგორც **სოტერიოლოგიური**,<sup>3</sup> ასევე, **მორალური** მიზანიც.

ქრისტიანობას სურს, დაეხმაროს ადამიანებს იმის გაცნობიერებაში, რომ ჩვენ ვართ ცოდვილები, რომლებსაც სჭირდებათ ღმერთის პატიება და განახლება მისი მეშვეობით. ქრისტიანობა ცდილობს, ასწავლოს ადამიანებს, თუ როგორ იცხოვრონ მათ მართებულად სხვა ადამიანებთან და ღმერთთან მიმართებაში. ის ამოცანა, რომელიც ქრისტიანებმა იჭვირთეს საკუთარ თავზე, გულისხმობს ადამიანების დახმარებას იმისთვის, რათა მათ გაიგონ, რომ ღმერთს ჩვენ ვუყვარვართ, რომ მას სურს, გააკეთოს რაღაც ჩვენთვის, მაგრამ ის, ასევე, რაღაცას მოელის ჩვენგანაც.

ამრიგად, ქრისტიანობა (და ალბათ, ყველა სხვა რელიგიაც), სულ მცირე, მოიცავს: ა). **დიაგნოზს** იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანის ცხოვრების მთავარი ექსისტენციალური პრობლემა; ბ). იმის გაგებას, თუ რას გულისხმობს **იდეალური ადამიანური მდგო-**

3 სოტერიოლოგია – მოძღვრება ხსნის შესახებ. – მთარგმნ. შენიშენა.

**მარეობა** ანუ „სულიერი სიჯანსაღე“; გ). გამოსავალს ანუ **საშუალებას**: თუ როგორ შეიძლება გადაიჭრას ეს მთავარი პრობლემა, თუ როგორ შეიძლება ხსნა იქნეს მიღწეული ან რა წარმოადგენს ჩვენი „სულიერი დაავადების“ წამალს. რელიგიები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმდენად, რამდენადაც განსხვავებულია მათი დიაგნოზები, ადამიანური მდგომარეობის იდეალები და ექსისტენციალური პრობლემების გადაჭრის საშუალებები.

წინამდებარე ანალიზის თანახმად, საკმაო საფუძველი არსებობს საიმისოდ, რათა მეცნიერებისა და რელიგიის ერთმანეთისგან დამოუკიდებლობის მოდელს დაუჭიროთ მხარი. მეცნიერებასა და ქრისტიანობას განსხვავებული მიზნები აქვთ. შესაბამისად, ამ ორ პრაქტიკას შორის არ არსებობს თანაკვეთის სიბრტყე ან რაიმე სახის კონკურენცია. თუმცა, ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ჩვენ ორივე მათგანს ვსაჭიროებთ. ჰოლმს როლსტონი<sup>4</sup> მიიჩნევს, რომ „მეცნიერება არასოდესაა ამბის დასასრული, რადგან მეცნიერება ვერ ასწავლის ადამიანებს იმას, რისი ცოდნაც მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ: ეს არის ცხოვრების საზრისი და ის, თუ როგორ უნდა ვაფასებდეთ სიცოცხლეს.“<sup>5</sup> სთივენ ჯეი გოულდის<sup>6</sup> თანახმად, ჩვენ ეს მოდელი უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რათა გავიაზროთ მეცნიერების მიმართება ყველა რელიგიასთან. მისი აზრით, „მეცნიერების ქსელი ანუ მაგისტერიუმი<sup>7</sup> ემპირიულ

4 ჰოლმს როლსტონი (დაიბ. 1932 წ.) – ამერიკელი ფილოსოფოსი და თეოლოგი, კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) ემერიტუსი პროფესორი. თავის შრომებში იკვლევს გარემოს ეთიკის, მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხებს. – მთარგმნ. შენიშვნა.

5 იხ. H. Rolston, *Genes, Genesis and God*. Cambridge: Cambridge University Press, 1999, გვ. 161-162.

6 სთივენ ჯეი გოულდი (1941-2002 წწ.) – ამერიკელი პალეონტოლოგი და ევოლუციური ბიოლოგიის მკვლევარი, წერდა მეცნიერების საკითხებზე. – მთარგმნ. შენიშვნა.

7 მაგისტერიუმი – კათოლიკურ ეკლესიაში: ეკლესიის უფლებამოსილება, ასწავლოს ჭეშმარიტი მოძღვრება. გოულდთან ეს ტერმინი აღნიშნავს სფეროს, სადაც ესა თუ ის მოძღვრება/სწავლება ფლობს შესაბამის ინსტრუმენტებს/ხელსაწყოებს არსებული საკითხების გადასაჭრელად. – მთარგმნ. შენიშვნა.



სამყაროს მოიცავს: რისგან შედგება სამყარო (ფაქტები) და რატომ ფუნქციონირებს ის ასე (თეორია). რაც შეეხება რელიგიის მაგისტერიუმს, ის ეხება ყველაზე მნიშვნელოვან და მორალური ღირებულების მქონე საკითხებს. ეს ორი მაგისტერიუმი ერთმანეთს არ კვეთს. ამავე დროს, ისინი მთელ კვლევა-ძიებასაც არ ამოწურავენ.<sup>8</sup> ეს ორი განცალკევებული იურისდიქციაა და თითოეული მხარე თავისი ტერიტორიით უნდა დაკმაყოფილდეს.

იმ დებულების საპასუხოდ, რომლის თანახმად მეცნიერებისა და რელიგიის ერთმანეთისგან დამოუკიდებლობის მოდელი საუკეთესო საშუალებაა მეცნიერებასა და რელიგიას (ქრისტიანობის ჩათვლით) შორის არსებული მიმართების გასააზრებლად, სულ მცირე, ორი ალტერნატივა არსებობს. ედუარდ ოსბორნ უილსონის<sup>9</sup> მსგავსად, შესაძლოა ვამტკიცოთ, რომ სოცეროლოგიური მისია მეცნიერებამაც უნდა იტვირთოს. მეცნიერებას შეუძლია რელიგიის ჩანაცვლება დღეს თუ არა, ახლო მომავალში მაინც და მან ეს უნდა გააკეთოს. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია მეცნიერების სფეროს ისეთი განვრცობა, რომ მეცნიერება ჩვენს ახალ რელიგიად იქცეს. ამ არგუმენტის თანახმად, ტრადიციულმა რელიგიებმა ასპარეზი უნდა დათმონ, თუმცა რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებული მენტალური პროცესები დაპროგრამებულ მიდრეკილებებს განასახიერებენ, რომელთა კომპონენტები ტვინის ნერვულ აპარატში გენეტიკური ევოლუციის შედეგად, ათასობით თაობის მეშვეობით ინტეგრირდნენ.<sup>10</sup> ეს მიდრეკილებები ძლიერია და მათი აღმოფხვრა შეუძლებელია. ისინი ადამიანთა სოციალური ცხოვრების ცენტრში არიან მოქცეული. შესაბამისად, ჩვენ რელიგიის ჩამანაცვლებელი უნდა ვიპოვოთ და რა იქნება ამ მხრივ მეცნიერებაზე უკეთესი?

8 იხ. S. J. Gould, *Rocks of Ages: Science and Religion in the Fullness of Life*. New York: Ballantine Books, 1999, გვ. 6.

9 ედუარდ ოსბორნ უილსონი (დაიბ. 1929 წ.) – ამერიკელი ბიოლოგი და თეორეტიკოსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი. – *მთარგმნ. შენიშვნა*.

10 იხ. E. O. Wilson, *On Human Nature*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1978.

მეორე ალტერნატივა მიუთითებს, რომ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული რელიგიის ა), ბ) და გ) ელემენტები გულისხმობს დაშვებებს იმის შესახებ, რაც არსებობს. ამრიგად, რელიგია, ასევე, შეიცავს დ). **რწმენებს რეალობის აგებულების შესახებ**, ანუ სულ მცირე, იმ რწმენებს, რომლებიც ჭეშმარიტი უნდა იყოს იმისთვის, რათა 1. დიაგნოზი იყოს სწორი, 2. რელიგიურ-მა რიტუალებმა შეძლონ ფუნქციონირება და 3. შესაძლებელი იყოს იდეალური ადამიანური მდგომარეობის განხორციელება. ქრისტიანული რწმენის თანახმად, ჩვენი პრობლემა ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის ხატად და მსგავსად ვართ შექმნილები, ჩვენ შევცოდეთ ღმერთის წინაშე და ხსნა არის ის, რომ ღმერთი, იესო ქრისტეს მეშვეობით, მოგვიტევენ ჩვენ ამ შეცოდებას და განახლების საშუალებას გვაძლევს. მაგრამ იმისთვის, რათა ეს ხსნა ქმედითი იყოს, სულ მცირე, ის მაინც უნდა იყოს მართალი, რომ ღმერთი არსებობს, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა, რომ ჩვენ ღმერთის ხატად და მსგავსად ვართ შექმნილები, რომ ღმერთი შემოქმედია, რომ ღმერთს ვუყვარვართ ჩვენ და რომ მას ჩვენთვის მიტევენა სურს. აქედან თითქოს გამომდინარეობს, რომ არა მხოლოდ მეცნიერებას, არამედ ქრისტიანობასაც აქვს ეპისტემოლოგიური მიზანი, ანუ ის ცდილობს, რეალობის შესახებ ჭეშმარიტი დებულებების ჩამოყალიბებას. თუკი ეს ასეა, მაშინ რელიგიური პრაქტიკა როგორცაა ქრისტიანობა, ჩვენ რაღაც ჭეშმარიტს გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვინ არის ღმერთი, როგორია მისი მიზნები, რა მოიმოქმედა ღმერთმა, რას აფასებს ღმერთი და თუ რა მიმართებაში ვიმყოფებით ჩვენ ამ განზრახვებთან, ქმედებებთან და ღირებულებებთან.

თუმცა, მე ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობის ეს ეპისტემოლოგიური მიზანი სოტერიოლოგიურ მიზანს **ექვემდებარება**. სოტერიოლოგიური მიზანი ქრისტიანობის ეპისტემოლოგიურ მიზანს განსაზღვრავს. ეს ჭეშმარიტია, სულ მცირე, იმდენად, რამდენადაც ბევრი ქრისტიანი მხოლოდ თავისი რწმენის ჭეშმარიტების მტკიცებით როდი შემოიფარგლება (აქ შედის, მაგალითად, რწმენის გამომხატავი შემდე-

გი დებულებები: „ღმერთი არსებობს“, „ღმერთი სიყვარულია“, „სამყარო ღმერთმა შექმნა“). ამის ნაცვლად, მათ უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს ღმერთთან მართებული ურთიერთობის ქონა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, სინამდვილის ღვთაებრივი განზომილება თავიანთ ცხოვრებაში შეიტანონ. მრავალ ქრისტიანს სწამს, რომ ღმერთის გამოცხადება, მიუხედავად მისი არასრული ხასიათისა, მორწმუნეთა მოთხოვნილებებისთვის შესაფერის ცოდნას გვანვდის. მათთვის საკმარისია იმის ცოდნა, თუ რა არის აუცილებელი იმისთვის, რათა მათ იცხოვრონ ისეთი ცხოვრებით ღმერთთან მიმართებაში, როგორც საჭიროა. ეს მორწმუნენი მნიშვნელოვან ანუ საკვანძო ჭეშმარიტებებს ესწრაფვიან, ანუ ისეთ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ღმერთთან მათი მიმართების კონტექსტში სასარგებლო იქნება მათთვის.

მეცნიერთა ეპისტემოლოგიური მიზანია, ხელი შეუწყონ ფიზიკური და სოციალური სამყაროს უკეთ გაგებას, რაც საზოგადოების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. ანალოგიურად, ქრისტიანთა მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს მორწმუნეთა ერთობის გრძელვადიანი მიზნის – ღმერთის გაგების – ხელშეწყობა (იმდენად, რამდენადაც ამ ამოცანის განხორციელება შესაძლებელია ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფი არსებებისთვის). მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმულირება მეცნიერებასთან მიმართებაში ჩამოყალიბებული ფორმულირების მსგავსია, ვფიქრობ, რომ რელიგიის შემთხვევაში ის უფრო წინააღმდეგობრივი და ცოტათი დამაბნეველიც კია. ჩემი ვარაუდით, ეს ასეა იმიტომ, რომ ქრისტიანობაში უფრო მეტი ყურადღება გამახვილებულია ქრისტიანად **ყოფნაზე**, ღმერთის წინაშე **ცხოვრებაზე**. ქრისტიანული რწმენის ეპისტემოლოგიურ მიზანს სოტერიოლოგიური მოტივი აყალიბებს. შესაბამისად, ალბათ უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ქრისტიანობის ეპისტემოლოგიურ მიზანს წარმოადგენს ღმერთის შესახებ ცოდნის იმ ხარისხით გავრცელება, რამდენადაც ეს აუცილებელია იმისთვის, რათა ადამიანებს წარმატებული რელიგიური ცხოვრება ჰქონდეთ (აქ იგულისხმება ცოდნა იმის

შესახებ, რომ ღმერთი არის სიყვარული, რომ ღმერთს ჩვენი გამოსყიდვა სურს, თუ როგორ ახორციელებს იგი ამას და ა.შ.).

ამრიგად, საკვანძო განსხვავება ქრისტიანობისა და მეცნიერების ეპისტემოლოგიურ მიზნებს შორის ისაა, რომ მეცნიერება ესწრაფვის სოციალური და ფიზიკური სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ზრდას, ხოლო ქრისტიანობა ცდილობს, გაზარდოს თითოეული მორწმუნის ცოდნა იმდენად, რომ მათ შეძლონ ნაყოფიერი რელიგიური ცხოვრების წარმართვა. ქრისტიანობის ეპისტემოლოგიური მიზნის ხელშეწყობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მაქსიმალურად ბევრი ადამიანის რელიგიური ცოდნის გარკვეულ საფეხურამდე ზრდას (სულ მცირე, იმ საფეხურამდე, რამდენიც საჭიროა ხსნისთვის). აქ არ არის საჭირო, როგორც ეს მეცნიერებაშია, ბუნებისა და საზოგადოების შესახებ არსებული ცოდნის საზღვრების მაქსიმალური გაფართოება.

თავიანთი ეპისტემოლოგიური მიზნის მისაღწევად მეცნიერები განსხვავებულ პრობლემებზე მუშაობენ. ისინი სპეციალიზდებიან და შესაბამისად, მეცნიერების შიგნით არსებობს შრომის დანაწილება. უფრო მეტიც, მეცნიერები ცდილობენ, განსხვავებულ კვლევით ჯგუფებში შემავალი ინდივიდებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ მათ მიერ განვითარებული თეორიები და აღმოჩენილი მონაცემები. ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს არა მხოლოდ მეცნიერთა თანამშრომლობა, არამედ მათ შორის არსებული კონკურენციაც, რაც სხვა მკვლევართა შრომების კრიტიკული განხილვის შესაძლებლობას ქმნის და მეცნიერებს ამგვარი აქტივობებისკენ უბიძგებს. თავის მხრივ, მეცნიერებმა იციან, რომ მათი შრომებიც, შესაძლოა, ასეთი კრიტიკული განხილვის საგანი გახდეს. ამიტომაც, ისინი ცდილობენ ისეთი ნაშრომების შექმნას, რომლებიც ასეთ კრიტიკას გაუძლებენ.

რაც შეეხება რელიგიას, აქ კრიტიკული შეფასების პროცესი სრულიად განსხვავებულად წარმოებს და მას ნაკლებად სისტემური ხასიათი აქვს. ამ პრაქტიკაში საკვანძო საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ადეკვატურია დღეს ქრისტიან

მორწმუნეთა წინა თაობების მიერ განვითარებული საშუალებები (მეცნიერული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მეთოდები) ღმერთთან კონტაქტის დასამყარებლად, რამდენად აძლევენ ისინი მორწმუნეებს წარმატებული ქრისტიანული ცხოვრების საშუალებას და ეხმარებიან თუ არა სხვა ადამიანებს ქრისტიანებად გახდომაში. თუკი ეს საშუალებები ვერ ახორციელებენ აღნიშნულ ამოცანებს, მაშინ საჭიროა მათი გაუმჯობესება და გარკვეული აზრით თვით რადიკალურად შეცვლაც კი.

მეცნიერული და ქრისტიანული პრაქტიკების ტელეოლოგიებს<sup>11</sup> შორის არსებული განსხვავება საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიაზროთ, თუ რატომ გამოიყურებიან ქრისტიანული ჟურნალები მეცნიერული ჟურნალებისგან ასე განსხვავებულად. მაგრამ აკადემიური თეოლოგიური ჟურნალები მეცნიერული ჟურნალებისგან მკვეთრად არ განსხვავდებიან (ყოველ შემთხვევაში, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული ჟურნალებისგან). როგორ შეიძლება ეს აიხსნას? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რელიგია და თეოლოგია ანგარიშშიუცემლად ერთ სიბრტყეში არ უნდა მოვაქციოთ. აკადემიური თეოლოგიის მიზანი უფრო ახლოს დგას მეცნიერების მიზანთან (დღეს, ალბათ, ეს უფრო მოკრძალებულადაა გამოხატული), ვიდრე რელიგიის მიზანთან. კერძოდ, ეს მიზანი გულისხმობს რელიგიური საკითხების შესახებ ზოგადად ჩვენი ცოდნის ან დასაბუთებული რწმენების გაზრდას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, თუ რელიგიის შიგნით არსებულ რომელ პრაქტიკას ვადარებთ მეცნიერებას. ეს იმიტომ, რომ მართალია, რომ როგორც რელიგია, ასევე, მეცნიერება სოციალური პრაქტიკებია, რომლებსაც ადამიანები ახორციელებენ, მეცნიერება რაღაც უფრო მეტია. ის დისციპლინათა ერთობლიობაა. იმისთვის, რათა ადამიანმა დაიწყოს მოღვაწეობა, მაგალითად, ბიოლოგიაში, ფიზიკაში ან ფსიქოლოგიაში, მას ესაჭიროება საგანგებო განსწავლა და სააზროვნო უნარების განვითარების უფრო მაღალი დონე, ვიდრე ეს საჭიროა

---

11 ტელეოლოგია – მოვლენათა ახსნა იმ მიზნებზე მითითებით, რომლებსაც ისინი ემსახურებიან. – *მთარგმნ. შენიშვნა.*

რელიგიის სფეროში. მართლაც, ბევრი ქრისტიანი ამტკიცებს, რომ მათი რელიგიური პრაქტიკის შემადგენელ ნაწილად ყოფნა საერთოდ არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ სააზროვნო კომპეტენციებს. ქრისტიანად გახდომა მხოლოდ რწმენის აქტად განიხილება. ასე რომ, მეცნიერება არის საკმაოდ თეორიული ანუ ინტელექტუალური ნამონყება კოგნიტურად კარგად განვრთნილი ინდივიდებისთვის, ხოლო ქრისტიანობა ისეთი აქტივობაა, რომელშიც ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება სურვილის არსებობის შემთხვევაში. ამრიგად, მეცნიერებაში არაფერია ისეთი, რაც ჩვეულებრივი ქრისტიანი მორწმუნეების ანალოგიური იქნება. ამ მიზეზით, ზოგჯერ უკეთესია, თუკი რელიგიურ პრაქტიკას შევადარებთ არა მეცნიერულ, არამედ ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკას.

ზოგიერთი ქრისტიანი, კერძოდ, თეოლოგები, ამ მხრივ, შესაძლოა, მეცნიერებთან ერთად, ერთ კონტექსტში განვიხილოთ. ამრიგად, ქრისტიანობა მხოლოდ თეოლოგიის ფორმითაა მეცნიერების მსგავსი ინტელექტუალური საქმიანობა. ამ კუთხით მეცნიერებასა და ქრისტიანულ რწმენას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, როდესაც განვიხილავთ, ერთი მხრივ, მეცნიერებასა და ქრისტიანობას, ხოლო მეორე მხრივ, მეცნიერებასა და ქრისტიანულ თეოლოგიას შორის არსებულ მიმართებას. თუკი უფრო ზოგადად ვიტყვით, რელიგია და თეოლოგია ურთიერთშენაცვლებად აქტივობებს არ წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შევაფასოთ მეცნიერებისა და რელიგიის ერთმანეთისგან დამოუკიდებლობის მოდელი. მისი მომხრეების პასუხი ამჯერად, შესაძლოა იყოს ის, რომ თუნდაც იმ შემთხვევაში, თუკი მეცნიერებასა და ქრისტიანობასაც ეპისტემოლოგიური მიზნები აქვთ, მათი მიზანია, გვითხრან ჭეშმარიტება განსხვავებული საგნების ან სინამდვილის განსხვავებული ასპექტების შესახებ. შესაბამისად, ჭეშმარიტების შესახებ ამ განცხადებებს შორის არ შეიძლება იყოს კონტრაქტი ან რაიმე სახის თანაკვეთა.

ეს პასუხი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც ჩვენ **აპრიორულად** ვერ გვეცოდინება, რომ კონტაქტი შეუძლებელია. პირიქით, ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, შესაძლებელია თუ არა ეს. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, შესაძლებელია ისეთი შემთხვევების დადგენა, სადაც ეს კონტაქტი რეალურად ხორციელდება. მაგალითად, ერთი მხრივ, ტრადიციული იუდეურ-ქრისტიანული შეხედულების თანახმად, პირველი ადამიანები, ადამი და ევა, ედემის ბაღში შეიქმნენ. მაგრამ ევოლუციის თეორია უპირისპირდება იდეას, რომლის თანახმად არსებობდა სამოთხე, სადაც არ იყო დაპირისპირება, სიკვდილი და ტანჯვა. ამ თეორიის თანახმად, ჩვენ ადრეული, ნინარეადამიანური არსებების შთამომავლები ვართ. შესაბამისად, ცოდვით დაცემის ტრადიციული თეორია რეინტერპრეტირებას საჭიროებს. მეორე მხრივ, რობერტ რაიტი<sup>12</sup> ამბობს, რომ „ადამიანის ბინიერი ბუნებისა და „თავდაპირველი ცოდვის“ იდეა, რომელიც ჯონ სტიუარტ მილმა [და თანამედროვე სოციალური მეცნიერების მრავალმა სხვა წარმომადგენელმა] მასხრად აიგდო, ასე ხელალებით უკუგდებას არ იმსახურებს.“<sup>13</sup> ცოდვისკენ მიდრეკილება, ბოროტების ჩადენა ან ეგოისტურობა, შესაძლოა, ჩვენი ბუნების ფატალური ნაკლოვანება იყოს, რასაც სოციალური ინჟინერიით<sup>14</sup> ვერ აღმოვფხვრით. რაიტის აზრით, ეს ისეთი რამაა, რისი დადასტურებაც ევოლუციურ ფსიქოლოგიას შეუძლია. არის თუ არა მაშინ ეს ქრისტიანული იდეა ისეთი რამ, რომლის გამყარებაც, სულ მცირე, შეზღუდულად მაინც, ევოლუციური ფსიქოლოგიის თეორიებითაა შესაძლებელი? ჯონ თ. მალენის აზრით, ეს შესაძლებელია. იგი მიიჩნევს, რომ თავდაპირველი ცოდვის შესახებ არსებული მოძღვრების განსხვავებული ვერსიებიდან, რომლებსაც იგი ჩამოთვლის, ერთი ვერსიის გარდა, ყველა

---

12 რობერტ რაიტი (დაიბ. 1957 წ.) – ამერიკელი ჟურნალისტი. – მთარგმნ. შენიშვნა.

13 იხ. R. Wright, *The Moral Animal*. London: Abacus, 1996, გვ. 13.

14 სოციალური ინჟინერია – სოციოლოგიური მეთოდების გამოყენება კონკრეტული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. – მთარგმნ. შენიშვნა.

დანარჩენი, შესაძლოა, „ეპისტემოლოგიურად უფრო სარწმუნო გახდეს, თუკი ინდივიდის რწმენის სტრუქტურას ევოლუციური ფსიქოლოგია დაემატება.“<sup>15</sup>

მეორე მხრივ, ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, ჯორჯ გეილორდ სიმფსონი<sup>16</sup> და სთივენ ჯეი გოულდი), სავარაუდოდ, იმ პოზიციას იზიარებს, რომლის თანახმად, ევოლუციის თეორია გულსხმობს სამყაროს, რომელსაც მიზანი არა აქვს; რომ კაცობრიობა მიზნის არმქონე და ბუნებრივი პროცესის შემთხვევითი შედეგია. გოულდი წერს: „უზარმაზარ სამყაროში Homo sapiens-ი „ნამდვილად პანანინა“ არსებაა, ერთობ წარმოუდგენელი ევოლუციური მოვლენა, რომელიც საყოველთაო მიზნის საკვანძო მომენტს ნამდვილად არ წარმოადგენს.“<sup>17</sup> თუკი სიცოცხლის ფირს უკან გადავახვევდით და თავიდან ჩავრთავდით, სავარაუდოდ, რაღაც სახის ცხოველებს მივიღებდით, მაგრამ ისინი არანაირად არ იქნებოდნენ ადამიანების მსგავსნი. ეს იდეა უპირისპირდება ქრისტიანულ რწმენას, რომლის თანახმად სამყაროს, კერძოდ კი ადამიანის არსებობას, საზრისი ანუ მნიშვნელობა აქვს. როგორ ვიქნებით ღმერთის მიერ „დაგეგმილები“, თუკი ერთობ წარმოუდგენელ და შემთხვევით ევოლუციურ მოვლენას წარმოვადგენთ? თუმცა, სხვა მეცნიერები (მაგალითად, ქრისტიან დე დიუვი<sup>18</sup> და საიმონ ქონვეი მორისი) ამტკიცებენ, რომ სიცოცხლე სულაც არ არის შემთხვევითი ქაოსი, რომ მას გარკვეული მიმართულება აქვს. გონიერი სიცოცხლის არსებობა გარდაუვალია. ქონვეი მორისი მიიჩნევს, რომ „რამდენჯერაც არ უნდა ჩავრთოთ ფირი, ბოლოს ყოველთვის ერთი და იგივე შედეგს მივიღებთ.“<sup>19</sup>

15 იხ. J. T. Mullen, "Can Evolutionary Psychology Confirm Original Sin?", *Faith and Philosophy*, 24 (2007), გვ. 269.

16 ჯორჯ გეილორდ სიმფსონი (1902-1984 წწ.) – ცნობილი ამერიკელი პალეონტოლოგი. – მთარგმნ. შენიშვნა.

17 იხ. S. J. Gould, *Rocks of Ages: Science and Religion in the Fullness of Life*, გვ. 206.

18 ქრისტიან დე დიუვი (1917-2013 წწ.) – ბელგიელი ციტოლოგი და ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. – მთარგმნ. შენიშვნა.

19 იხ. S. Conway Morris, "Evolution and the Inevitability of Intelligent Life", in:



ამრიგად, თითქოს საკმარისი საფუძველი არსებობს იმისთვის, რათა მხარი დაუჭიროთ არა მეცნიერებისა და რელიგიის ერთმანეთისგან დამოუკიდებლობის, არამედ მეცნიერებისა და რელიგიის კონტაქტის მოდელს (იმის მიუხედავად, შესაძლებლად მიგვაჩნია თუ არა აღნიშნული დებულებებისა და იდეების ერთმანეთთან მორიგება). მაგრამ რამდენად ინტენსიური კონტაქტი არსებობს მეცნიერებასა და რელიგიას შორის, დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულად როგორი სახის რწმენები აქვთ ქრისტიან მორწმუნეებს.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას კონკურენტულ მოდელზე ანუ იმ იდეაზე, რომლის თანახმად მეცნიერება და რელიგია ერთსა და იმავე მიზანს ესწრაფვიან და ამ პროცესში ერთმანეთს უპირისპირდებიან? არსებობს თუ არა არგუმენტი, რომელსაც ამ მოდელის მომხრეები ჩემს არგუმენტს დაუპირისპირებენ? საკმაოდ გავრცელებული პასუხი იქნებოდა **სციენტისმი** აღიარება და იმის მტკიცება, რომ მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია სინამდვილის შესახებ ჭეშმარიტი (მოჩვენებითისგან განსხვავებული) ცოდნის მოპოვება.<sup>20</sup> მაგალითად, მეცნიერების უსაზღვრო ძალაუფლებაზე საუბრისას პეტერ ეთქინსი<sup>21</sup> აცხადებს, რომ „არ გვაქვს საფუძველი, დაუშვათ, რომ მეცნიერება ვერ განიხილავს არსებობის ყოველ ასპექტს. მხოლოდ რელიგიური ადამიანები (რომელთა შორის მოვიაზრებ არა მხოლოდ ცრურწმენებით შეპყრობილთ, არამედ არასათანადოდ გათვითცნობიერებულ ადამიანებსაც) იმედოვნებენ, რომ ფიზიკური ანუ გრძნობადი გამოცდილებების სამყაროში არსებობს ბნელი კუთხე-კუნჭული, რომლისთვისაც ნათლის მოფენის იმედი მეცნიერებას არასოდეს უნდა ჰქონდეს.“<sup>22</sup>

---

P. Harrison (ed.), *The Cambridge Companion to Science and Religion*. Cambridge: Cambridge University Press, 2010, გვ. 150.

20 სციენტისმი განმარტება აღნიშნულ წინადადებაშივეა მოცემული. – *მთარგმნ. შენიშვნა*.

21 პეტერ ეთქინსი (დაიბ. 1940 წ.) – ინგლისელი ქიმიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი 2007 წლამდე. – *მთარგმნ. შენიშვნა*.

22 იხ. P. Atkins, “The Limitless Power of Science”, in: J. Cornwell (ed.), *Nature’s Imagination*. Oxford: Oxford University Press, 1995, გვ. 125.

რადგან ეპისტემოლოგიურ ფუნქციას მეცნიერება ასრულებს, ქრისტიანობა (ან ნებისმიერი სხვა რელიგია) აღნიშნულ ფუნქციას ვერ განახორციელებს. მეცნიერება, სავარაუდოდ, ვერ შეასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომლებსაც რელიგია ასრულებს, თუმცა კოგნიტურ სფეროში არსებობს კონკურენცია და აქ გამარჯვებული მეცნიერებაა. მეცნიერების მიღმა შესაძლოა იყოს ხსნა, მაგრამ არა ცოდნა.

თუმცა, სციენტიზმი ბევრ პრობლემას წარმოშობს.<sup>23</sup> ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც სციენტიზმი აწყდება, ისაა, რომ მეცნიერება დაახლოებით XVII საუკუნიდან იწყებს განვითარებას. რთულია იმის თქმა, თუ ზუსტად როდის წარმოიშვა ის თავისი თანამედროვე ფორმით, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერება კაცობრიობის ისტორიის ასპარეზზე ჯერ კიდევ ახალბედა მოთამაშეა. მაშინ რა შეიძლება ითქვას იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ცხოვრობდნენ მეცნიერული მეთოდის (უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მეთოდების ერთობლიობის) და ამ მეთოდის საფუძველზე XVII საუკუნის შემდეგ განვითარებული ცოდნის ჩამოყალიბებამდე? ნუთუ მათ საერთოდ არაფერი იცოდნენ? როგორც ჩანს, სციენტიზმი გულისხმობს, რომ მეცნიერების გაჩენამდე ცოდნა საერთოდ არ არსებობდა, რომ მეცნიერული მეთოდის აღმოჩენამდე ადამიანებს არ შეეძლოთ რაიმეს ცოდნა საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს შესახებ. მაგრამ არის კი ასეთი თვალსაზრისი გონივრული? ამის საპირისპიროდ მიმაჩნია, რომ ადამიანებმა, რომლებიც, ვთქვათ 10 000 წლის წინათ ცხოვრობდნენ, ბევრი რამ იცოდნენ მრავალი რამის შესახებ. წარმოვიდგინოთ ადამიანები, რომლებიც ათი ათასი წლის წინ კოცონის ირგვლივ სხედან სადღაც აფრიკაში. მათ იცოდნენ, რომ მათ უნდა მოეპოვებინათ საკვები იმისთვის, რათა გადარჩენილიყვნენ; რომ ჯონს (ან რაც არ უნდა ყოფილიყო მისი სახელი) უყვარდა მარია; რომ ჯონის მშობლები აღარ იყვნენ ცოცხლები და რომ სადღაც, მახლობელ ბუჩქებში, საშიში ცხოველები ბინადრობდნენ, რომლებისთვისაც უმჯობე-

23 იხ. M. Stenmark, *Scientism: Science, Ethics and Religion*. Aldershot: Ashgate, 2001, გვ. 18-33.

სი იყო, კაცს თავი აერიდებინა. ჯონმა იცოდა, რომ ფიქრობდა მისი ძმის, ბილის შესახებ, რომელიც სანადიროდ იყო წასული. ამ ხალხმა, ასევე, იცოდა, რომ ვილაც ადამიანებს შეიძლება ენდო, ხოლო ვილაცეებს – არა. გარდა ამისა, მათ დანამდვილებით იცოდნენ კიდევ ბევრი სხვა რამ. რა თქმა უნდა, მეცნიერების განვითარების შემდეგ, ჩვენ **უფრო მეტი** ვიცით ფიზიკური სამყაროს შესახებ, ვიდრე ადრეული პერიოდის ადამიანებმა იცოდნენ. მიუხედავად ამისა, ჩემი თეზისი ასეთია: ადამიანებს ჰქონდათ ცოდნა მეცნიერების განვითარებამდე. შესაბამისად, არ არსებობს საკმაო საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ მხოლოდ მეცნიერება გვაძლევს ცოდნას. აქედან, ასევე, გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მეცნიერება საერთოდ არ განვითარდებოდა, ჩვენ მაინც ბევრი რამ გვეცოდინებოდა.

უფრო მეტიც, არსებობს ბევრი რამ, რაც უნდა ვიცოდეთ იქამდე, ვიდრე მეცნიერების შესწავლას მოვკიდებდეთ ხელს ან მეცნიერულ ცოდნას ჩამოვყალიბებდეთ. ეს იმიტომ, რომ მეცნიერული ცოდნა ცოდნის სხვა წყაროებზეა დამოკიდებული. მეხსიერების მაგალითი საკმარისი იქნება. მე მახსოვს, რომ ანაზე ვარ დაქორწინებული, რომელიც 1986 წელს შემეყვარდა; რომ დღეს სციენტისების შესახებ ვწერ. მე უბრალოდ კი არ მნამს ამ დებულებების, არამედ მიმაჩნია, რომ **ვიცი**, რომ ეს ასეა. სინამდვილეში, მე უფრო დარწმუნებული ვარ ამ დებულებების ჭეშმარიტებაში, ვიდრე იმაში, რომ ევოლუციის თეორია ან დიდი აფეთქების თეორია ჭეშმარიტია. თუმცა, მეხსიერებაზე დამყარებული რწმენების მეცნიერული დასაბუთება შესაძლებლად არ მიმაჩნია. პირიქით, იმისთვის, რათა მეცნიერული ჰიპოთეზა განავითარონ და გარკვეულ მონაცემებთან მიმართებაში მისი შემოწმება შეძლონ, მეცნიერებს უნდა ახსოვდეთ, მაგალითად, ჰიპოთეზის შინაარსი, ადრეული ცდების შედეგები და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ის, რომ ისინი მეცნიერები არიან და თუ სად მდებარეობს მათი ლაბორატორიები.

თუმცა, სციენტისების ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ის საკუთარ საფუძველს უთხრის ძირს. რომელ მეთოდებზე მიგვითითებს, მაგალითად, ბიოლოგია, ქიმია ან ფიზიკა იმისთ-

ვის, რათა დაამტკიცოს, რომ ჭეშმარიტია შემდეგი დებულება: „ერთადერთი ჭეშმარიტი სახის ცოდნა, რომელიც შეიძლება გვექონდეს, მეცნიერული ცოდნაა“? ამისთვის ნამდვილად არ გამოდგება ის მეთოდები, რომლებიც მეცნიერებს ელექტრონების, პროტონების, გენების, გადარჩენის მექანიზმებისა და ბუნებრივი შერჩევის აღმოჩენასა და ახსნაში ეხმარება. ამის მიზეზი არ არის ის, რომ აღნიშნული დებულების შინაარსი საკმაოდ ვინრო, საკმაოდ განყენებული ან ისტორიულად საკმაოდ შორსაა იმისთვის, რათა მეცნიერებამ მისი ჭეშმარიტების მნიშვნელობის<sup>24</sup> (ან შესაძლებლობის) დადგენა შეძლოს. საქმე ისაა, რომ ამ ტიპის რწმენები მეცნიერული კვლევის საგანს არ წარმოადგენს. შეხედულება, რომლის თანახმად, მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია მოგვანოდოს ცოდნა რეალობის შესახებ, ცოდნის თეორიას ეკუთვნის. შესაბამისად, ეს ფილოსოფიის საკითხია და არა მეცნიერების. მაგრამ თუკი ეს ფილოსოფიური საკითხია, მაშინ ჩვენ ვერ გვეცოდინება, ჭეშმარიტია თუ არა დებულება: „ერთადერთი ჭეშმარიტი სახის ცოდნა, რომელიც შეიძლება გვექონდეს, მეცნიერული ცოდნაა“, რადგან ამ შემთხვევაში არამეცნიერული სახის ცოდნა გვექნებოდა<sup>25</sup>. ამრიგად, სციენტში, როგორც ასეთი, არათანმიმდევრულია.

ზემოთქმულის გათვალისწინებით იქმნება შთაბეჭდილება, რომლის თანახმად მეცნიერებასა და ქრისტიანულ რწმენას შორის არსებულ მიმართებას ყველაზე კარგად მეცნიერებისა და რელიგიის კონტაქტის მოდელი ხსნის.

---

24 ჭეშმარიტების მნიშვნელობა: ამ შემთხვევაში ჭეშმარიტება ან მცდარობა. – მთარგმნ. შენიშვნა.

25 რადგან ინგლისური science ქართულად „მეცნიერებად“ ითარგმნება, ამან, შესაძლოა, წარმოშვას გაუგებრობა, რომ ფილოსოფია არაა მეცნიერება. თუმცა, science, ძირითადად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს აღნიშნავს. შესაბამისად, ფილოსოფია მეცნიერებაა, მაგრამ არა ისეთი, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებია. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ დაკვირვებისა და შემონახვის საბუნებისმეტყველო მეთოდები ძველ საბერძნეთში სწორედ ფილოსოფიის წიაღში ჩაისახა და განვითარდა. – მთარგმნ. შენიშვნა.

## მეცნიერების და ქრისტიანობის ეპისტემოლოგიები

რამდენად უნდა განსაზღვრავდეს მიზნებს შორის განსხვავება მეცნიერებისა და ქრისტიანობის ეპისტემოლოგიებს? რელიგიისა და მეცნიერების ეპისტემოლოგია ერთნაირად შეიძლება განისაზღვროს. ჩემი აზრით, ისინი შემდეგი ტიპის მცდელობებად უნდა განისაზღვრონ:

- იმის გააზრება და ახსნა, თუ როგორ ხორციელდება რწმენის (მეცნიერებაში, როგორც წესი, თეორიის) ჩამოყალიბება და რეგულირება რელიგიისა და მეცნიერების ფარგლებში;
- იმის შეფასება, არის თუ არა ეს რწმენები და რეგულაციები მისაღები და რამდენად შესაძლებელია მათი მეშვეობით ადამიანური ცხოვრების ამ სფეროებში წარმატებული შემეცნებითი აქტივობის განხორციელება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ეს რწმენები და რეგულაციები არ არის მისაღები, მაშინ
- რელიგიური ან მეცნიერული რწმენების ჩამოყალიბებისა და რეგულირების ალტერნატიული გზის შეთავაზება.

მაგალითად, ქრისტიანობის შემთხვევაში ამის განხორციელება შესაძლებელია იმ ნორმებისა თუ სტანდარტების ჩამოყალიბებით, რომლებიც იგულისხმება იმ პროცესებში, რომელთა მეშვეობით ადამიანები აყალიბებენ, ცვლიან ან უარყოფენ ქრისტიანულ რწმენებს; ასევე, ამ ნორმების კრიტიკული შედარებით სხვა ნორმებთან (მეცნიერების, ყოველდღიური ცხოვრების, პოლიტიკის და ა.შ. სფეროებიდან).

უნდა განისაზღვრებოდეს თუ არა რელიგიის ეპისტემოლოგია მეცნიერების ეპისტემოლოგიით? შესაძლებელია ან უნდა იყოს თუ არა მეცნიერებასა და ქრისტიანულ რწმენას შორის კონტაქტი ეპისტემოლოგიურ დონეზე? მოკლედ შევხები ორ საკითხს, რომლებიც ასეთი ტიპის შეკითხვების დასამის დროს იჩენენ თავს.

უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მეცნიერებასა და ქრისტიანობას შორის მეთოდოლოგი-

ური უწყვეტობა არსებობს, რომელიც მსგავსი ახსნითი მოდელის ქრილში შეიძლება იქნეს გააზრებული. კერძოდ, საუბარია **დასკვნაზე, რომელსაც საუკეთესო ახსნამდე მიყვავართ** (მას ზოგჯერ „აბდუქციას“ უწოდებენ). ამ მოდელის საზრისი დაახლოებით ასეთია: ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომელიც, თუკი ის ჭეშმარიტი აღმოჩნდება, სხვა ახსნებთან შედარებით, ყველაზე უკეთ ხსნის არსებულ მონაცემებს.

ფილიპ ქლეითონი და სთივენ ქნეფი წერენ:

„ამ პერსპექტივის მიხედვით, ბევრი ქრისტიანული რწმენა პოტენციური ახსნაა: ისინი გვეუბნებიან, თუ რატომ არსებობს ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც ახსნას საჭიროებენ. ისინი, ასევე, გვიხსნიან გარკვეულ ფაქტებს, რომლებიც ადამიანთა არსებობას ეხება. როდესაც მე მათი მჯერა, მე მწამს, რომ ისინი უკეთ მიხსნიან ფაქტებს, ვიდრე სხვა ამხსნელი ჰიპოთეზები, რომლებიც ჩემთვისაა ცნობილი.“<sup>26</sup>

ართურ ფიქოქი იმონებს და ეთანხმება ქლეითონსა და ქნეფს, რომელთა თანახმად, რაციონალურობის ყველაზე უფრო შესაფერისი თეორია მეცნიერული და რელიგიური რწმენების შესაფასებლად არის „საუკეთესო ახსნის“ მოდელი, რომელიც მეცნიერების ფილოსოფიიდანაა აღებული.<sup>27</sup>

საუკეთესო ახსნის მოდელს, როგორც რაციონალურობის თეორიას, შესაძლოა, თავისი ღირსებები ჰქონდეს მეცნიერულ კონტექსტში, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის რელიგიურ კონტექსტში გამოდგეს. ეს კი თანხმობაშია იმასთან, რომ რელიგიის ეპისტემოლოგიური მიზანი სოტერიოლოგიური მიზნითაა განსაზღვრული. თუკი ქრისტიანების უმთავრეს მიზანს ღმერთთან მართებული ურთიერთობის დამყარება წარმოადგენს, მაშინ ეს პრაქტიკა მოვლენათა ახსნასა და წინას-

---

26 იხ. P. Clayton, S. Knapp, “Rationality and Christian Self-Conceptions”, in: W. M. Richardson, W. J. Wildman (eds.), *Religion and Science: History, Method and Dialogue*. London: Routledge, 1996, გვ. 134.

27 იხ. A. Peacocke, *Paths from Science towards God*. Oxford: Oneworld, 2001, გვ. 29.

წარმეტყველებას კი არ გულისხმობს, არამედ ღმერთთან შეხვედრის შედეგად ადამიანთა ცხოვრების გარდაქმნას. ღმერთის რწმენა ქრისტიანებისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის არსებითია არა სამყაროსა და სიცოცხლის ფაქტების ახსნისთვის, არამედ ხსნისთვის და თაყვანისცემისა და ლოცვის პრაქტიკებისთვის. ჩემი აზრით, ქრისტიანული რელიგიური პრაქტიკის მთავარი შეკითხვა ასეთია: „როგორ შეგვიძლია ღმერთთან დამოკიდებულების გაუმჯობესება და როგორაა შესაძლებელი, რომ ხსნის გზა გასაგები და მისაღები გავხადოთ არამორწმუნეთათვის?“ ეს განსხვავდება მეცნიერული პრაქტიკის მთავარი შეკითხვისგან: „როგორ შეგვიძლია გავუმჯობესოთ ფიზიკურ და სოციალურ სამყაროში არსებული მოვლენების ჩვენეული ცოდნა და უფრო უკეთ გავაკონტროლოთ ისინი?“ შესაბამისად, საუკეთესო ახსნის მოდელი სულაც არ არის ადეკვატური თეორია რელიგიური რაციონალურობის შესახებ.

თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საუკეთესო ახსნის მოდელს თეოლოგიაში ვერ გამოვიყენებთ; რომ ის არ შეიძლება იყოს იმ სტრატეგიის ნაწილი, რომლის მიზანია, არამორწმუნეებს რელიგიურ პრაქტიკაში ჩართვისკენ უბიძგოს. თეოლოგიაში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა აკადემიურ დისციპლინაში, შესაძლებელია საუკეთესო ახსნის მოდელის გამოყენება. ალბათ, ის დამახასიათებელიცაა იმ მეთოდოლოგიისთვის, რომელიც საერთო უნდა იყოს თეოლოგიისთვის, ჰუმანიტარული, სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის. აპოლოგეტიკაში საუკეთესო ახსნის მოდელი შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს უფრო ფართო კონტექსტში, რომლის მიზანი იმის ჩვენებაა, რომ განსხვავებული ტიპის ფაქტები ქრისტიანობას უფრო განამტკიცებენ, ვიდრე ათეიზმს ან ნატურალიზმს.<sup>28</sup> მეორე ალტერნატივა მაშინაა

---

28 ნატურალიზმი – ფილოსოფიური თეორია, რომლის თანახმად რეალობა ბუნებით „ამოიწურება“ და ის „ზეზუნებრივ“ ელემენტებს არ შეიცავს. ნატურალიზმის თანახმად, მეცნიერული მეთოდი უნდა გამოიყენებოდეს რეალობის ყველა ასპექტის (ადამიანის სულის ჩათვლით) გამოსაკვლევად. – მთარგმნ. შენიშვნა.

შესაძლებელი, თუკი, როგორც ვამტკიცებდი, ღმერთისადმი რწმენითა და თაყვანისცემით აღსავსე ცხოვრება ზოგიერთი ფაქტის ქვეშარიტად მიჩნევას გულისხმობს.

თუმცა, რელიგიური რაციონალურობა მეცნიერული და თეოლოგიური რაციონალურობებისგან განსხვავებული რამ უნდა იყოს. ის შესაძლოა, დავახასიათოთ, როგორც „აგენტის რაციონალურობა“ (*agent-rationality*), ხოლო მეცნიერებასა და თეოლოგიაში არსებული რაციონალურობა უფრო „მაყურებლის რაციონალურობის“ (*spectator-rationality*) მსგავსია (რაციონალურობის ეს ფორმები ქვემოთაა განსაზღვრული).

მეცნიერებისა და ფილოსოფოსებისთვის რელიგიური რაციონალურობის განხილვა წმინდად თეორიულ ქრილში საფრთხის შემცველია. აქ არსებობს იმის რისკი, რომ ისინი ისე განიხილავენ საკითხს, თითქოს რელიგიური საკითხების განხილვა დიდად არ განსხვავდებოდეს მეცნიერული საკითხების განხილვისგან. რიჩარდ დოკინსი<sup>29</sup> ამბობს, რომ „როდესაც რელიგიურ თეორიებს მეცნიერულ თეორიებად მივიჩნევ, მათ პატივს ვცებ [...] მიმაჩნია, რომ ღმერთი ერთ-ერთი კონკურენტული ახსნა სამყაროსა და ცხოვრებაში არსებული ფაქტების შესახებ.“<sup>30</sup> იგი რელიგიის რაციონალურობას ამ დაშვებების საფუძველზე განიხილავს. ეთქინსი საუბრობს „თეისტურ და მეცნიერულ ახსნათა“ განსხვავებული „სტილების“ შესახებ; იმის თაობაზე, თუ რისი ახსნა შეუძლია მეცნიერებას და რას ვერ ხსნის რელიგია; იგი თვით „მეცნიერების ამომწურავ კომპეტენტურობაზეც“ კი მიუთითებს. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე მორწმუნეები არარაციონალურები, გაუთვითცნობიერებლები და გონებრივად არც თუ ისე განვითარებულიები არიან.<sup>31</sup>

რელიგიისა და რაციონალურობის შესახებ ასეთი ტიპის მსჯელობა ხშირად შეიცავს ორ პრობლემატურ დაშვებას. პირვე-

---

29 რიჩარდ დოკინსი (დაიბ. 1941 წ.) – ცნობილი ინგლისელი ბიოლოგი და მწერალი. – მთარგმნ. შენიშვნა.

30 იხ. R. Dawkins, "A Reply to Poole", *Science and Christian Belief*, 7 (1995), გვ. 46-47.

31 იხ. P. Atkins, "The Limitless Power of Science", გვ. 124 და 132.



ლი: იგულისხმება, რომ რაციონალურად მისაღები რელიგიური რწმენა, არსებითად, არის რწმენა, რომელიც გამართლებულია მისი ამხსნელი ძალით და იმ ფუნქციით, ჭეშმარიტების დადგენას რომ უკავშირდება. რელიგიური პრაქტიკის შესაფერისი მიზანი ასეთ შემთხვევაში გაიგება, როგორც ცალსახად ეპისტემოლოგიური. შესაბამისად, „რელიგიური მორწმუნე“, რომლის რწმენებზეცაა საუბარი, მხოლოდ ეპისტემოლოგიური არსება გამოდის (ანუ ისეთი არსება, რომლის ერთადერთი საზრუნავი ისაა, რომ სწამდეს რაც შეიძლება მეტი ჭეშმარიტება და რაც შეიძლება ნაკლები მცდარი დებულება). მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ნამდვილი რელიგიური მორწმუნეები (ქრისტიანები თუ არაქრისტიანები) არ არიან მხოლოდ ეპისტემოლოგიური არსებები. ასეთ არსებებად ყოფნის მცდელობა მათი მხრიდან არარაციონალური იქნებოდა. ეს იმიტომ, რომ ისინი (როგორც ყველა ჩვენგანი) სამყაროში ცხოვრობენ. ასეთი სახის ვითარებაში მათ ესაჭიროებათ ისეთი რწმენები და აქტივობები, რომლებიც მათთვის გარკვეულ საქმეს ასრულებენ. შესაბამისად, ისინი აფასებენ ამ რწმენებსა და აქტივობებს.

მეორე: ეს, ასევე, იმას ნიშნავს, რომ რელიგიურ საკითხებში საქმე არ ეხება მხოლოდ იმას, თუ როგორია ზოგიერთი რწმენა – ჭეშმარიტი თუ ამხსნელი ძალის მქონე; ან კიდევ იმას, თუ როგორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ გარკვეული არგუმენტების შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორი ცხოვრების წესით უნდა ვიცხოვროთ.<sup>32</sup> ეს უბრალოდ გადანყვეტილების მიღებას არ ნიშნავს. საქმე ეხება **ცხოვრების წესის** მიღებას ან უარყოფას. ამ არჩევანს რეალური, ცოცხალი ადამიანები სამომავლოდ ვერ გადაადებენ. ჩვენ ახლა უნდა ვიცხოვროთ ასე ან სხვაგვარად. ამრიგად, როდესაც ადამიანები, თავიანთი რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, სარისკო გადანყვეტილებებს იღებენ, ეს გადანყვეტილებები რაციონალურად გამართლებულია (თუმცა, სამეცნიერო და ფილოსოფი-

32 ამრიგად, მეორე (პრობლემატური) დაშვება გულისხმობს, რომ რელიგიაში მთავარია ის, თუ როგორია ზოგიერთი რწმენა – ჭეშმარიტი თუ ამხსნელი ძალის მქონე; ან კიდევ ის, თუ როგორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ გარკვეული არგუმენტების შესახებ. – *მთარგმნ. შენიშვნა.*

ურ ლიტერატურაში, „მორწმუნე ადამიანი“, უმეტესწილად, არ იქნება გამართლებული მსგავს შემთხვევაში). ასე რომ, ის რაც ასეთ არსებას რაციონალურად სწამს რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ დაგვეხმარება, რადგან ჩვენ სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

მაგრამ არჩევანი იმის შესახებ, მივიღოთ თუ არა რელიგიური რწმენა, იმ სტილის აზროვნებაში, რომელსაც ეთქინსი და დოკინსი განასახიერებენ, არსებითად (სრულიად თუ არა), **თეორიულ** არჩევანად განიხილება: რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, როდესაც საქმე ეხება გარკვეულ არგუმენტებს, რომლებიც ამტკიცებენ ან უარყოფენ ღმერთის არსებობას ან ნებისმიერ სხვა რამეს, რისიც მორწმუნეებს სწამთ? არის თუ არა ეს არგუმენტები სათანადოდ დაფუძნებული და სანდო? ასეთ შემთხვევაში რაციონალურობის პარადიგმად მეცნიერება მიიჩნევა. ერთგვარი გამარტივების შემთხვევაში, მეცნიერული არჩევანის გაკეთების ვითარება შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს: მეცნიერი ან მეცნიერთა ჯგუფი გარკვეული მოვლენის (მაგალითად, სინათლის სიჩქარე ან განამარხებული ცხოველები) ახსნას ცდილობს. ამ მოვლენის ასახსნელად ისინი განსხვავებულ ჰიპოთეზებს ავითარებენ. მეცნიერები გულდასმით იკვლევენ განსხვავებული ჰიპოთეზების მხარდამჭერ მტკიცებულებებს. უნდა მიიღონ თუ არა მათ ჰიპოთეზა X ან Y? თუ მესამე, Z ჰიპოთეზა უნდა განავითარონ? შესაძლოა, მტკიცებულებები არ იყოს ცალსახა და ნათელი, რის საფუძველზეც მეცნიერები გადადებენ გადაწყვეტილების მიღებას. ისინი სახლებში დაბრუნდებიან ერთი-ორი დღით ან სულაც შვებულებას აიღებენ იმისთვის, რათა მოგვიანებით მიიღონ გადაწყვეტილება ჰიპოთეზის არჩევის შესახებ.

მოქმედებენ თუ არა ეს მეცნიერები რაციონალურად? ბევრი რამ გვიბიძგებს იქეთკენ, რომ ეს მართლაც ასეა. არაგონივრული იქნება უსარგებლო სარისკო გადაწყვეტილების მიღება, თუკი გაქვს საშუალება, დაიცადო და უკეთ გაერკვე საქმის არსში, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდე. ამრიგად, მეცნიერული რაციონალურობა, დიდწილად, **მაყურებლის რაციონალურობის**

ტიპისაა, ანუ აქ საქმე ეხება იმას, თუ როგორ შეუძლია ადამიანს, გონივრულად გამოიყენოს თავისი კოგნიტიური რესურსები ისეთ ვითარებაში, როდესაც მისგან არ მოითხოვენ გადაწყვეტილების მიყისიერ მიღებას იმის შესახებ, თუ რა უნდა სწამდეს მას ან როგორ უნდა იმოქმედოს. მაყურებლის რაციონალურობა ინდივიდს საშუალებას აძლევს, სამომავლოდ გადადოს გადაწყვეტილების მიღება, ან სულაც თავი შეიკავოს მსჯელობისგან.

შესაძლებელია თუ არა მაშინ არჩევანთან დაკავშირებული რელიგიური და მეცნიერული კონტექსტის ასეთი გაიგივება? საკმაო საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ეს ასე არ ჩავთვალოთ. განა მორწმუნეები ისეთ ვითარებაში არ არიან, სადაც მათ რაღაც უნდა გააკეთონ? მათ უნდა აირჩიონ ცხოვრების გზა; ისინი უნდა შეეცადონ ექსისტენციალურად მნიშვნელოვან გამოცდილებებთან გამკლავებას. გარდა ამისა, ისინი რაღაც-ნაირად უნდა გაუმკლავდნენ სიკვდილს, დანაშაულს, გაუცხოებას და შექმნან მიტევებისა და კეთილგანწყობის წინაპირობები, რაც მათ ცხოვრების საზრისის დანახვაში დაეხმარება. განა რელიგიური ძიება **გარდაუვალი ექსისტენციალური საკითხი** არ არის და არა თეორიული გადაწყვეტილება, რომლის გადადებაც შეიძლება? შეკითხვას „უნდა მწამდეს თუ არა ღმერთის?“ სვამს ადამიანი, რომელიც ისეთ ვითარებაში იმყოფება, როდესაც მან უნდა იმოქმედოს და გადაწყვეტილება მიიღოს. ამ ტიპის არჩევანს ადამიანები სამომავლოდ ვერ გადაადებენ. ჩვენ ახლა უნდა ვიცხოვროთ ან ასე, ან სხვაგვარად. თუკი გონებით ვერ გადავწყვეტთ, მაშინ გულისთქმას მივყვებით. ამ არჩევანს ვერც თავს ავარიდებთ და ვერც სამომავლოდ გადავდებთ. ასე რომ, რელიგიური რაციონალურობის სათანადო შეფასება მოითხოვს იმ ფაქტის გათვალისწინებას, რომ ამ ადამიანებმა რაღაც უნდა მოიმოქმედონ, მათ ცხოვრების წესი უნდა აირჩიონ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგიური რაციონალურობა, არსებითად, აგენტის რაციონალურობაა, ანუ თუ როგორ შეუძლია ადამიანს, გონივრულად გამოიყენოს თავისი კოგნიტიური რესურსები ისეთ ვითარებაში, როდესაც მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა უნდა სწამდეს

მას ან როგორ უნდა იმოქმედოს და როდესაც შეუძლებელია გადანყვეტილების მიღების სამომავლოდ გადადება ან მსჯელობისგან თავის შეკავება.

რამდენად მნიშვნელოვანია ეს განსხვავება რელიგიურ (თეოლოგიის გამოკლებით) და მეცნიერულ პრაქტიკებში არსებულ რაციონალურობებს შორის? ამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ მაგალითი სხვა სფეროდან. დავუშვათ, რომ ზამთრის მინურულს, ერთ დღეს ვინდელნთან<sup>33</sup> მდინარის ყინულზე ვთევზაობ. რალაც მიზეზით ყინული ტყდება და მე ყინულის ნატეხზე აღმოვჩნდები, რომელიც ნელ-ნელა დნება. ყინულის ნატეხი, რომელზეც მე ვდაგავარ, ჩაუვლის ისეთ ადგილს, სადაც ყინული მყარი ჩანს, მაგრამ მე ვაცნობიერებ, რომ საეჭვოა, რომ ასე შორს გადავხტე. უფრო დიდი ალბათობით, ცივ წყალში ჩავვარდები. იძულებული ვარ, გადანყვეტილება მივიღო, თანაც სწრაფად. გადავხტე თუ უკეთეს შესაძლებლობას დაველოდო? საქმე ისაა, რომ ამ შეკითხვაზე ვერ გავცემთ ადეკვატურ პასუხს, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მე იძულებული ვარ, მივიღო გადანყვეტილება იმის შესახებ, თუ რა გავაკეთო და რა ვირწმუნო. სავარაუდოდ, პასუხი განსხვავებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც გადანყვეტილების მყისიერი მიღება საჭირო არ იქნებოდა. ასეთ დროს რაციონალური იქნებოდა გადახტომისგან თავის შეკავება მაშინაც კი, თუკი იარსებებდა სულ მცირედი ეჭვი ნახტომის შესახებ. ამის ნაცვლად, გონივრული იქნებოდა დაფიქრება და სხვა ალტერნატივების განხილვა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთ ვითარებაში, როდესაც უნდა მივიღოთ გადანყვეტილება იმის შესახებ, თუ რისი ვირწმუნოთ და რა გავაკეთოთ, **სარისკო გადანყვეტილების** მიღება რაციონალურია. ეს ვითარება განსხვავდება იმ ვითარებისგან, როდესაც ჩვენი არ მოქმედების დროის ფაქტორი, როდესაც ჩვენი მოქმედების თავისუფლება შეზღუდული არაა და როდესაც სარისკო გადანყვეტილების მიღება რაციონალური არ არის. თუკი გადანყვეტილების მიღებას ზედმეტად გავა-

33 ვინდელნი – ადგილი შვედეთში. – მთარგმნ. შენიშვნა.

ჭიანურებთ, მაშინ წყალში დავიხრჩობით, ან ჩვენი ქორწინება დაინგრევა ან კიდევ ჩვენს ადგილს სამსახურში სხვას შესთავაზებენ. შესაბამისად, ჩვენ ვერ გავუიგივებთ აგენტის რაციონალურობას მაყურებლის რაციონალურობას: მოქმედების და რწმენის პირობები ამ ორ შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავებულია. ამრიგად, რელიგიური რაციონალურობის სათანადო გააზრება მოითხოვს იმის გათვალისწინებას, რომ რელიგიური ძიება ისეთ საკითხს ეხება, რომელსაც ადამიანები თავს ვერ აარიდებენ და რომელიც გადაუდებელია. ასე რომ, რელიგიური რაციონალურობის ანალიზი არაადეკვატურია, თუკი მხედველობაში არ იქნება მიღებული ის გარემოება, რომ მორწმუნეებმა რაღაც უნდა **გააკეთონ**, მათ ცხოვრების გზა უნდა აირჩიონ. რელიგიური რაციონალურობა არ უნდა იქნეს განხილული წმინდად თეორიულ ქრილში (თითქოს ადამიანთა სიცოცხლეში საჭირო არ იყოს გადანყვეტილებების მეტ-ნაკლებად მყისიერი პრაქტიკული რეალიზება), რადგან მორწმუნეები თავიანთ რელიგიურ აქტივობებს ეპისტემოლოგიური მიზნებისგან განსხვავებულ მიზნებს უკავშირებენ.

დასკვნა: მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების განხილვისას მუდამ არსებობს იმის საფრთხე, რომ დაგვაინყდეს, რომ მეცნიერებისა და რელიგიის მიზნები სრულიად განსხვავებულია. ამას კი დიდი გავლენა აქვს იმაზე, თუ როგორ გავიაზრებთ ამ ურთიერთმიმართებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Atkins, P. “The Limitless Power of Science”, in: J. Cornwell (ed.), *Nature’s Imagination*. Oxford: Oxford University Press, 1995, გვ. 122-132.
- Clayton, P., Knapp, S. “Rationality and Christian Self-Conceptions”, in: W. M. Richardson, W. J. Wildman (eds.), *Religion and Science: History, Method and Dialogue*. London: Routledge, 1996, გვ. 131-142.
- Conway Morris, S. “Evolution and the Inevitability of Intelligent Life”, in: P. Harrison (ed.), *The Cambridge Companion to Science and Religion*. Cambridge: Cambridge University Press, 2010, გვ. 148-172.
- Dawkins, R. “A Reply to Poole”, *Science and Christian Belief*, 7 (1995), გვ. 45-50.
- Gould, S. J. *Rocks of Ages: Science and Religion in the Fullness of Life*. New York: Ballantine Books, 1999.
- Midgley, M. *Science as Salvation: A Modern Myth and Its Meaning*. London: Routledge, 1992.
- Mullen, J. T. “Can Evolutionary Psychology Confirm Original Sin?”, *Faith and Philosophy*, 24 (2007), გვ. 268-283.
- Peacocke, A. *Paths from Science towards God*. Oxford: Oneworld, 2001.
- Rolston, H. *Genes, Genesis and God*. Cambridge: Cambridge University Press, 1999.
- Stenmark, M. *Scientism: Science, Ethics and Religion*. Aldershot: Ashgate, 2001.
- Wilson, E. O. *On Human Nature*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1978.
- Wright, R. *The Moral Animal*. London: Abacus, 1996.

## თანამედროვე კოსმოლოგია და ქრისტიანული თეოლოგია



**სთივენ ბარი (დაიბ. 1953 წ.)** – დელავერის უნივერსიტეტის (ნიუარკი, დელავერის შტატი, აშშ) ემერიტუსი პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ფიზიკისა და ასტრონომიის დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი.

ს. ბარის აღნიშნული სტატია იხ. შემდეგ კრებულში:

Stephen M. Barr, “Modern Cosmology and Christian Theology” in: J. B. Stump, A. G. Padgett (eds.), *The Blackwell Companion to Science and Christianity*, Wiley-Blackwell, 2012, გვ. 175-184.

### დასაწყისი და შესაქმე

დაბადების პირველი სიტყვები გვაუწყებენ: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა.“ აქ ორი განსხვავებული იდეა მოცემული: დასაწყისი და შესაქმე (ანუ ქმნადობა, შექმნა). გასაგები მიზეზების გამო, ხშირად ამ ორ იდეას ერთმანეთში ურევენ. ყველაფერი, რასაც ჩვენ, ადამიანები, ვქმნით,

მართლაც დროის რალაც მონაკვეთში იწყება. ასევე, ადამიანური გამოცდილებისთვის ყველაფერს, რაც არსებობას იწყებს, თავისი წარმოშობის რალაც მიზეზი უნდა ჰქონდეს. თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ სამყაროს „შექმნაზე“ თეოლოგიური აზრით, მნიშვნელოვანია, რომ განვასხვაოთ ის იმ იდეიგან, რომლის მიხედვითაც სამყაროს დროში აქვს დასაწყისი. ერთი მხრივ, ბევრმა ათეისტმა შეიძლება აღიაროს ის ფაქტი, რომ სამყაროს, სავარაუდოდ დროში აქვს საწყისი, მაგრამ უარყოს დებულება, რომლის თანახმად, ის შეიქმნა. მეორე მხრივ, სწორედ თეოლოგი, კერძოდ, თომა აქვინელი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია ფილოსოფიურად დავასაბუთოთ ის, რომ სამყარო შეიქმნა, თუმცა ჩვენ ვერ დავამტკიცებთ იმას, რომ მას დროში აქვს საწყისი.<sup>1</sup>

შესაქმნა და დასაწყისის შორის განსხვავება უფრო ნათელი ხდება ძველი ანალოგიის მეშვეობით, რომლის მიხედვით სამყარო წიგნია, ხოლო ღმერთი – ამ წიგნის ავტორი. ფიზიკურ სამყაროში არსებული დრო იმ წესის ანალოგიურია, რომლითაც წიგნში გვერდების, სტრიქონებისა და სიტყვების მეშვეობით მოვლენები მონესრიგებული. წიგნის „დასაწყისი“ მის პირველ სიტყვებზე მიუთითებს, ხოლო წიგნის „შექმნა“ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ წიგნს ავტორი ჰყავს. ავტორის შემოქმედებითი აქტიურობა მხოლოდ წიგნის პირველ სიტყვებს არ გულისხმობს: წიგნის ყოველი დანარჩენი სიტყვა ზუსტად იგივენაირად ავტორის უშუალო შემოქმედებაა. ანალოგია გვიჩვენებს, რომ ღმერთი ერთნაირადაა იმ მოვლენების შემოქმედი, რომლებიც სივრცისა და დროის ამა თუ იმ წერტილში ხდება, იმ მოვლენების ჩათვლით, რომლებიც დასაწყისში მოხდა. სწორედ ამიტომ, შუა საუკუნეების სკოლასტიკური თეოლოგიის თანახმად, ღმერთის მიერ „დასაწყისში“ სამყაროს „შექმნის“ აქტი და მის მიერ სამყაროს არსებობის „შენარჩუნება“ ამის შემდეგ ერთი და იგივე აქტი იყო.

შეიძლება დაისვას შეკითხვა იმის შესახებ, ნამდვილად შესაძლებელია თუ არა ის, რომ ეს ორი იდეა ერთმანეთისგან მკაფ-

1 იხ. Thomas Aquinas, *Summa contra Gentiles, Book Two: Creation*. Translated by J. F. Anderson. Notre Dame: University of Notre Dame Press, 1975, გვ. 113.



იოდ განვასხვავოთ. განა შექმნა დასაწყისს არ გულისხმობს? თუკი დავუშვებთ იმას, რომ სამყარო ყოველთვის არსებობდა, მაშინ როგორ შეიძლება ის შექმნილიყო? აქვინელის შეხედულების საპირისპიროდ, ხომ არ იქნებოდა დაუსაბამო სამყარო, ასევე, შეუქმნელი სამყაროც? აქ, შესაძლოა, სხვა ანალოგიამ გაგვინიოს დახმარება. წარმოვიდგინოთ ნათურა, რომელიც მარადიულად ანათებს ქალაქის ფურცელს უსასრულო წარსული დროის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ქალაქის განათებას დროში დასაწყისი არ ექნება, თუმცა მას ყოველთვის ექნებოდა მიზეზი, კერძოდ, ნათურა. ანალოგიურად, ღმერთი შესაძლოა სამყაროს არსებობის ყოველი მომენტის მიზეზი იყოს მაშინაც კი, თუკი სამყარო უსასრულოდ არსებობდა წარსულში.

ერთ-ერთი მიზეზი იმ მიზეზთაგან, რომელმაც ხელი შეუწყო ამ საკითხების აღრევას, არის არსებითად არასწორი გაგება იმისა, რასაც აქვინელის მსგავსი ფილოსოფოსები და თეოლოგები გულისხმობდნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ ღმერთი არის „პირველი მიზეზი“. ბევრი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება ისეთი მიზეზი, რომელიც დროში პირველია ანუ პირველი მოვლენათა დროით ჯაჭვში. ასეთ შემთხვევაში, შესაქმე შესაძლოა შეგვედარებინა ბილიარდის თამაშის დროს ბილიარდის ბურთის სხვა ბურთებთან დაჯახებასთან („პირველი მოვლენა“, რომელიც ბიძგს აძლევს ყველა დანარჩენ მოვლენას). ასეთ შემთხვევაში შესაქმე მართლაც დასაწყისის იგივეობრივი იქნებოდა. მაგრამ ეს არ არის ის, რასაც თომა აქვინელი გულისხმობდა „პირველ მიზეზში“. იგი საკმაოდ ნათლად აცხადებდა, რომ არ არსებობს დამარწმუნებელი ფილოსოფიური საფუძველი იმ მტკიცებებისთვის, რომ მოვლენათა დროითი ჯაჭვი უსასრულოდ კი არ გრძელდება წარსულში, არამედ რომ მას უნდა ჰქონდეს პირველი რგოლი.<sup>2</sup> „პირველი მიზეზის“ მისეული არგუმენტი დროში არსებულ პირველ მოვლენას კი არ ეხება, არამედ საგანთა უმთავრეს მიზეზს ანუ ახსნას. იგი გულისხმობდა ამხსნელ და არა დროით ჯაჭვს.<sup>3</sup>

2 იხ. Thomas Aquinas, *Summa contra Gentiles, Book Two: Creation*, გვ. 114.

3 იხ. E. Gilson, *The Christian Philosophy of St. Thomas Aquinas*. Translated by

ზემოთ მოყვანილი განსხვავებები მნიშვნელოვანია იმისთვის, თუკი გვსურს, ნათლად გავიაზროთ თანამედროვე კოსმოლოგიაში არსებული სხვადასხვა იდეის თეოლოგიური კონტექსტები, რომლებიც ქვემოთაა განხილული.

შესაძლებელია და უნდა განვასხვაოთ კიდევ იდეა, რომლის თანახმად, სამყაროს დროში აქვს საწყისი და ის იდეა, რომლის მიხედვითაც სამყაროს ჰყავს შემოქმედი (ანუ უმთავრესი მიზეზი, წყარო, რომლიდანაც მისი არსებობა გამომდინარეობს). ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ტრადიციული ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, სამყაროს აქვს დროში დასაწყისი და მას ჰყავს შემოქმედი. ეს დაბადების პირველი სიტყვების სტანდარტულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ეს, ასევე, იგულისხმება ლატერანის მეოთხე საბჭოს და ვატიკანის პირველი საბჭოს დადგენილებებში, რომლებშიც საუბარია ღმერთის მიერ სამყაროს შექმნაზე *ab initio temporis* („დასაბამიერი დროიდან“).<sup>4</sup>

კარგადაა ცნობილი, რომ სამყაროს დასაწყისის შესახებ ქრისტიანული რწმენა ანტიკურობაში დაცინვის საგანი გახდა წარმართების მხრიდან, რომლებსაც სწამდათ, რომ სამყარო ყოველთვის არსებობდა. ისინი ირონიულად კითხულობდნენ, თუ რას აკეთებდა ქრისტიანული ღმერთი იმ უსასრულო დროის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებდა სამყაროს შექმნას.<sup>5</sup> ამ ბრალდებას ნეტარმა ავგუსტინემ სიღრმისეულად უპასუხა: არ არსებობდა „მანამდე“. ავგუსტინეს თანახმად, დრო შექმნილ საგნებს შორის არსებული მიმართებაა. შესაბამისად, თუკი არ არსებობდნენ შექმნილი საგნები, არ იქნებოდა ისეთი რამ, როგორცაა დრო. სინამდვილეში, რადგან დრო შექმნილი სამყაროს ასპექტია, ის თავადაა შექმნილი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი დრო გადის, უკვე რალაც არის შექმნილი და არსებობს, კერძოდ თავად დრო. აქედან გამომდინარეობს, რომ შესაქმემ-

---

I. K. Shook. *Notre Dame*: University of Notre Dame Press, 1994, გვ. 67-68.

4 იხ. H. Denziger, A. Schönmetzer, *Enchiridion Symbolorum, Declarationem et Definitionem*. Barcelona: Herder, 1976, გვ. 259 და 587.

5 იხ. Augustine, *Confessions*. Translated by J. K. Ryan. Garden City, NY: Doubleday Publishing Group, 1960, გვ. 284-285.

დე დროის დინებაზე საუბარი წინააღმდეგობრივია. ამრიგად, სრულიად უსაზრისოა „შესაქმემდე არსებულ დროზე“ საუბარი. „რატომ კითხულობენ ისინი, თუ რას აკეთებდა ღმერთი „მაშინ“? როცა არ იყო დრო, არც „მაშინ“ არსებობდა.“<sup>6</sup>

ეს იყო იმ იდეის ბრწყინვალე და შესანიშნავი ნვდომა, რომელიც თანამედროვე ფიზიკამ მხოლოდ აინშტაინის გრავიტაციული თეორიის (ზოგადი ფარდობითობა) მეშვეობით გაიაზრა XX საუკუნის დასაწყისში. ამ იდეამდე ფიზიკა განსხვავებული, თუმცა პარალელური გზით მივიდა. აგუსტინეს საკვანძო იდეას წარმოადგენდა აზრი, რომლის თანახმად დრო არის ისეთი რამ, რაც **შექმნილია**, ხოლო თანამედროვე ფიზიკის საკვანძო იდეას წარმოადგენს აზრი, რომ დრო არის ისეთი რამ, რაც **ფიზიკურია**. ნიუტონის ფიზიკაში დრო მხოლოდ ფიზიკური მოვლენების ფონია. მაგრამ ზოგადი ფარდობითობის თეორია ადგენს, რომ დრო და სივრცე ფიზიკური სტრუქტურაა, რომელიც ფართოვდება, იკუმშება და ვიბრირებს მატერიისთვის დამახასიათებელი ენერგიის, იმპულსის, წნევისა და დაძაბულობის შედეგად. მართლაც, დროისა და სივრცის მრავალგვარობაში (*space-time manifold*) არსებულ მოძრაობებს თავად გადააქვთ ენერგია და იმპულსი. მოკლედ რომ ვთქვათ, დრო და სივრცე ისეთივე ფიზიკურია, როგორც კლდეები ან ხეები. თუკი ფიზიკურ სამყაროს ჰქონდა დასაწყისი, მაშინ ეს არა მხოლოდ მატერიის დასაწყისი იყო, არამედ დროისა და სივრცის დასაწყისიც. ყოველივე ეს გულისხმობს, რომ ფიზიკური სამყაროს გაჩენამდე არსებულ დროზე საუბარი ყოველგვარ საზრისს მოკლებულია.

ეს თითქოს სირთულეს წარმოშობს იმ დებულებისთვის, რომლის თანახმად, ღმერთი სამყაროს მიზეზია. ჩვენი გამოცდილებით, მიზეზები ყოველთვის წინ უსწრებენ დროში თავიანთ შედეგებს. მაგრამ როგორ შეიძლება ღმერთი წინ უსწრებდეს დროში სამყაროს? „სამყარომდე“ არ არსებობს ისეთი რამ, როგორც დროა. ეს ჭეშმარიტია იმ შემთხვევაში, თუკი სამყარო ყოველთვის არსებობდა (ასეთ ვითარებაში ამ

---

6 იქვე, გვ. 287.

დებულების<sup>7</sup> ჭეშმარიტება თავისთავად ნათელია) და მაშინაც, თუკი მას დასაწყისი ჰქონდა (ასეთ შემთხვევაში ეს დებულება გამომდინარეობს როგორც ნეტარი ავგუსტინეს, ასევე, თანამედროვე ფიზიკის პოზიციებიდან). ამ მოჩვენებით სირთულეს ავგუსტინეს სხვა სიღრმისეული განაზრება ჰფენს ნათელს. ამ იდეის თანახმად, ღმერთი დროის მიღმაა, ხოლო შესაქმის ღვთაებრივი აქტი არადროით (ატემპორალურ) ქრილში უნდა გავიაზროთ.<sup>8</sup>

საქმე ისაა, რომ თუკი დრო და სივრცე შექმნილი (და მართლაც ფიზიკური) რეალობებია, მაშინ დროით-სივრცითი მიმართებები არ მიეყენება ღმერთს, რომელიც არც შექმნილია და არც ფიზიკური (ჩვენ აქ ღვთაებრივ ბუნებაზე ვსაუბრობთ და არა ადამიანის ბუნებაზე, რომელიც ღვთაებრივმა ბუნებამ მიიღო განსხეულების დროს). აქ კვლავ სასარგებლო იქნება ანალოგია, რომელიც სამყაროს წიგნად წარმოიდგენს. წიგნის სიტყვები და მის სიუჟეტში განვითარებული მოვლენები აყალიბებენ გარკვეულ თანმიმდევრობას, რომელიც წიგნის შინაგან „დროს“ ქმნის. ეს შინაგანი დრო შესაძლოა გაიზომოს გვერდებით, სტრიქონებითა და სიტყვებით. გარდა ამისა, წიგნის სიუჟეტის შიგნით მიზეზ-შედეგობრივი კავშირები არსებობს. მეათე გვერდზე აღწერილი მოვლენა მეშვიდე გვერდზე გამოცემული მოვლენით შეიძლება იყოს გამოწვეული. მაგრამ წიგნის ავტორი და მისი ქმედებები არ არის ამ **შინაგანი** დროის ან მიზეზობრივი ჯაჭვის ნაწილი. როგორც წესი, ავტორი არ გვევლინება წიგნის პერსონაჟად (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წიგნი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა) და მისი მოქმედებები არ ემთხვევა წიგნში განვითარებულ მოვლენებს. ავტორი, რომელიც აყალიბებს იმის იდეას, თუ რა უნდა მოხდეს, ვთქვათ, 73-ე გვერდზე, არ არის ის მოვლენა, რომელიც ხდება წიგნის ამ ან სხვა გვერდზე. ასევე, ავტორის მიერ იმის გამოწვევა, თუ რა ხდება წიგნის სიუჟეტში, სრულიად განსხვავდება სიუჟეტის შიგნით არსებული მიზეზისა და მისი შედე-

7 რომ დრო არ არსებობს სამყაროს შექმნამდე. – მთარგმნ. შენიშვნა.

8 იხ. Augustine, *Confessions*, გვ. 303.

გისგან. ერთი მხრივ, ჰამლეტის მიერ პოლონიუსისთვის მახვილის დარტყმა ინვეეს იმას, რომ პოლონიუსი კვდება. მეორე მხრივ, ჰამლეტის მიერ პოლონიუსისთვის მახვილის დარტყმის და პოლონიუსის სიკვდილის (პირველი ფაქტის მიერ მეორე ფაქტის გამონვევის) მიზეზი შექსპირია.

ანალოგიურად, ღმერთი სრულიად გარეშე დგას სამყაროში არსებული მოვლენების დროითი ჯაჭვისგან (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ოთხგანზომილებიანი დროით-სივრცითი ქსელისგან) და ასევე, მიზეზობრივ მიმართებათა იმ ქსელისგან, რომელიც „შინაგანია“ სამყაროსთვის. ღმერთი ადგენს იმას, რომ A და B მოვლენა მოხდეს. წიგნის ანალოგიით რომ ვთქვათ, ეს მოვლენები იმ სცენარში შედის, რომელიც მან დაწერა. იგი, ასევე, ადგენს, რომ A წინ უნდა უსწრებდეს B-ს სამყაროში არსებულ დროში და რომ B უნდა მოხდეს A-ს „გამო“. მაგრამ ღმერთის **ნებელობითი აქტი**, რომ A მოხდეს, „დროში წინ არ უსწრებს“ მისი **ნებელობის იმ აქტს**, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს B. დროითი „მანამდე – შემდეგ“ მიმართება A-სა და B-ს შორის არსებობს, მაგრამ არა ღმერთში ან ღმერთსა და სხვა რამეს შორის. ღმერთი არის როგორც A-ს, ასევე, B-ს მიზეზიც. იგი, ასევე, მიზეზია იმისა, რომ A-სა და B-ს **შორის** დროითი მიმართება არსებობს. თუმცა თავად ღმერთი დროში წინ არ უსწრებს A-ს ან B-ს და არც დროში უკავშირდება მათ. ამრიგად, ღმერთი მის მიერ შექმნილ საგნებთან და მოვლენებთან მიმართებაში პირველადია მიზეზობრივი, მაგრამ **არა** დროითი აზრით. ტრადიციული გაგების თანახმად, ის ფაქტი, რომ ღმერთი სამყაროს პირველი მიზეზია, არ გულისხმობს იმას, რომ მის მიერ სამყაროს შექმნის აქტი დროში წინ უსწრებს სამყაროს. შესაბამისად, ტრადიციულ ქრილში გააზრებისას ქრისტიანული თეოლოგიისთვის არანაირ სირთულეს არ ქმნის ის გარემოება, რომ „სამყაროს გაჩენამდე“ არსებულ დროზე ლაპარაკი უსაზრისოდ მიიჩნევა.

## დამოკიდებულებები დასაწყისის მიმართ და დიდი აფეთქების თეორია

ანტიკურობის წარმართ მოაზროვნეებს, როგორც წესი, სწამდათ, რომ სამყარო ყოველთვის არსებობდა. პლატონთან ვხვდებით მატერიის გამაფორმებელი დემიურგის იდეას, თუმცა იგი თვლიდა, რომ როგორც მატერია, ასევე, სივრცე და დროც ყოველთვის არსებობდა. არისტოტელეც ფიქრობდა, რომ სამყაროს არა აქვს დასაწყისი და დასასრული. დასაწყისის იდეა დასავლურ აზროვნებაში ბიბლიამ შემოიტანა და, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ეს იდეა წარმართთა მხრიდან დაცივნის ობიექტი გახდა.

(აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დაბადების“ პირველი სიტყვები ცალსახად არ ამტკიცებენ სამყაროს შექმნას *ex nihilo* (არაფრიდან). თუმცა, ღვთაებრივი სიტყვის უფრო მეტად გაცხადების შედეგად შესაქმეს უკვე აღიქვამდნენ, როგორც *ex nihilo*. შდრ. 2 მაკ. 7:28: „არსებულისგან არ შეუქმნია ეს ყველაფერი ღმერთს.“ შდრ., ასევე, რომ. 11:36; 1 კორ. 8:6; კოლ. 1:16. ეკლესიის მამათა დიდი უმრავლესობა შესაქმეს გაიაზრებდა, როგორც *ex nihilo*).

XVII საუკუნის დასაწყისიდან ანუ მას შემდეგ, რაც თანამედროვე მეცნიერება ჩამოყალიბდა, ორი თუ სამი საუკუნის განმავლობაში მეცნიერთა უმრავლესობა მორწმუნე ქრისტიანი იყო, რომელთაც სწამდათ გადმოცემა სამყაროს დასაწყისის შესახებ. თუმცა, თავად მეცნიერება ნაკლებად თუ ამყარებდა ასეთ რწმენას. უფრო მეტიც, არსებობდა მთელი რიგი მეცნიერული შეხედულებები, რომლებიც მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ამ რწმენას. ნიუტონის ფიზიკაში ბუნებრივად მიიჩნეოდა დროის კოორდინატის, როგორც უწყვეტის, წარმოდგენა (სივრცის კოორდინატების მსგავსად), რომელიც უსასრულოდ გრძელდებოდა  $-\infty$ -დან  $+\infty$ -მდე. ხოლო XIX საუკუნეში ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს ენერჯის შენახვის კანონი, რომლის თანახმად, შეუძლებელია ენერჯის შექმნა ან განადგურება. ანალოგიურად, ქიმიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ქიმიური პროცესების დროს

მასის რაოდენობა უცვლელი რჩება (მეოცე საუკუნეში მასისა და ენერჯის ეკვივალენტურობამ აჩვენა, რომ შენახვის ეს ორი კანონი ერთი და იგივე იყო). ასე რომ, დაახლოებით ასი წლის წინ მეცნიერების თითქმის ყველა მინიშნება იმაზე მიუთითებდა, რომ მატერია, ენერჯია, სივრცე და დრო ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებდა მომავალში.

აღნიშნულმა ფაქტორმა, რასაც თან ერთვოდა ტრადიციული რელიგიური რწმენის შესუსტება, ხელი შეუწყო მეცნიერებში იმ შეხედულების ჩამოყალიბებას, რომლის თანახმად სამყარო ყოველთვის არსებობდა. მაგალითად, ცნობილი ფიზიკოსი ვალტერ ნერსტი აცხადებდა: „დროის უსასრულო მდინარების უარყოფა მეცნიერების საფუძვლებისთვის ძირის გამოთხრის ტოლფასია.“<sup>9</sup> არსებობდა ორი მკაფიო პოზიცია: ბიბლიური სწავლება, რომლის თანახმად არსებობდა დასაწყისი და თანამედროვე მეცნიერების აშკარა ვერდიქტი, რომლის მიხედვითაც ამგვარი რამ არ არსებობდა.

ეს სწრაფად შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1916 წელს აინშტაინმა გრავიტაციის საკუთარი თეორია ჩამოაყალიბა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადი ფარდობითობის თანახმად, დრო და სივრცე ოთხგანზომილებიანი მრავალფეროვნებაა, რომელიც შესაძლოა შეიკუმშოს ან გაფართოვდეს. აღნიშნული პროცესები აინშტაინის განტოლებებით აღინერება, რომლებიც დროისა და სივრცის გამრუდებას მატერიის სიმკვრივეს უკავშირებენ. აინშტაინის განტოლებების თანახმად, სამყარო, რომელიც მატერიითაა სავსე, სტატიკური ვერ იქნება: დროისა და სივრცის გამრუდება, რომელიც მატერიითაა გამოწვეული, სივრცის გაფართოებას ან შეკუმშვას იწვევს. ეს შესაძლოა გავიაზროთ, როგორც სამყაროში არსებული მთელი მატერიის გრავიტაციული ურთიერთმიზიდულობის შედეგი. ეს შემდეგი ფაქტის ანალოგიურია: ბურთის გრავიტაციული მიზიდულობა დედამიწის მიმართ ბურთს ჰაერში უმოძრაო გაჩერების საშუალებას არ აძლევს: ის ან ზემოთ უნდა მოძრაობდეს ან დედამიწის მიმართულებით უნდა ეცემოდეს.

---

9 R. Jastrow, *God and the Astronomers*. New York: Norton, 1992, გვ. 104.

აინშტაინი უპირატესობას ანიჭებდა სტატიკური (ანუ, არა-განვრცობადი და არაშეკუმშვადი) სამყაროს იდეას, რადგან ეს ეთანხმებოდა მის ფილოსოფიურ პოზიციას ისეთი სამყაროს შესახებ, რომელიც მარადიულია როგორც წარსულში, ასევე, მომავალში. ამიტომაც მან დაუშვა შესაძლებლობა, რომ მისი განტოლებების გარკვეული წევრი (რომელსაც დღეს „კოსმოლოგიური მუდმივა“ ეწოდება) ზუსტად აბალანსებს მატერიის ურთიერთმიზიდულობას, რაც „სტატიკური“ მოდელის მიღების საშუალებას იძლევა. თუმცა, ართურ ედინგთონმა<sup>10</sup> მალევე აჩვენა, რომ ასეთი ბალანსი არამყარი იქნებოდა, რამაც სტატიკური გადაწყვეტილება არარეალისტური გახადა. 1922 წელს რუსმა მათემატიკოსმა ალექსანდრე ფრიდმანმა, ხოლო მისგან დამოუკიდებლად 1927 წელს ბელგიელმა ფიზიკოსმა და კათოლიკე მღვდელმა ჟორჟ ლამეტრმა, აინშტაინის განტოლებების საფუძველზე ჩამოაყალიბეს პასუხები, რომლებიც მატერიით სავსე გაფართოებად სამყაროს აღწერდნენ. ლამეტრმა თავისი თეორიული შრომა დაამყარა ამერიკელი ასტრონომების ჰაბლისა და ჰიუმისონის მიერ 1929 წელს გაკეთებულ აღმორჩენაზე, რომლის თანახმად, გალაქტიკები ერთმანეთს შორდებოდნენ. ამის საფუძველზე ლამეტრმა განავითარა იდეა, რომლის მიხედვითაც სამყარო აფეთქდა თავდაპირველი მდგომარეობიდან, რომელშიც მატერია უკიდურესად შეკუმშული იყო. ამ მდგომარეობას მან „თავდაპირველი ატომი“ უწოდა. დღეს ჩვენ ამ პროცესს დიდ აფეთქებას (*Big Bang*) ვუწოდებთ. აინშტაინის ზოგადი ფარდობითობის თეორიის საფუძველზე ლამეტრმა გააცნობიერა, რომ გალაქტიკების ურთიერთდაცილების პროცესი მათ მიერ **სივრცეში** ერთმანეთისგან დაშორებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ **თავად სივრცის** გაფართოების შედეგი იყო, რომელსაც თან „მიჰქონდა“ გალაქტიკები და რაც ეთანხმებოდა აინშტაინის განტოლებებს.

დიდი აფეთქების თეორიაშიც ითვლება, რომ თავდაპირველი აფეთქება, რომლის შემდეგაც სამყაროს გაფართოება

10 ართურ ედინგთონი (1882-1944 წწ.) – ინგლისელი ასტრონომი და მათემატიკოსი. – მთარგმნ. შენიშენა.



დაიწყო, ამავე დროს, ფაქტიურად „დროისა“ (*initio temporis*) და სივრცის დასაწყისიც იყო. დიდი აფეთქების სტანდარტულ მოდელში არ არსებობს ისეთი რამ, რასაც შეიძლება ვუნოდოთ „დიდ აფეთქებამდე არსებული“ დრო. ეს შესაბამისობაში მოდის ავგუსტინეს სილრმისეულ იდეასთან. შესაძლებელია, რომ ეს გარემოება დროითი დასაწყისის ებრაული და ქრისტიანული იდეის მეცნიერულ გამართლებად მივიჩნიოთ, რომელიც უპირისპირდება თანამედროვე ათეისტებისა და მეცნიერების უმრავლესობის მოლოდინებს (თვით 1959 წელსაც კი გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკელ ფიზიკოსთა და ასტრონომთა უმრავლესობას სწამდა, რომ სამყაროს დასაწყისი არ ჰქონდა).<sup>11</sup> მართლაც, ცნობილი ფაქტია, რომ მეცნიერულმა საზოგადოებამ ერთბაშად როდი მიიღო სერიოზულად დიდი აფეთქების თეორია, რაც, ნაწილობრივ, დასაწყისის იდეის მიმართ ფართოდ გავრცელებული ფილოსოფიური ცრურწმენით აიხსნება. თუმცა, 1964 წელს პენზიასმა და უილსონმა აღმოაჩინეს ე.წ. კოსმოსური ფონური რადიაცია, რომელიც დიდი აფეთქების უკიდურესად შესუსტებულ ნარჩენს (რელიქტს) წარმოადგენს. მას შემდეგ განმამტკიცებელი ფაქტების რაოდენობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ დიდი აფეთქების თეორია დღეს უკვე მყარად დამკვიდრებულად ითვლება.

### მართლა იყო თუ არა დიდი აფეთქება დასაწყისი?

დღეს უკვე არ არსებობს სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ დიდი აფეთქება მართლაც მოხდა დაახლოებით 14 მილიარდი წლის წინ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, რომ ეს სამყაროსა და დროის დასაწყისი იყო. მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებულია გარკვეული სპეკულაციური კოსმოლოგიური სცენარები, რომელთა მიხედვით დიდი აფეთქება არ არის დასაწყისი. ჩვენ ორ მათგანს განვიხილავთ: „მბტუნავი სამყაროს“ სცენარი (*bouncing universe scenario*) და

11 იხ. S. G. Brush, “How Cosmology Became a Science”, *Scientific American*, August (1992), გვ. 62–70.

„მარადიული ინფლაციის“<sup>12</sup> სცენარი (*eternal inflation scenario*).

მსტუნავი სამყაროს სცენარი შემდეგნაირია: თუკი არ არსებობს „კოსმოლოგიური მუდმივა“, რომელიც სამყაროში არსებული მთელი მატერიის გრავიტაციულ ურთიერთქმედებას დაუპირისპირდება, მაშინ ეს გრავიტაცია სამყაროს გაფართოებას შეანელებს. თუკი მატერიის სიმკვრივე „კრიტიკულ სიმკვრივეს“ აღემატება, მაშინ გაფართოება ბოლოს შეჩერდება და შემდეგ დაიწყება უკუპროცესი, ანუ სამყაროს შეკუმშვა. ამ შეკუმშვის ფაზაში გრავიტაციის ეფექტი შეკუმშვას დააჩქარებს. საბოლოო ჯამში, მთელი მატერია საკუთარ თავში კოლაფსს განიცდის ანუ უზარმაზარი სიმკვრივისა და წნევის მქონე აიროვან მასად გარდაიქმნება. სტანდარტული ვერსიის მიხედვით, ასეთი კოლაფსი დასრულდება „საბოლოო სინგულარობით“, რომელსაც „დიდი შეკუმშვა (ჭყლეტა)“ (*Big Crunch*) ეწოდება. საბოლოო სინგულარობისას მატერია უსასრულო სიმკვრივეს აღწევს და სამყაროცა და დროც მოულოდნელად სრულდება. თუმცა, შესაძლებელია ნაკლებად მკვეთრი შესაძლებლობის წარმოდგენა. ვიდრე სინგულარობა იქნება მიღწეული, სამყარო, შესაძლოა, მკვეთრად გამოცოცხლდეს და კვლავ გაფართოება დაიწყოს, ასე ვთქვათ, „შეხტეს“. ეს შეხტომა ახალი დიდი აფეთქების მსგავსია, რის შემდეგაც მთელი პროცესი თავიდან იწყება. შესაძლოა, წარმოვიდგინოთ შეხტომის, გაფართოების, შეკუმშვისა და შეხტომის უსასრულო ციკლი, რომელიც მარადიულად მეორდება.

აღნიშნული სცენარი რამდენიმე სირთულეს წარმოშობს: 1. 1998 წელს აღმოაჩინეს, რომ სამყაროს გაფართოების პროცესი უკანასკნელი რამდენიმე მილიარდი წლის განმავლობაში, კი არ ნელდება, არამედ უფრო და უფრო ჩქარა მიმდინარეობს. ეს ან აინშტაინის განტოლებებში მოცემული „კოსმოლოგიური მუდმივის“ შედეგია, ან კიდევ მატერიის იმ ფორმისა, რომელსაც „ბნელი ენერჯია“ (*dark energy*) ეწოდება და რომელიც თითქმის ისევე მოქმედებს, როგორც კოსმოლოგიური მუდმი-

12 ტერმინი „ინფლაცია“ კოსმოლოგიის სფეროში სამყაროს გაფართოების პროცესის აღსანიშნავად გამოიყენება. – მთარგმნ. შენიშვნა.

ვა. ვიდრე ეს აჩქარებული გაფართოება საბოლოოდ არ შეჩერდება, სამყარო არასოდეს გადავა შეკუმშვის ფაზაში. 2. არ არსებობს საფუძველი ვირწმუნოთ, რომ სამყაროს კოლაფსი „შექტომისაკენ“ მიგვიყვანს. თეორიულად უფრო სავარაუდოა, რომ სამყაროს დასასრული საბოლოო სინგულარობა იქნება, რომელიც სამყაროსა და დროის არსებობას წყვეტს.

მაგრამ ამ სირთულეების არარსებობის შემთხვევაშიც, არსებობს ძლიერი არგუმენტი, რომლის თანახმად მსტუნავი სამყარო უსასრულოდ ვერ იხტუნებდა. ეს არგუმენტი ფიზიკოს რიჩარდ თოლმენს უკავშირდება, რომელმაც აჩვენა, რომ მსტუნავი სამყაროს ციკლების სიგრძე (იგულისხმება თანმიმდევრულ შეხტომებს შორის არსებული დრო) უფრო და უფრო გაიზრდება. შესაბამისად, წარსულთან მიმართებაში მათი ციკლების სიგრძე უფრო და უფრო მოკლეა. თოლმენმა აჩვენა, რომ თუკი შევკრებთ ყველა წარსული ციკლის სიგრძეს, მაშინ მათ **სასრული** ჯამური დრო უნდა ჩამოაყალიბონ. ამრიგად, თვით მსტუნავი სამყაროს სცენარშიც სამყაროს ასაკი სასრული იქნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ მსტუნავი სამყაროს სცენარში დიდი აფეთქება აუცილებლობით არ არის დროის დასაწყისი, მაინც იქნებოდა დროის დასაწყისი **რალაც** მომენტში, დიდი აფეთქების დროს თუ არა, დიდ აფეთქებამდე რალაც სასრულ დროს მაინც.<sup>13</sup>

ციკლების ხანგრძლივობის ზრდა მსტუნავი სამყაროს სცენარში უკავშირდება „ენტროპიის“ ზრდას ციკლიდან ციკლში (ენტროპია სისტემაში არსებული უნესრიგობის საზომია). თერმოდინამიკის მეორე კანონის თანახმად, დაბურული სისტემის ენტროპია შესაძლოა გაიზარდოს, თუმცა ის ვერასოდეს შემცირდება. სწორედ ამიტომ რეალურ ცხოვრებაში არსებული ბევრი პროცესი „თერმოდინამიკურად შექუცვავადია“ (მაგალითად, რძე იღვრება და შეუძლებელია ამ პროცესის შებრუნება. ასევე, მინა იზბარება და ის გაუზბარავ მდგომარეობაში ვერ დაბრუნდება). სამყაროში არსებული საგნების ხრწნა,

---

13 იხ. J. Silk, *The Big Bang: The Creation and Evolution of the Universe*. New York: Freeman, 1980, გვ. 311.

დაბერება და ცვეთა თერმოდინამიკის მეორე კანონის „წყალობით“ ხდება. სწორედ ამიტომაცაა შეუძლებელი „მარადიული მოძრაობის მანქანის“ შექმნა. ეს, ასევე, ერთ-ერთი მიზეზია, რომლის გამოც რთულია (ალბათ, შეუძლებელიც) ისეთი რეალისტური და თანმიმდევრული თეორიის შექმნა, რომელშიც სამყარო მარადიულად არსებობს, დასაწყისის გარეშე. ასეთი სამყარო ხომ ძალიან ჰგავს მარადიული მოძრაობის მანქანას.

მეორე სპეკულატურ სცენარს, რომლის თანახმად დიდი აფეთქება არ არის სამყაროს დასაწყისი, „მარადიული ინფლაცია“ ეწოდება. თუკი სამყაროში არსებული ენერჯის დიდი ნაწილი ისეთი ნაწილაკების სახით არსებობს, როგორებიცაა ატომები ან ფოტონები (სინათლის ნაწილაკები), მაშინ სამყარო თანდათანობით ფართოვდება. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ნაწილაკების ურთიერთმიზიდულობის გამო, გაფართოება ნელდება და შესაძლოა, უკუპროცესიც კი დაიწყოს. მაგრამ თუკი სამყაროს აგებულებაში უფრო მეტად ჭარბობს არა ნაწილაკები, არამედ „ბნელი ენერჯია“ ან „კოსმოლოგიური მუდმივა“, მაშინ სამყარო დროსთან ერთად „ექსპონენციალურად“<sup>14</sup> იზრდება. ასეთ ექსპონენციალურად მზარდ სამყაროზე ამბობენ, რომ ის „ინფლაციას განიცდის“.<sup>15</sup> აინშტაინის განტოლებათა ის ამონახსნი, რომელიც ასეთ ექსპონენციალურად ზრდად სამყაროს აღწერს, „დე სიტერის ამონახსნის“ სახელითაა ცნობილი.

არსებობს საკმაოდ მყარი არგუმენტები იმისთვის, რათა ვირწმუნოთ, რომ დიდი აფეთქების პერიოდთან ახლოს ჩვენმა სამყარომ განიცადა უკიდურესად სწრაფი ინფლაცია დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, ხოლო შემდეგ დაიწყო გაფართოება. ეს თანდათანობითი გაფართოება რამდენიმე მილიარდი წლის განმავლობაში გრძელდება და უკანასკნელი რამდენიმე მილიარდი წლის განმავლობაში მისი სიჩქარე ოდნავ გაიზარდა. ადრეული ინფლაციური პერიოდის იდეა გვეხმარება, ავხსნათ სამყაროს რამდენიმე თვისება, რომლებიც ამ იდეის დაშვების

14 ანუ ძალიან სწრაფად. – მთარგმნ. შენიშვნა.

15 “Inflate” (ინგ.) – გაბერვა. – მთარგმნ. შენიშვნა.

გარეშე საკმაოდ დამაბნეველი იქნებოდა (მაგალითად, დიდ მასშტაბებში თითქმის სრული „სივრცობრივი სიბრტყელე“ და „ჰომოგენურობა“). დღესდღეობით მიიჩნევენ, რომ ეს იდეა მაღალი ხარისხით მართებულია.

მარადიული ინფლაციის იდეა აღნიშნულ იდეას უფრო ავი-თარებს და აცხადებს, რომ სამყაროს ის ნაწილი, რომელსაც ჩვენ ახლა ვაკვირდებით სხვა არაფერია, თუ არა გაცილებით უზარმაზარ (ალბათ, უსასრულოდ დიდ) სამყაროში არსებული ბუშტულის ანუ კუნძულის ნაწილი. ეს უზარმაზარი სამყარო **მარადიულად** განიცდის უკიდურესად სწრაფ ინფლაციას. არსებობს მრავალი სხვა ასეთი ბუშტულა, რომელთა შიგნით სივრცე განიცდის ისეთი ტიპის თანდათანობით, არაინფლაციურ გაფართოებას, რომელსაც ჩვენ ახლა ვაკვირდებით. ჩვენ ვერ დავინახავთ იმას, რაც ჩვენი ბუშტულის გარეთ ხდება, რადგან, ამ სცენარის თანახმად, ჩვენი ბუშტულა გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვენი „ჰორიზონტი“ (ეს „ჰორიზონტი“ არსებობს იმიტომ, რომ დიდი აფეთქების შემდგომ, 14 მილიარდი წლის განმავლობაში, სინათლეს არ ჰქონდა 14 მილიარდ წელზე მეტი „მოგზაურობის“ დრო. შესაბამისად, ჩვენამდე ვერ მოვა სინათლე, რომელიც ამაზე უფრო შორს მდებარეობს. ასევე, ჩვენამდე ვერ მოაღწევს ვერ სხვა ინფორმაცია, რადგან არც ერთი ტიპის ინფორმაციას არ შეუძლია სინათლეზე უფრო ჩქარა გადაადგილება). სივრცის მარადიული ინფლაცია, რომელიც ბუშტულების გარეთ არსებულ უზარმაზარ სივრცეში ხდება, ბნელი ენერგიის (ან კოსმოლოგიური მუდმივას) უსაზღვროდ დიდი სიმკვრივეთაა განპირობებული. ბუშტულები ისეთი რეგიონებია, სადაც ეს ბნელი ენერგია ენერგიის ჩვეულებრივ ფორმებად (ნაწილაკებად და სიცხედ) გარდაიქმნა, რის გამოც ბუშტულების შიგნით არსებული სივრცე ინფლაციას კი არ განიცდის, არამედ ჩვეულებრივ, თანდათანობით ფართოვდება. თითოეული ამ ბუშტულის შიგთავსი თავდაპირველად უკიდურესად ცხელია და მჭიდროდაა ავსებული ნაწილაკებით. ბუშტულის შიგნიდან ეს ზუსტად დიდი აფეთქების მსგავსად ჩანს. ბუშტულის შიგნით სივრცის თანდათანობით გაფართოე-

ბის შედეგად ბუშტულის შიგთავსი ცივდება, მატერიის სიმკვრივე იკლებს და იწყება გალაქტიკებისა და ვარსკვლავების ჩამოყალიბება.

ამ სცენარში „ჩვენი“ დიდი აფეთქება უბრალოდ ჩვენი ბუშტულის დასაწყისი იყო და არა მთელი სამყაროსი. მარადიული ინფლაციის სცენარის ერთ-ერთი შემოქმედი, კოსმოლოგი ანდრეი ლინდე მიიჩნევს, რომ სამყარო, რომელიც სწრაფ ინფლაციას განიცდის და რომელიც ამ ბუშტულებს შეიცავს, მარადიულად განიცდის ინფლაციას და რომ მას დასაწყისი არა აქვს. მართლაც შესაძლებელია თუ არა ეს? არსებობს რამდენიმე თეორიული თვალსაზრისი, რომლებიც მიუთითებენ, რომ ამ შეკითხვაზე პასუხი უარყოფითია.

ერთ-ერთი ასეთი თვალსაზრისი მძლავრი თეორემაა, რომელიც ჩამოაყალიბეს კოსმოლოგებმა ბოურდმა, გუთმა და ვილენკინმა.<sup>16</sup> თუკი გაფართოებად სამყაროში „თავისუფლად“ მოძრავი ობიექტის ტრაექტორიას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ის უფრო და უფრო ნელა მოძრაობს (იმ ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც კოსმოსურ გაფართოებასთან ერთად მოძრაობენ). ამ ეფექტს „სიჩქარის ნითელი ნანაცვლება“ ეწოდება. შესაბამისად, დროის წარსულ მონაკვეთებთან მიმართებაში ასეთი თავისუფლად მოძრავი ობიექტი უფრო ჩქარა იმოძრაებდა. მაგრამ რადგან სინათლეზე სწრაფად ვერაფერი იმოძრაებს, არსებობს საზღვარი წარსულ დროში, რომლის იქითაც ვერ დავადგენთ თავისუფლად მოძრავი ობიექტის ისტორიას. ამრიგად, სამყარო რომელიც მუდმივად ფართოვდება, ვერ იქნება მუდმივად გაფართოებადი.

ერთი შეხედვით, ეს ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომლის თანახმად არსებობს აინშტაინის განტოლებების „დე სიტერისეული ამონახსნი“, რომელიც აღწერს ისეთ სამყაროს, ექსპონენციალურად მუდმივად რომ ფართოვდება (სინამდვილეში, სწორედ დე სიტერის ეს ამონახსნი აღწერს ბუშტულის გარეთ არსებული სამყაროს ინფლაციას მარადიული სამყაროს

16 იხ. A. Borde, A. G. Guth, and A. Vilenkin, “Inflationary Spacetimes Are Incomplete in Past Directions.” *Physical Review Letters*, 90 (2003), 151301.

სცენარში). თუმცა, თუკი ყურადღებით დავაკვირდებით დე სიტერის ამონახსნის მათემატიკას,<sup>17</sup> აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში ის არ აღწერს მუდმივად გაფართოებად სამყაროს. ამისგან განსხვავებით, ის აღწერს სამყაროს, რომელიც ექსპონენციალურად იკუმშება  $t = -\infty$ -დან რაღაც მომენტამდე, როდესაც ის მინიმალურ ზომას აღწევს, ხოლო შემდეგ, დანარჩენი დროის განმავლობაში, ექსპონენციალურ ინფლაციას განიცდის. ეს გვერდს უვლის ბოურდის, გუთისა და ვილენკინის თეორემას (BGV), რომელიც მხოლოდ გაფართოებად სამყაროებს მიეყენება. შესაბამისად, დე სიტერის სამყარო, შესაძლოა, მარადიულად არსებულიყო. თუმცა, სამყარო რომელიც უსასრულოდ იკუმშება  $t = -\infty$ -დან, უკიდურესად არარეალისტურად (ანუ „არაფიზიკურად“) მიიჩნევა. უფრო მეტიც, ასეთ სამყაროში უკიდურესად რთული იქნებოდა ჩვენი დიდი აფეთქების დროს ჩვენს ბუშტულაში არსებული ძალიან დაბალი ენტროპიის ახსნა (ამას ისევ თერმოდინამიკის მეორე კანონთან და მარადიულად მოძრავი მანქანების საწინააღმდეგო არგუმენტთან მივყავართ).

შეჯამების სახით რომ ვთქვათ, მარადიული ინფლაციის სცენარში უნდა დავუშვათ, რომ სამყარო დაიწყო რაღაც მომენტში, რომელიც ჩვენგან სასრული დროითაა დაცილებული, ან უნდა ვაღიაროთ, რომ ინლფაციის დაწყებამდე ის უსასრულო დროის განმავლობაში იკუმშებოდა (რაც „არაფიზიკურია“). დასკვნა ისაა, რომ როგორც ჩანს, მარადიული ინფლაციის სცენარი დასაწყისს მოითხოვს. ეს კოსმოლოგთა დიდი უმრავლესობის თვალსაზრისია (აქედან დიდ გამონაკლისს, რა თქმა უნდა, თავად ლინდე წარმოადგენს).

შემოთავაზებული იყო სხვა სცენარებიც, რომლებიც მარადიულად არსებულ სამყაროს აღწერდნენ. ერთ-ერთი ასეთი სცენარი, რომელიც ფართო განხილვის საგანია, შტაინჰარდტისა და თუროქის მიერ შემოთავაზებული ე.წ. ციკლური

---

17 Ch. W. Misner, K. S. Thorne, and J. A. Wheeler, *Gravitation*. New York: Freeman, 1970, გვ. 745.

„ეკპიროტიკული სამყაროს“ სცენარია.<sup>18</sup> ეს იდეა გულისხმობს სივრცის მეოთხე განზომილების არსებობას, რომელშიც ორი, სამგანზომილებიანი სივრცის მქონე სამყარო ერთმანეთთან მიმართებაში ციკლურად მოძრაობს. ისინი განმეორებით ისხლეტენ ერთმანეთს. თითოეული ასეთი ასხლეტა ანუ ნახტომი ამ სამგანზომილებიანი სამყაროებიდან ერთ-ერთში დიდ აფეთქებად აღიქმება. არსებითად, ეს ძველი, მსტუნავი სამყაროს სცენარის უფრო გართულებული ვერსიაა, რომელიც თითქოს თავიდან ირიდებს თოლმენის არგუმენტს. თუმცა, ფაქტია ის, რომ BGV თეორემა მიეყენება ეკპიროტიკული სამყაროს სცენარს, რაც იმას გულისხმობს, რომ მასაც უნდა ჰქონდეს დასაწყისი.

ჯერჯერობით არ ჩამოუყალიბებიათ მათემატიკურად თანმიმდევრული და რეალისტური კოსმოლოგიური მოდელი, რომელიც მარადიულად არსებულ სამყაროს აღწერს. არსებობს საკმაოდ ძლიერი არგუმენტები (განსაკუთრებით, თერმოდინამიკის მეორე კანონი და BGV თეორემა) იმისთვის, რომ ეჭვი შევიტანოთ ამის შესაძლებლობაში. ამრიგად, ჩვენ არ შეგვიძლია აბსოლუტური დარწმუნებულობით ვთქვათ, რომ სამყაროს დასაწყისი ჰქონდა, თუმცა თეორიული არგუმენტები საკმაოდ მძლავრად გვიბიძგებენ, რომ ეს ვირწმუნოთ. როგორც ჩანს, „დასაწყისი“ ისტორიული ფაქტია.

## შეუძლია თუ არა მეცნიერებას დასაწყისის ახსნა?

შეუძლია თუ არა მეცნიერებას სამყაროს დასაწყისის ახსნა? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ ამაში. თუკი შეკითხვა ეხება იმას, ემორჩილებოდა თუ არა სამყაროს დასაწყისში მომხდარი მოვლენები ფიზიკის კანონებს და თუ რამდენად იყვნენ ისინი „ბუნებრივი მოვლენები“, რომელთა ბუნებრივი ახსნა შესაძლებელია, მაშინ პასუხი, დიდი ალბათობით, დადებითი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მასში საფუძვლიანი

18 იხ. P. J. Steinhardt, N. Turok, “Cosmic Evolution in a Cyclic Universe”, *Physical Review*, D65(12), 2002, 126003.



ექვსის შეტანის მიზეზი არ არსებობს. მაგრამ თუკი შეკითხვა ეხება იმას, აყალიბებს თუ არა ასეთი „ახსნა“ „შესაქმის“ მეცნიერულ თეორიას, რომელიც ღვთაებრივი შესაქმის ალტერნატივა იქნება, მაშინ პასუხი უარყოფითია.

დავუბრუნდეთ წიგნის ანალოგიას. შეიძლება დაისვას შეკითხვა, თუ რატომ იწყება წიგნი ასოთა მოცემული თანმიმდევრობით, მაგრამ სრულიად სხვა რამეა შეკითხვის დასმა იმის შესახებ, თუ რატომ არსებობს წიგნი საერთოდ. თუკი წიგნი ინგლისურ ენაზეა დაწერილი, ასოთა საწყისი თანმიმდევრობის შესახებ ბევრი რამის გაგება შეგვიძლია ინგლისური ენის გრამატიკის, სინტაქსისა და მართლწერის კანონების საფუძველზე; ასევე, წიგნის საწყისი და მომდევნო სიტყვების მნიშვნელობებს შორის კავშირების დადგენით. ჩვენ დიდწილად შეგვიძლია ავხსნათ, თუ რატომ იწყება ის, დაფუძვით, შემდეგი სიტყვებით: „ეს იყო საუკეთესო ეპოქა და ეს იყო ყველაზე ცუდი ეპოქა“<sup>19</sup> და არა ასე: „პოფრომ ალკჯდღე უიჰმ ზუჰეჯნც.“ მაგრამ ასეთი ახსნა ვერ აგვიხსნის, თუ რატომ არსებობს წიგნი, რატომ არის ის ინგლისურ ენაზე, ან რატომ აქვს მას ასეთი და არა სხვაგვარი სიუჟეტი. „მეცნიერული ახსნა“ გულისხმობს ბუნების წიგნში არსებული სისტემისა და იმ საფუძველმდებარე გრამატიკული წესების („ბუნების კანონების“) პოვნას, რომლებიც ამ სისტემის მუშაობას აწესრიგებს. მაგრამ მეცნიერება ვერ აგვიხსნის იმას, თუ რატომ არსებობს ბუნების წიგნი საერთოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ვერაფერს გვეტყვის სამყაროს „არსებობის წყაროს“ შესახებ, რაც გულისხმობს „შექმნას“ თეოლოგიური აზრით.

სიტყვა „შექმნა“ (creation) ფიზიკაშიც გამოიყენება და ეს, სავარაუდოდ, იწვევს (სულ მცირე, ხელს მაინც უწყობს) გარკვეულ ცნებობრივ აღრევას. მაგალითად, კვანტური ველის თეორიაში საუბრობენ „შემოქმედ ოპერატორებზე“ და „ანიჰილატორ ოპერატორებზე“. უკანასკნელ ათწლეულებში, ასევე, საუბარია „სამყაროთა კვანტურ შექმნაზე“ (*quantum creation of universes*), რაც ცალსახად ისე უღერს, თითქოს აქ საქმე ეხ-

---

19 სიტყვები ჩარლზ დიკენსის ისტორიული რომანიდან „ორი ქალაქის ამბავი“ (1859 წ.). – მთარგმნ. შენიშვნა.

ებოდეს სამყაროს შექმნის წმინდად ნატურალისტურ კონტექსტში ახსნას. მრავალი მეცნიერი ასე თვლის კიდევ.<sup>20</sup> თუმცა, მეტაფიზიკურ ჭრილში აქ უფრო ნაკლები რამ იგულისხმება, ვიდრე ეს „შექმნის“ ცნების უბრალო გამოყენებით ჩანს.

ფიქრობ, „სამყაროთა კვანტური შექმნის“ იდეის მოკლე მიმოხილვა შესაძლო გაუგებრობების თავიდან არიდებაში დაგვეხმარება. ამ იდეას საფუძვლად უდევს ფიზიკაში რეალურად არსებული ეფექტი, რომელსაც ნაწილაკთა „წყვილთა შექმნა“ (*pair creation*) ან „წყვილთა წარმოება“ (*pair production*) ეწოდება. ამ მოვლენას მეცნიერები ბევრჯერ დააკვირდნენ და ის კარგადაა შესწავლილი. წყვილთა შექმნის მაგალითია დამუხტული ნაწილაკის და მასთან დაკავშირებული ანტი-ნაწილაკის (მაგალითად, ელექტრონის ან პოზიტრონის) უნარი, მოულოდნელად და მყისიერად გაჩნდნენ სივრცის ისეთ მონაკვეთში, რომელიც თავდაპირველად არაფერს შეიცავდა არანულოვანი ელექტრული ველის გარდა. დროის მოცემულ მონაკვეთში ამის მოხდენის შესაძლებლობა გამოიანგარიშება „კვანტური ელექტროდინამიკის“ წესების საფუძველზე. ნაწილაკი-ანტი-ნაწილაკის წყვილი „არაფრიდან“ როდი წარმოიქმნება. ელექტრულ ველში არსებული გარკვეული ენერგია ნაწილაკთა მასად და კინეტიკურ ენერგიად გარდაიქმნება. სინამდვილეში ეს მხოლოდ ერთი რამის მეორე რამედ გარდაქმნაა.

კვანტურ თეორიაში განიხილავენ „სისტემებს“, რომელთაც შესაძლო „მდგომარეობათა“ გარკვეული რაოდენობა აქვთ. თუკი შენახვის კანონი (მაგალითად, ენერგიის ან მუხტის შენახვა) არ ირღვევა, სისტემას შეუძლია, ერთი შესაძლო მდგომარეობიდან მეორე შესაძლო მდგომარეობაში „გადავიდეს“. ეს გადასვლები ექვემდებარება კვანტური თეორიის ზოგად პრინციპებს (რომლებიც საყოველთაოა) და კონკრეტულ დინამიკურ კანონებს, რომლებიც მოცემულ სისტემას განსაზღვრავენ და ახასიათებენ. მაგალითად, ელექტრული ველების, ელექტრონებისა და პოზიტრონებისგან შედგენილი სისტემების შემთხვევაში, დინამიკური კანონები იგივე კვანტური ელე-

20 იხ. S. Hawking, L. Mlodinow, *The Grand Design*. New York: Bantam, 2010.

ქტროდინამიკის კანონებია. თავდაპირველი ვითარება (რომელიც გულისხმობს ელექტრული ველის მქონე სივრცეს) და მისგან წარმოქმნილი ვითარება (სადაც იგულისხმება ელექტრონი, პოზიტრონი და შედარებით სუსტი ელექტრული ველი) უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი და იგივე ფიზიკური სისტემის ორი „მდგომარეობა“. ამავე „სისტემას“ მრავალი სხვა შესაძლო მდგომარეობა აქვს (მაგალითად, ორი ელექტრონი, ორი პოზიტრონი და ელექტრული ველი). „წყვილთა შექმნის“ შემთხვევაში ფიზიკური სისტემა არაფრიდან კი არ წარმოიშვება, არამედ ერთი შესაძლო მდგომარეობიდან მეორე შესაძლო მდგომარეობაში გადადის.

სამყართა კვანტური შექმნის შემთხვევაში, ნაწილაკების ნაცვლად, იგივე იდეებს „სამყარობს“ მიუყენებენ. „სამყარო“ აქ არ გულისხმობს ყველა ფიზიკური საგნის ერთობლიობას. ის აღნიშნავს „დროისა და სივრცის მრავალგვარობას“, რომელიც ფლობს რამდენიმე მკაფიოდ განსაზღვრულ გეომეტრიულ თვისებას და რომელშიც შესაძლოა იყოს (ან არ იყოს) გარკვეული ტიპის მატერია ან ველ(ებ)ი. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ერთდროულად არსებობს ასეთ „სამყართა“ განუსაზღვრელი რაოდენობა. შეგვიძლია, ასევე, წარმოვიდგინოთ, რომ სამყარო ორ დაუკავშირებელ სამყაროდ იყოფა (თითქოს ბუშტს „მოვნწყიტეთ“ ნაწილი ახალი ბუშტის გასაკეთებლად). ახალი სამყარო, შესაძლოა, წარმოიშვას „ნულოვანი ზომიდან“ სასრულ ზომამდე ზრდის შედეგადაც. ამ პროცესების შედეგად, არსებული სამყაროების რიცხვი შესაძლოა შეიცვალოს (შემცირდეს ან გაიზარდოს). დავუშვათ, რომ დინამიკური კანონები, რომლებსაც ეს „სამყაროები“ ექვემდებარება, მართლაც უშვებენ ისეთი პროცესების არსებობას, რომელთა შედეგად ასეთი „სამყაროების“ რიცხვი იცვლება. მაშინ ასეთი პროცესები უნდა გავიაზროთ, როგორც **ერთი და იმავე სისტემის** განსხვავებულ შესაძლო მდგომარეობებს შორის გადასვლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე სისტემას შესაძლოა ჰქონდეს ზოგიერთი მდგომარეობა, რომელშიც „სამყაროთა“ რაოდენობა ნულის ტოლია („ნულოვანი სამყაროს მდგომარეო-

ბა“) და ასევე, სხვა მდგომარეობები, რომლებშიც „სამყაროების“ რაოდენობა ერთის, ორის და ა.შ. ტოლია.

აქედან ნათელია, რომ „ნულოვანი სამყაროს მდგომარეობიდან“ „სამყაროთა კვანტური წარმოშობის“ განხილვისას არ იგულისხმება წმინდა არარა ანუ ცარიელი არარსებობა. აქ ამოსავალი პუნქტია „სისტემა“, რომელსაც შესაძლო მდგომარეობათა გარკვეული რაოდენობა აქვს, რომლებიც ზუსტი ლოგიკური და მათემატიკური ფორმის მქონე კონკრეტულ დინამიკურ კანონებს ექვემდებარება. მაგალითად, მოცემულ „სისტემაში“ დინამიკური კანონები, შესაძლოა, მხოლოდ ისეთი განსხვავებული მდგომარეობების მქონე „სამყაროების“ არსებობას უშვებდნენ, რომლებიც შეიცვავენ მაინცდამაინც სამ სივრცობრივ განზომილებას, ერთ დროის განზომილებას, ნაწილაკთა გარკვეულ ტიპებს (ვთქვათ, ელექტრონებსა და პოზიტრონებს) და გარკვეული ტიპის ძალებს (მაგალითად, ელექტრომაგნიტურ ძალებს). მაგრამ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ განსხვავებული სისტემა, რომელიც განსხვავებული კანონებით იმართება და რომელშიც შესაძლებელია მხოლოდ ისეთი განსხვავებული მდგომარეობების მქონე „სამყაროების“ არსებობა, რომლებიც შეიცვავენ მაინცდამაინც შვიდ სივრცობრივ განზომილებას, ერთ დროის განზომილებას და ნაწილაკებისა და ძალების განსხვავებულ ტიპებს. პირველი სისტემის „ნულოვანი სამყაროს მდგომარეობა“ განსხვავებული იქნება მეორე სისტემის „ნულოვანი სამყაროს მდგომარეობიდან“. თითოეულ შემთხვევაში „ნულოვანი სამყაროს მდგომარეობა“ ცარიელი არარსებობა როდია. პირიქით, ეს სავსებით კონკრეტული რამაა: მოცემული სისტემის კონკრეტული მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრულ კანონებს ექვემდებარება.

აქ, შესაძლოა, ანალოგია დაგვეხმაროს. უილმინგტონის საკრედიტო ბანკში ისეთი ანგარიშის ქონა, რომლის ბალანსი ნული დოლარია არ არის იგივე, რაც ბანკში ანგარიშის არქონა (მიუხედავად იმისა, რომ მოხმარების კუთხით განსხვავება ამ ვითარებებს შორის არ არსებობს). თუნდაც ნულოვანი ბალანსის მქონე საბანკო ანგარიში საკმაოდ დახვეწილი სისტემის

კონკრეტული მდგომარეობაა. უნდა არსებობდეს იურიდიული პირი, რომელსაც ბანკი ეწოდება, ფულადი სისტემა და ხელშეკრულება თქვენსა და ბანკს შორის, ხოლო ყოველივე ეს სხვადასხვა კანონს უნდა ექვემდებარებოდეს და განსხვავებული სამთავრობო ორგანოების მიერ უნდა რეგულირდებოდეს. „საბანკო ანგარიშის არქონის“ ვითარება ამ პირობებიდან არც ერთს არ მოითხოვს.

**დასკვნა.** ებრაული და ქრისტიანული გამოცხადება შეიცავს ორ უმნიშვნელოვანეს დებულებას სამყაროს შესახებ: მას დროითი დასაწყისი ჰქონდა და ის თავის არსებობას ღმერთის თავისუფალ შემოქმედებით გადანყვევტილებას უმადლის. დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ პირველი დებულება მეცნიერულ მტკიცებულებებს უპირისპირდებოდა, თუმცა ეს მტკიცებულებები ახლა სწორედ მას განამტკიცებენ (თან მძლავრად). ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მეორე დებულებას საფუძველს უთხრის სამყაროთა კვანტური შექმნის შესახებ ბოლო დროს განვითარებული იდეები. თუმცა, ეს მტკიცება ემყარება ფუნდამენტურად არასწორ გაგებას იმისა, თუ რას ნიშნავს სიტყვა „შექმნა“ (როგორც ფიზიკაში გამოყენებული ჟარგონის საპირისპირო რამ) თეოლოგიურ კონტექსტში.


## გამოყენებული ლიტერატურა

- Aquinas, Thomas. *Summa contra Gentiles, Book Two: Creation*. Translated by J. F. Anderson. Notre Dame: University of Notre Dame Press, 1975.
- Augustine, *Confessions*. Translated by J. K. Ryan. Garden City, NY: Doubleday Publishing Group, 1960.
- Borde, A., Guth, A. G., and Vilenkin, A. "Inflationary Spacetimes Are Incomplete in Past Directions." *Physical Review Letters*, 90 (2003), 151301.
- Brush, S. G. "How Cosmology Became a Science", *Scientific American*, August (1992), გვ. 62-70.
- Denzinger, H., Schönmetzer, A. *Enchiridion Symbolorum, Declarationem et Definitionem*. Barcelona: Herder, 1976.
- Gilson, E. *The Christian Philosophy of St. Thomas Aquinas*. Translated by I. K. Shook. Notre Dame: University of Notre Dame Press, 1994.
- Hawking, S., Mlodinow, L. *The Grand Design*. New York: Bantam, 2010.
- Jastrow, R. *God and the Astronomers*. New York: Norton, 1992.
- Misner, Ch. W., Thorne, K. S., and J. A. Wheeler, *Gravitation*. New York: Freeman, 1970
- Silk, J. *The Big Bang: The Creation and Evolution of the Universe*. New York: Freeman, 1980.
- Steinhardt, P. J., Turok, N. "Cosmic Evolution in a Cyclic Universe", *Physical Review*, D65(12), 2002, 126003.

**დამატებითი წასაკითხი ლიტერატურა:**

- ავგუსტინე, „ალსარებანი“, მეთერთმეტე წიგნი (შეიცავს განაზრებებს დროის ბუნების შესახებ)
- Aquinas, Thomas. *Summa contra Gentiles, Book Two: Creation*. Translated by J. F. Anderson. Notre Dame: University of Notre Dame Press, 1975.
- Stephen M. Barr, *Modern Physics and Ancient Faith*. Notre Dame: University of Notre Dame Press, 2003.

## დარვინი და გონივრული ჩანაფიქრის თეორია



**ფრანცისკო ხოსე აიალა (დაიბ. 1934 წ.)** – ესპანელი ევოლუციური გენეტიკოსი და მოლეკულარული ბიოლოგი.

ფ. ხ. აიალას აღნიშნული სტატია იხ. შემდეგ კრებულში:

Francisco J. Ayala, “Darwin and Intelligent Design” in: J. B. Stump, A. G. Padgett (eds.), *The Blackwell Companion to Science and Christianity*, Wiley-Blackwell, 2012, გვ. 283-294.

### შესავალი შემაჯამებელი განცხადება

მანქანის ბორბალი ბრუნვისთვისაა შექმნილი, ადამიანის თვალი ხედვისთვისაა განკუთვნილი. ბევრი ჩვენგანი ამ ორ დებულებას დაეთანხმებოდა, მაგრამ, სავარაუდოდ, სკეპტიკურად იქნებოდა განწყობილი იმ დებულების მიმართ, რომლის თანახმად, მთა იმისთვისაა შექმნილი, რომ მასზე ვინმე ავიდეს. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ, შესაძლოა აღვნიშნოთ, რომ მთის კალთები არსებობენ იმისდა მიუხედავად, ადის თუ არა



ვინმე მათზე; რაც შეეხება მანქანის ბორბლებს, ისინი არასოდეს შეიქმნებოდნენ, რომ არ არსებობდეს ის მიზანი, რომელსაც ისინი ემსახურებიან. მთის კალთებს და ბორბლებს საერთო ის აქვთ, რომ მათ გარკვეული მიზნებისთვის იყენებენ. თუმცა, ისინი განსხვავდებიან, რადგან ბორბლები (მთის კალთებისგან განსხვავებით) საგანგებოდ შეიქმნენ იმ მიზნისთვის, რომელსაც ემსახურებიან. სწორედ ამას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ ბორბლები ბრუნვისთვისაა „შექმნილი“. მიზეზი, რის გამოც ბორბლები საერთოდ არსებობენ და მათ გარკვეული თვისებები აქვთ, ისაა, რომ ისინი მანქანის გადასადგილებლად შეიქმნა. მთის კალთების შემთხვევაში ვითარება განსხვავებულია.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას ადამიანის თვალების შესახებ? მათ რაღაც საერთო აქვთ როგორც ბორბლებთან, ასევე, მთის კალთებთანაც. ბორბლების მსგავსად, ადამიანის თვალებიც „შექმნილია“, მაგრამ მხოლოდ შემდეგი აზრით: რომ არ ყოფილიყო მხედველობის ფუნქცია, რომელსაც ისინი ემსახურებიან, მაშინ ისინი არასოდეს იარსებებდნენ; ასევე, ის თვისებები, რომლებიც თვალებს აქვთ, კონკრეტულად მხედველობის ფუნქციას დასაკმაყოფილებლად წარმოიშვნენ. მაგრამ მთის კალთებთან თვალებს საერთო ის აქვთ, რომ ორივე ბუნებრივი პროცესების შედეგად წარმოიშვა (თვალები – ბუნებრივი გადარჩევის, ხოლო მთები – გეოლოგიური გადაადგილებისა და ეროზიის შედეგად). ამისგან განსხვავებით, ბორბლები ადამიანების მიერ იქმნება და იწარმოება.

თავის ნაშრომში „სახეობათა წარმოშობა“ დარვინმა თავი მოუყარა დაკვირვებათა შთამბეჭდავ რაოდენობას, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციურ წარმოშობაზე მიუთითებდნენ. უფრო მეტიც (რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია), მან ჩამოაყალიბა ევოლუციური ცვლილების კაუზალური ახსნა ანუ ბუნებრივი გადარჩევის თეორია, რომელიც ორგანიზმთა აგებულებას (ბიოლოგიის ენაზე რომ ვთქვათ, მათ ადაპტაციებს) ბუნებაზე მითითებით ხსნის. დარვინი დაეთანხმა დებულებას, რომ ორგანიზმები ადაპტირებულები არიან შე-

საბამის გარემოში ცხოვრებისთვის და რომ მათი ცალკეული ორგანოები ადაპტირებულია იმ კონკრეტულ ფუნქციებთან, რომლებსაც ისინი ემსახურებიან. პინგვინები ადაპტირებულები არიან სიცივეში ცხოვრებისთვის, ჩიტის ფრთები ფრენისთვისაა შექმნილი, თვალები კი – მხედველობისთვის. დარვინმა მიიღო ადაპტაციის ფაქტები და მათ ასახსნელად მეცნიერული თეორია ჩამოაყალიბა. დარვინის უდიდეს მიღწევად შესაძლოა ჩაითვალოს ის, რომ მან ბუნების გეგმის ასპექტები (*design aspects of nature*) მეცნიერების სამყაროში შეიტანა. უთვალავი მცენარისა თუ ცხოველის გასაოცარი აგებულება (გარეშე კონსტრუქტორზე თუ შემოქმედზე მითითების გარეშე) ახლა შესაძლოა აიხსნას როგორც ბუნებრივი კანონების შედეგი, რომლებიც ბუნებრივ პროცესებში ვლინდება.

ორგანიზმების ფუნქციონალური დამახასიათებელი თვისებები, მათი „აგებულება“, ბიოლოგებმა იმ მიზნების ქრილში უნდა ახსნან, რომელსაც ეს თვისებები ემსახურებიან. ეს ხორციელდება იმ ჰიპოთეზების მეშვეობით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ბუნებრივ გადარჩევას ემყარება. ფიზიკოსები ასეთი საჭიროების წინაშე არ დგანან. უსულო ობიექტები და პროცესები, რომლებიც ადამიანთა მიერ არაა შექმნილი, კონკრეტული მიზნებისაკენ არაა მიმართული, მათი არსებობა ამა თუ იმ მიზანს არ ემსახურება. სოდიუმ ქლორიდის აგებულება სოდისა და ქლორის სტრუქტურაზე დამოკიდებული, მაგრამ არაფრის მომცემი იქნება იმის თქმა, რომ ეს სტრუქტურა იმგვარადაა შექმნილი, რომ გარკვეულ მიზანს ემსახუროს. ანალოგიურად, მთის კალთები გარკვეული გეოლოგიური პროცესებისა და ამინდისგან გამონვეული ეროზიის შედეგია, მაგრამ ისინი არ წარმოქმნილან რაიმე მიზნისთვის (მაგალითად, თხილამურებით სრიალისთვის).

## არგუმენტი ჩანაფიქრის შესახებ (*The Design Argument*)

ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტი ორ დებულებას მოიცავს. პირველი დებულება, როგორც მას, მაგალითად, ინგლისელი მწერალი **უილიამ პეილი**<sup>1</sup> აყალიბებს, გულისხმობს, რომ ორგანიზმები (როგორც მთლიანობაში, ასევე, მათი კონკრეტული ორგანოების მეშვეობით; როგორც ერთმანეთთან, ასევე, გარემოსთან მიმართებაში) თითქოს გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად და ცხოვრების გარკვეული წესის განსახორციელებლად არიან შექმნილი. მეორე დებულების თანახმად, ცოცხალი ორგანიზმების და მათი ორგანოების მრავალფეროვნების, სრულყოფილებისა და ფუნქციონირების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ ღმერთზე, ანუ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე შემოქმედზე მითითებით.

ისტორიის განმავლობაში ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტის განსხვავებული ვერსიები შეიქმნა. არსებობს პირველი დებულების, სულ მცირე, ორი სახესხვაობა. პირველი ყურადღებას ამახვილებს სამყაროში, როგორც მთელში, არსებულ წესრიგსა და ჰარმონიაზე. ასეა, მაგალითად, **ნეტარ ავგუსტინესთან**: „თავად სამყარო, მასში არსებული ცვლილებებისა და მოძრაობების სრულყოფილი წესრიგით და ყველა ხილული საგნის დიადი მშვენიერებით“<sup>2</sup>, ან **თომა აქვინელთან**, რომელიც წერს: „შეუძლებელია საპირისპირო და წინააღმდეგობრივი საგნების მოქცევა ჰარმონიული წესრიგის წიაღში გარკვეული წარმართვის გარეშე, რომელიც მის თითოეულ ნაწილს გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვას დაუწესებს. მაგრამ სამყაროში ჩვენ ვხედავთ განსხვავებული ბუნების საგნებს, რომლებიც ჰარმონიულ წესრიგს ექვემდებარებიან.“<sup>3</sup> მეორე ვერსია უთითებს ცოცხალ სამყაროზე, ორგანიზმთა ჩახ-

1 უილიამ პეილი (1743-1805 წწ.) – ინგლისელი თეოლოგი და ფილოსოფოსი. – *მთარგმნ. შენიშვნა*.

2 იხ. Augustine, *The City of God against the Pagans*. Edited by R. Dyson. Cambridge: Cambridge University Press, 1998, გვ. 452-453.

3 იხ. Thomas Aquinas, “Of God and His Creatures”. In: *Summa contra gentiles*. Edited by J. J. Rickaby. London: Burns & Oates, 1905, გვ. 12.

ლართულად ორგანიზებულ კომპლექსურობაზე. ის გვხვდება უილიამ პეილისთან<sup>4</sup> და კიდევ სხვებთან, ასევე, გონივრული ჩანაფიქრის შესახებ თეორიის (*intelligent design*) თანამედროვე წარმომადგენლებთან.

ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტის მეორე დებულება სამი ძირითადი ვერსიის სახით არსებობს. ჩანაფიქრის ავტორის (*Designer*) შესახებ ფორმულირება გვხვდება კლასიკურ საბერძნეთში, პლატონის ჩათვლით, რომელიც თავის დიალოგში „ტიმეოსი“, დემიურგის შესახებ საუბრობს. დემიურგი სამყაროში არსებული წესრიგის შემოქმედია. ის უფრო საყოველთაო და უპიროვნო მომწესრიგებელი პრინციპია, ვიდრე იუდეურ-ქრისტიანიზებული პერსონალიზებული ღმერთი. პლატონის დემიურგი სამყაროს მომწესრიგებელია, რომელიც სამყაროს რაციონალურობის მიზეზია, თუმცა ის აუცილებლობით არაა სამყაროს შემოქმედი. ჩანაფიქრის ავტორის მეორე ვერსია ახლოს დგას იუდეურ-ქრისტიანული ღმერთის იდეასთან. ის პეილისა და სხვა ქრისტიანი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების მიერაა ჩამოყალიბებული და გულისხმობს „პიროვნებას“, სამყაროს შემოქმედსა და მმართველს, რომელიც არაფრიდან ქმნის სამყაროს და რომელიც ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე, ყოვლად კეთილი და ადამიანებზე მზრუნველია.

გონივრული ჩანაფიქრის თეორიის მომხრეებმა უკანასკნელ წლებში არგუმენტის მეორე დებულების მესამე ვერსია ჩამოაყალიბეს. ის გულისხმობს ჩანაფიქრის ავტორს, რომლის პიროვნება დაუდგენელია. ის, შესაძლოა, სამყაროში არსებული წესრიგისა და კომპლექსურობის მიზეზი იყოს, ან კიდევ უბრალოდ დროდადრო ერეოდეს სამყაროში ორგანიზმებისა და მათი ორგანოების შესაქმნელად, რადგან, ამ შეხედულების თანახმად, ორგანიზმთა კომპლექსურობა ბუნებრივი პროცესებით ვერ აიხსნება. გონივრული ჩანაფიქრის თეორიის მომხრეების თანახმად, გონივრული ჩანაფიქრის ავტორი შესაძლოა იყოს ღმერთი, თუმცა ეს აუცილებელი არაა. გონივრული ჩანაფიქრის

4 იხ. W. Paley, *Natural Theology, or Evidences of the Existence and Attributes of the Deity Collected from the Appearances of Nature*. New York: American Tract Society, 1802.

ავტორი შესაძლოა იყოს უცხოპლანეტელი შორეული კოსმოსიდან ან კიდევ სხვა არსება, მაგალითად, „დროში მოგზაური უჯრედის ბიოლოგი“, რომელსაც გასაოცარი ძალები აქვს, და რომელზე მითითებითაც შეიძლება აიხსნას სამყაროს აგებულება. ამ ვერსიაში თავიდან არიდებულია აშკარა მითითება ღმერთზე, რის გამოც გონივრული ჩანაფიქრის „თეორია“ შესაძლოა ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში, როგორც ევოლუციის თეორიის ალტერნატივა ისე, რომ არ წარმოიქმნას კონფლიქტი აშშ კონსტიტუციასთან, რომელიც კრძალავს საჯარო ინსტიტუტებში ნებისმიერი რელიგიური რწმენის მხარდაჭერას.

### ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტი ანტიკურობაში

**ანაქსაგორა კლაძომენელი** (ძვ. წ. 500-428 წწ.) იმ ადრეულ ნინასოკრატელ ბერძენ ფილოსოფოსთან რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტის განსხვავებული ვერსიები ჩამოაყალიბეს. ანაქსაგორა უმთავრესად ასტრონომიული და მეტეოროლოგიური საკითხებით იყო დაინტერესებული, მაგრამ, ასევე, ყურადღებას უთმობდა ბიოლოგიურ დოქტრინებსაც. მან ჩამოაყალიბა გონების იდეა, რომელზე მითითებითაც სამყაროში არსებულ წესრიგს ხსნიდა: „ყველა საგანი [...] რომელიც არსებობდა, რომელიც არსებობს და რომელიც იარსებებს [...] გონებამ მოაწესრიგა, იმ მოძრაობის ჩათვლით, რომლითაც ახლა ვარსკვლავები, მზე და მთვარე მოძრაობენ.“<sup>5</sup> **დიოგენე აპოლონიელი**, ანაქსაგორას ახლო თანამედროვე, ამტკიცებს, რომ „ის, რასაც ადამიანები ჰაერს უწოდებენ [...] ჩემი აზრით, ღმერთია, რომელიც ყველგან აღწევს, ყოველივეს განკარგავს და ყველაფერშია მოქცეული.“<sup>6</sup>

თავის დიალოგში „ფედონი“ **პლატონი** (ძვ. წ. 427-347 წწ.) ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტს სოკრატეს მეშვეობით გამოთქვამს: „ერთხელ ასეთი რამ გავიგე: ვილაცას [...] ანაქსაგო-

5 იხ. G. K. Kirk, J. E. Raven, M. Schofield, *The Presocratic Philosophers: A Critical History with a Selection of Texts*. Cambridge: Cambridge University Press, 1983, გვ. 363.

6 იქვე, გვ. 442.

რას წიგნში წაუკითხავს – გონებაა ის, რაც ყოველივეს აწესრიგებს, გონებააო ყველაფრის მიზეზი.<sup>7</sup> „ტიმეოსში“ პლატონი გონებას ქმნადობის უნარს მიაწერს. ეს გონება არაფრიდან კი არ ქმნის რაიმეს, არამედ სამყაროში არსებული რაციონალური წესრიგისა და ორგანიზმთა აგებულების მიზეზია.

ძველ რომაელებს შორის ამ მხრივ გამოირჩეოდა დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი **მარკუს ტულიუს ციცერონი** (ძვ. წ. 106-43 წწ.), რომელიც ამტკიცებდა, რომ ცოცხალ სამყაროში არსებული მიზანმიმართული კომპლექსურობა (რომლის ერთ-ერთი ნიმუშიც ადამიანის თვალია) ვერ გაჩნდებოდა შემთხვევით, გარკვეული წარმმართველი ძალის გარეშე.

### ქრისტიანი ავტორები

ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტი ქრისტიანული ეპოქის პირველ საუკუნეებში განავითარა **ნეტარმა ავგუსტინემ** (354-430 წწ.) და როგორც თომა აქვინელი გადმოგვცემს, **იოანე დამასკელმა** (675-749 წწ.). ეს ავტორები სამყაროს, როგორც მთლიანის, ჰარმონიასა და სრულყოფილებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

თავის ნაშრომში „თეოლოგიის სუმა“ (*Summa Theologiae*) აკვინელი აყალიბებს ღმერთის არსებობის დასაბუთების ხუთ გზას, რომლებიც გონებას ემყარება. მეხუთე არგუმენტი მიუთითებს სამყაროში არსებულ წერიგსა და მიზანმიმართულობაზე, რაც იმას ადასტურებს, რომ სამყარო უზენაესი გონების მიერაა შექმნილი.

ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტის ყველაზე ძლიერი და დახვეწილი ფორმულირება უილიამ პეილიმდე ეკუთვნის ინგლისელ სასულიერო პირსა და ბუნებისმეტყველს **ჯონ რეის** (1627-1705 წწ.), რომელიც მან გადმოსცა თავის ნაშრომში „შესაქმის ნამუშაკარში გაცხადებული ღვთაებრივი სიბრძნე“. ღვთაებრივი სიბრძნის უეჭველ დასტურად რეი მიიჩნევდა

7 შდრ. პლატონი, „ფედონი“, 97C, ქართულად თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბილისი: „ნაკადული“, 1966 წ., გვ. 84. – მთარგმნ. შენიშვნა.

იმ გარემოებას, რომ სამყაროს ყველა შემადგენელი ნაწილი (ვარსკვლავები, პლანეტები და, ასევე, ცოცხალი ორგანიზმები) დასაბამიდანვე გონივრულად არის ჩაფიქრებული და სრულყოფილად ახორციელებს თავის ფუნქციებს. რეის თანახმად, „ღვთაების არსებობის დამადასტურებელი ყველაზე დამარწმუნებელი არგუმენტი არის ის შესანიშნავი ხელოვნება და სიბრძნე, რომელიც ვლინდება ზეცისა და მიწის დიად აგებულებაში: მისი შემადგენელი ყოველი ნაწილისა და წევრის აგებულებასა და სტრუქტურაში, მათ წესრიგსა და ურთიერთმიმართებაში, დაბოლოს, მათ მიზნებსა და მოქმედებაში.“<sup>8</sup>

XVII-XVIII საუკუნეებში ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტი მეტ-ნაკლები სისავსით განავითარეს მთელმა რიგმა ავტორებმა. ჯონ რეის თანამედროვე **ჰენრი მორი** (1614-1687 წწ.) დღისა და ღამის, ასევე, წელიწადის დროების მონაცვლეობას ღმერთის ჩანაფიქრის დადასტურებად მიიჩნევდა. ფიზიკოსმა **რობერტ ჰუკმა** (1635-1703 წწ.), რომელიც სამეფო საზოგადოების მდივანი გახდა, შემოიტანა მესაათის ანალოგია, რომელიც იმ ეპოქის ბრიტანელმა ბუნებითმა თეოლოგებმა აიტაცეს. ყოველი მცენარე და ცხოველი ღმერთმა „ყველანაირი სახის მექანიზმით აღჭურვა, რომლებიც აუცილებელია მათი არსებობისა და გამრავლებისთვის [...] მან ეს გააკეთა ისევე, როგორც მესაათე ამზადებს საათის მუსიკალურ ნაწილს.“<sup>9</sup> ევროპის კონტინენტზე **ვოლტერი** (1694-1778 წწ.), განმანათლებლობის ეპოქის სხვა ფილოსოფოსებთან ერთად, ეთანხმებოდა ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტს. ვოლტერი ამტკიცებდა, რომ ისევე, როგორც საათის არსებობა ადასტურებს მესაათის არსებობას, ასევე, ბუნებაში არსებული ჩანაფიქრი და მიზანმიმართულობა ადასტურებს იმას, რომ სამყარო უზენაესი გონების მიერაა შექმნილი.<sup>10</sup>

8 იხ. J. Ray, *The Wisdom of God Manifested in the Works of Creation*. London: Wernerian Club, 1691, გვ. 33.

9 იხ. R. Hooke, *Micrographia, or, Some Physiological Descriptions of Minute Bodies Made by Magnifying Glasses with Observations and Inquiries Thereupon*. London: Martyn & Allestry, 1665, გვ. 124.

10 იხ. N. L. Torrey, “Voltaire (François-Marie Arouet de Voltaire)”, in: P. Edwards (ed). *Encyclopedia of Philosophy*, vol. 8. London: Macmillan, 1967, გვ. 262–270.

## უილიამ პეილის „ბუნებითი თეოლოგია“<sup>11</sup>

თავის „ბუნებით თეოლოგიაში“ უილიამ პეილი (1743-1805 წწ.), თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინგლისელი მწერალი, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ორგანიზმებისა და მათი ორგანოების კომპლექსური და ზუსტი აგებულება შეიძლება აიხსნას მხოლოდ გონიერი და ყოვლისშემძლე „ავტორის“ ქმედებებით. „ბუნებით თეოლოგიაში“ პეილი შეეცადა, შეეცხო რეის „ღვთაებრივ სიბრძნეში“ მოცემული არგუმენტები. მას ჰქონდა შესაძლებლობა, რეიზე უფრო შორს წასულიყო და ერთი საუკუნის განმავლობაში დაგროვებულ ბიოლოგიურ ცოდნას დაყრდნობოდა. პეილის საფუძველმდებარე დებულება შემდეგი იყო: „შეუძლებელია, არსებობდეს ჩანაფიქრი – ავტორის, მექანიზმი – მისი შემქმნელის, ხოლო წესრიგი – არჩევანის გარეშე. ასევე, შეუძლებელია არსებობდეს მიზნისთვის შესაფერისი საშუალება და ამ მიზნის შესატყვისი მოქმედება ამ მიზნის მოაზრების გარეშე.“<sup>12</sup>

ფაქტიურად, მთელი „ბუნებითი თეოლოგია“ წარმოადგენს ღმერთის არსებობის დამადასტურებელ არგუმენტს, რომელიც ადამიანისა და მისი ორგანოების, ასევე, ყველა სხვა სახის ორგანიზმის აგებულებას ემყარება (როგორც ცალკე, ასევე, ერთმანეთთან და გარემოსთან მიმართებაში განხილულს). პეილის პირველი ვრცელი მაგალითი ადამიანის თვალს ეხება. იგი აღნიშნავს, რომ თვალი და ტელესკოპი „ერთსა და იმავე პრინციპებს ემყარება. ორივე მათგანი ადაპტირებულია იმ კანონებთან, რომლებიც სინათლის სხივების გადაცემასა და გარდატეხვას არეგულირებს.“<sup>13</sup> უფრო ზუსტად, არსებობს ზუსტი მსგავსება ტელესკოპის ლინზებსა და „თვალის წყლისებურ ნამს“ შორის (ფორმა, მდებარეობა და ლინზიდან (თვალის

11 ბუნებითი თეოლოგია – თეოლოგიის სახე, რომელიც გონებასა და ყოველდღიურ გამოცდილებას ემყარება. – *მთარგმნ. შენიშვნა.*

12 იხ. W. Paley, *Natural Theology, or Evidences of the Existence and Attributes of the Deity Collected from the Appearances of Nature*. New York: American Tract Society, 1802, გვ. 15-16.

13 იქვე, გვ. 20.



შემთხვევაში, ბადურაზე) ზუსტ მანძილზე სინათლის სხივების შეკრების უნარი).

„ბუნებითი თეოლოგია“ შეიცავს თავებს, რომლებიც ადამიანის ჩონჩხს ეხება და სადაც მოცემულია ძვლების, ხრტილისა და სახსრების ზუსტი მექანიკური მდებარეობის აღწერა. აქ, ასევე, გვხვდება თავები, რომლებიც ეძღვნება სისხლის მიმოქცევას და სისხლძარღვთა მდებარეობას, ადამიანებისა და ცხოველების შედარებით ანატომიას, საჭმლის მომწელებელ სისტემას, თირკმლებს, შარდსადენ მილსა და შარდის ბუშტს, ფრინველის ფრთებსა და თევზების ფარფლებს და ა.შ. „ბუნებითი თეოლოგიის“ 352 გვერდზე ნათლად ჩანს პეილის განსწავლულობა, მისი ფართო და ზუსტი ბიოლოგიური ცოდნა (იმდენად ზუსტი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო 1802 წელს). ყოველი ბიოლოგიური ორგანიზმის, მიმართებისა თუ პროცესის ზუსტი აგებულებისა და დახვეწილი ფუნქციონირების მექანიზმის დაწვრილებითი აღწერის შემდეგ პეილის ისევ და ისევ იგივე დასკვნა გამოაქვს: მექანიკური სრულყოფილების, მიზანმიმართულობისა და ფუნქციონალურობის ამ სასწაულების, ასევე, იმ აურაცხელ გამომგონებლობათა ახსნა, რომლებსაც ისინი შეიცავენ, მხოლოდ ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ღვთაებაზე მითითებითაა შესაძლებელი.

1829 წელს **ფრენსის ჰენრი ეგერთონმა** (1756-1829 წწ.), ბრიჯუოთერის მერვე გრაფმა, სამეფო სამეცნიერო საზოგადოებას რვა ათასი გირვანქა ფუნტი უანდერძა. ანდერძის თანახმად, სამეფო საზოგადოებას უნდა შეეკვეთა რვა ტრაქტატი, რომლებიც პოპულარიზაციას გაუწევდნენ ბუნებით თეოლოგიას „ქმნილებებში გამჟღავნებული ღვთაებრივი ძალმოსილების, სიბრძნისა და სიკეთის“ დემონსტრირებით. 1830-იან წლებში ნამყვანმა ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს რვა ნაშრომი, რომლებმაც საგრძნობი ზეგავლენა მოახდინეს საზოგადოებასა და მეცნიერებზე. ამ ნაშრომებიდან ზოგიერთში საკმაოდ ოსტატურადაა გადმოცემული იმ ეპოქის მეცნიერების საუკეთესო მიღწევები. 1833 წელს სერ **ჩარლზ ბელმა**, გამოჩენილმა ანატომმა და ქირურგმა, რომელიც ცნობილი იყო

თავისი აღმოჩენებით ნევროლოგიის სფეროში, გამოაქვეყნა ნაშრომი „ხელი, მისი მექანიზმები და სასიცოცხლო უნარები, როგორც ჩანაფიქრის დადასტურება“. ოქსფორდის უნივერსიტეტის გეოლოგიის პროფესორმა **უილიამ ბაქლენდმა** 1836 წელს გამოსცა „გეოლოგია და მინერალოგია“. 1857 წელს **ჰიუ მილერმა** თავის ნაშრომში „კლდეთა მოწმობა“ ჩამოაყალიბა არგუმენტი, რომელსაც მე „მშვენიერებაზე დამყარებულ არგუმენტს“ ვუნოდებ. ამ არგუმენტის თანახმად, შემოქმედის ჩარევას ადასტურებს არა მხოლოდ ჩანაფიქრის სრულყოფილება, არამედ იმ ბუნებრივი სტრუქტურების მშვენიერებაც, რომლებიც გვხვდება კლდეებში, მთებსა და მდინარეებში.

### „თეორია“ გონივრული ჩანაფიქრის შესახებ

დარვინის „სახეობათა წარმოშობამ“ (1859 წ.) მნიშვნელოვანწილად უარყო ბუნებითი თეოლოგია, რომელიც ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტზე დაყრდნობით ცდილობდა ღმერთის არსებობის დასაბუთებას. მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლებიდან აშშ-ში რამდენიმე ავტორმა ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტი კვლავ წინა პლანზე წამოწია. მათგან აღსანიშნავია **მაიკლ ბიჰი, უილიამ დემბსკი და სთივენ მაიერი**. ჩანაფიქრის შესახებ არგუმენტის ეს თანამედროვე მხარდამჭერები ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ არაა აუცილებელი, გონიერი ავტორი ღმერთი იყოს. ის, შესაძლოა იყოს უცხოპლანეტელი ან კიდევ სხვა გონიერი სუპერ-ძალა, რომელიც ჩვენთვის უცნობია. ამ განცხადების უგუნურება ნათელი გახდება ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც საკითხს სერიოზულად განიხილავს.

გონივრული ჩანაფიქრის თეორიის მომხრეები ორგანიზმებში არსებული ვითომდაც არარედუციურებადი კომპლექსურობის ასახსნელად გონიერი ავტორის იდეას მიმართავენ. **არარედუციურებად კომპლექსურ სისტემას** ბიჰი განმარტავს როგორც ისეთ ორგანიზმს, რომელიც „შედგება რამდენიმე ერთმანეთთან კარგად შეთავსებული, ურთიერთქმედებაში მყოფი ნაწილისგან, რომლებიც ძირითადი ფუნქციის შესრულებას უზრუნველყოფენ.

ამ ნაწილიდან ნებისმიერი მათგანის მოცილება, ფაქტიურად, სისტემის ფუნქციონალურობის შეწყვეტას იწვევს.<sup>14</sup> ბიჰის თანახმად, არარედუცირებადი კომპლექსური სისტემები ვერ იქნება ბუნებრივი გადარჩევის შედეგი, რომელიც მცირე ნაბიჯებით განხორციელებადი პროცესია, კომპლექსური სისტემების კომპონენტებს ათასობით და მილიონობით თაობის განმავლობაში თანდათანობით რომ აგროვებს. მტკიცებულებების საფუძველზე ევოლუციონისტიებმა არაერთგზის მიუთითეს, რომ ორგანოები და ცოცხალი არსებების სხვა კომპონენტები არარედუცირებადად კომპლექსური არაა: ისინი მყისიერად არ ჩნდებიან და „ციდან არ ვარდებიან“.<sup>15</sup> ევოლუციონისტიებმა აჩვენეს, რომ ისეთი ორგანო, როგორცაა ადამიანის თვალი, სულაც არაა არარედუცირებადი. პირიქით, წარსულში არსებობდა იმავე სისტემის ნაკლებად კომპლექსური ვერსიები, ხოლო ზოგიერთი მათგანის ნახვა თანამედროვე ორგანიზმებშიც შეიძლება.

### ბუნებრივი გადარჩევა

ბუნებრივი გადარჩევის იდეა დარვინმა, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის შემოიტანა, რათა ცოცხალი არსებების ადაპტირებადი ორგანიზაცია ანუ აგებულება აეხსნა.<sup>16</sup> ეს არის

---

14 იხ. M. Behe, *Darwin's Black Box: The Biochemical Challenge to Evolution*. New York: The Free Press, 1996, გვ. 39.

15 იხ., მაგალითად, K. R. Miller, *Finding Darwin's God: A Scientist's Search for Common Ground*. New York: Harper Collins, 1999; მისივე, "The Flagellum Unspun: The Collapse of Irreducible Complexity". In: W. Dembski and M. Ruse (eds.), *Debating Design: From Darwin to DNA*. Cambridge: Cambridge University Press, 2004, გვ. 81–97; M. J. Brauer, D. R. Brumbaugh, "Biology Remystified: The Scientific Claims of the New Creationist". In: R. T. Pennock (ed.), *Intelligent Design, Creationism and Its Critics: Philosophical, Theological, and Scientific Perspectives*. Cambridge, MA: MIT Press, 2001, გვ. 289–334; M. Perakh, *Unintelligent Design*. New York: Prometheus Books, 2004; F. J. Ayala, *Darwin's Gift to Science and Religion*. Washington, DC: Joseph Henry Press, 2007.

16 იხ. Ch. Darwin, *On the Origin of Species by Means of Natural Selection*. London: John Murray, 1859.

პროცესი, რომელიც ინარჩუნებს და ხელს უწყობს ადაპტაციას. ხშირად ბუნებრივი გადარჩევის თანამდევი შედეგია ევოლუციური ცვლილება დროის განმავლობაში და ევოლუციური დივერსიფიკაცია (სახეობათა გამრავალფეროვნება), რაც ხელს უწყობს ორგანიზმების ადაპტაციას თავიანთ გარემოსთან. ბუნებრივი გადარჩევა უშუალოდ არ უწყობს ხელს ევოლუციურ ცვლილებას. შესაბამისად, ევოლუციური ცვლილება არ არის ბუნებრივი გადარჩევის აუცილებელი შედეგი. მართლაც, როგორც დარვინი აღნიშნავდა, ზოგიერთი სახეობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იცვლება. *Nautilus*, *Lingula* და სხვა ე.წ. „ცოცხალი ნამარხები“ ისეთი ორგანიზმების მაგალითებია, რომელთა გარეგანი ფორმა მილიონობით წლის განმავლობაში არ შეცვლილა და რომლებზეც დარვინი მიუთითებდა. ბუნებრივი გადარჩევა არც იმის გარანტიას იძლევა, რომ კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილზე ადაპტაციის სახით ჩამოყალიბებული თვისებები წარმატებული იქნებიან დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მართლაც, ყველა იმ სახეობიდან, რომელიც საერთოდ არსებობდა, 99%-ზე მეტი გადაშენდა.

ევოლუცია ორგანიზმის ცხოვრების ყველა ასპექტს ეხება. ესენია: მორფოლოგია (ფორმა და სტრუქტურა), ფიზიოლოგია (ფუნქციები), ქცევა და ეკოლოგია (გარემოსთან ურთიერთქმედება). ამ ცვლილებებს საფუძვლად უდევს ცვლილებები გენეტიკურ აგებულებაში. გენეტიკის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ევოლუცია ორგანიზმის გენეტიკურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებებისგან შედგება.

ევოლუციაში, როგორც გენეტიკურ პროცესში, შესაძლოა, ორი საფეხური გამოვყოთ. პირველი: მუტაციის მეშვეობით ჩნდება მემკვიდრეობითი ცვალებადობა (ვარიაცია); მეორე: გადარჩევის მეშვეობით იზრდება სასარგებლო ცვლილებების (ვარიაციების) სიხშირე, ხოლო ის ცვლილებები, რომლებიც ნაკლებად სასარგებლო ან საზიანოა, თანდათანობით ქრება მომდევნო თაობებში. დარვინის აზრით, სასარგებლო ვარიაციების მქონე ინდივიდებს „გადარჩენისა და გამრავლების საუკეთესო

შანსი ექნებათ“.<sup>17</sup> ამის შედეგად, ნაკლებად სასარგებლო ან საზიანო ვარიაციების ხარჯზე, თაობათა განმავლობაში იზრდება სასარგებლო ვარიაციათა რაოდენობა.

ბუნებრივი გადარჩევა ზრდის ისეთი გენეტიკური კომბინაციების შესაძლებლობას, რომელთა ალბათობა უაღრესად მცირეა და ამის მეშვეობით სიახლესა და კომპლექსურობას წარმოქმნის. მუტაციასთან ერთად, ბუნებრივი გადარჩევა, ამ მხრივ, შემოქმედებით პროცესად იქცევა. ეს არის პროცესი, რომელიც მრავალი მილიონი წლის განმავლობაში მიმდინარეობს ბევრი განსხვავებული ევოლუციური მიმართულებით; ის მრავალ სახეობაში ხორციელდება, რომელთაგან თითოეული ინდივიდთა დიდ რაოდენობას შეიცავს.

ბუნებრივი გადარჩევა თანდათანობითი პროცესია, რომელიც დროს მოითხოვს. ის წარმოშობს ისეთ ორგანიზმებს, რომლებსაც მოცემულ დროში და მოცემულ ადგილზე არსებული დომინანტური პირობების ფარგლებში, სხვებთან შედარებით, უკეთ შეუძლიათ გადარჩენა და გამრავლება. დროის ამა თუ იმ მომენტში მოცემული სახეობის ინდივიდები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან (მაგალითად, განსხვავება ისეთ ბაქტერიებს შორის, რომლებსაც აქვთ ან არა აქვთ ფერმენტი, რომელსაც შაქრის ლაქტოზის სინთეზირება შეუძლია; ან კიდევ განსხვავება ჩრჩილებს შორის, რომლებსაც ნათელი ან მუქი ფერის ფრთები აქვთ). ეს განსხვავებები, როგორც წესი, ერთ ან მხოლოდ რამდენიმე გენს მოიცავს,<sup>18</sup> მაგრამ ეს, შესაძლოა, ნიშნავდეს განსხვავებას გადარჩენასა და სიკვდილს შორის, როგორც ამას აჩვენებს დდტ-ს<sup>19</sup> მიმართ რეზისტენტულობის ევოლუცია დაავადების გადამტან კოლოებში ან ანტიბიოტიკების მიმართ – ადამიანებში. განვიხილოთ სხვა სახის მაგალითი. ზოგიერთი ჩანთოსანი თავგი (*Chaetodipus intermedius*) ცხოვრობს

---

17 იქვე, გვ. 81.

18 იხ. S. B. Carroll, *Endless Forms Most Beautiful: The New Science of Evo Devo and the Making of the Animal Kingdom*. New York: W. W. Norton, 2005.

19 მწერების სანინალმდეგო შხამი დიქლორდიფენილტრიქლორეთანი. – მთარგმნ. შენიშვნა.

არიზონას გაშიშვლებულ კლდოვან ქანებში. ნათელი, ქვიშის-ფერი თაგვები გვხვდებიან ნათელი ფერის ჰაბიტატებში, ხოლო მუქი პიგმენტაციის მქონე თაგვები ჭარბობენ მუქ კლდეებში, რომლებიც ბაზალტური ლავის უძველესი ნაკადებისგანაა ჩამოყალიბებული. ჰაბიტატსა და ბენვის ფერს შორის თანხვედრა თაგვებს ფრთოსანი და ძუძუმწოვარი მტაცებლებისგან იცავს, რომლებიც, ძირითადად, მხედველობაზე დაყრდნობით ნადირობენ. ნათელ ან მუქ შეფერილობას თაგვებში მხოლოდ ერთი გენი იწვევს, რომელიც MC1R-ის სახელითაა ცნობილი.<sup>20</sup>

ადაპტაციები, რომლებიც კომპლექსურ სტრუქტურებს, ფუნქციებს ან ქცევებს ეხება, მრავალ გენს მოიცავენ. ბევრ კარგად ცნობილ ძუძუმწოვარს, თუმცა არა ჩანთოსანს, აქვს პლაცენტა.<sup>21</sup> ჩანთოსნები მოიცავს კენგურუს და სხვა ძუძუმწოვრებს, რომლებიც, დიდწილად, ენდემურია ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკისთვის. ძაღლებს, კატებს, თაგვებს, ვირებს და პრიმატებს პლაცენტა აქვთ. პლაცენტის მეშვეობით იზრდება ის დრო, რომელსაც განვითარებადი ჩანასახი ატარებს დედის ორგანიზმში. ამრიგად, ახალშობილი უფრო უკეთაა მომზადებული იმისთვის, რათა დამოუკიდებლად გადარჩეს. თუმცა, პლაცენტა მოითხოვს მთელ რიგ კომპლექსურ ადაპტაციებს: დედასა და ჩანასახს შორის მავნე იმუნური ურთიერთქმედების გაქრობას, ჩანასახისთვის ვარგისი საკვები ნივთიერებებისა და ჟანგბადის მიწოდებას, ემბრიონული გამონაყოფების მოცილებას. ძუძუმწოვრებში პლაცენტა 100 მილიონ ნელზე მეტი ხნის წინ განვითარდა. ის წარმატებული ადაპტაცია გამოდგა, რომელმაც ხელი შეუწყო პლაცენტის მქონე ძუძუმწოვრების

20 იხ. M. W. Nachman, H. E. Hoekstra, S. L. D'Agostino, "The Genetic Basis of Adaptive Melanism in Pocket Mice". *Proceedings of the National Academy of Sciences USA*, 100 (2003), გვ. 5268–5273.

21 პლაცენტა – ძუძუმწოვრების, ასევე, ზოგიერთი ქორდიანის და უხერხემლოების რთული წარმონაქმნი, რომელიც აკავშირებს ნაყოფსა და დედის ორგანიზმს ორსულობის ან მაკობის დროს. პლაცენტით ნაყოფი დედის ორგანიზმიდან იღებს ჟანგბადს, საკვებსა და სხვა საჭირო ნივთიერებებს. – მთარგმნ. შენიშვნა.

საკმაოდ სწრაფ დივერსიფიკაციას ძველ სამყაროსა<sup>22</sup> და ჩრდილოეთ ამერიკაში.

პლაცენტა თევზების ზოგიერთ ჯგუფშიც განვითარდა, მაგალითად, *Poeciliopsis*-ში. *Poeciliopsis* ზოგიერთი სახეობა კვერცხებს დებს. მდედრები კვერცხს ყვითრით<sup>23</sup> უზრუნველყოფენ, რომელიც განვითარებად ჩანასახს საკვები ნივთიერებებით ამარაგებს (როგორც ეს წინილებშია). თუმცა, *Poeciliopsis* სხვა სახეობებს განუვითარდათ პლაცენტა, რომელთა მემკვიდრით დედა ჩანასახს საჭირო ნივთიერებებს აწვდის. მოლეკულურმა ბიოლოგიამ *Poeciliopsis* სახეობის ევოლუციური ისტორიის რეკონსტრუირების საშუალება მოგვცა და გასაოცარი შედეგი აჩვენა: თევზის ამ ჯგუფში პლაცენტა დამოუკიდებლად სამჯერ განვითარდა. თითოეული შემთხვევისთვის საჭირო კომპლექსური ადაპტაციების დაგროვებას 750 000 წლამდე დრო დასჭირდა.<sup>24</sup>

ბუნებრივი გადარჩევა წარმოშობს გენების ისეთ კომბინაციებს, რომლებიც თითქოს საკმაოდ ნაკლებადაა მოსალოდნელი. ეს იმიტომ, რომ ბუნებრივი გადარჩევა მოქმედებს ნაბიჯ-ნაბიჯ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. განვიხილოთ თვალის ევოლუცია ადამიანებსა და სხვა ხერხემლიანებში. სინათლის აღქმა, ხოლო შემდეგ მხედველობა, მნიშვნელოვანი იყო მათი წინაპრების გადარჩენისა და გამრავლებისთვის, რადგან მზის შუქი გარემოს დომინანტურ თვისებას წარმოადგენს. შესაბამისად, ბუნებრივი გადარჩევა ხელს უწყობდა ისეთ გენებსა და გენების კომბინაციებს, რომლებიც თვალის ფუნქციონალურ ეფექტურობას ზრდიდნენ, განსხვავებული ტიპის ორგანიზმების მოთხოვნილებების შესაბამისად. ასეთი მუტა-

22 ავტორი გულისხმობს ევროპას, აზიასა და აფრიკას. – მთარგმნ. შენიშვნა.

23 ყვითრი – საკვები ნივთიერება, რომელიც გროვდება ცხოველებისა და ადამიანის კვერცხუჯრედებში. იგი აუცილებელია განვითარებადი ჩანასახისათვის. – მთარგმნ. შენიშვნა.

24 იხ. D. N. Reznick, M. Mateos, M. S. Springer, "Independent Origins and Rapid Evolution of the Placenta in the Fish Genus *Poeciliopsis*". *Science*, 298 (2002), გვ. 1018–1020; J. C. Avise, *Evolutionary Pathways in Nature: A Phylogenetic Approach*. Cambridge: Cambridge University Press, 2006.

ციების თანდათანობითმა დაგროვებამ საბოლოოდ წარმოშვა ხერხემლიანის საკმაოდ კომპლექსური და ეფექტური თვალი.

თანამედროვე ცხოველებს კამბრიული გეოლოგიური პერიოდის (542 მილიონი წლის წინ) ადრეული ცხოველებისგან რამდენიმე ასეული მილიონი თაობა აშორებს. იმ მუტაციების რაოდენობა, რომლებიც შესაძლოა შემონმდეს, ხოლო შემდეგ შეირჩეს მილიონობით ინდივიდულურ ცხოველში მილიონობით თაობის განმავლობაში, ადამიანური გონებისთვის რთულად სანვდომია. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია ადვილად ვწვდეთ იმ იდეას, რომ მილიონობით მცირე, ფუნქციონალურად სასარგებლო ცვლილების დაგროვებას შეუძლია გასაოცრად კომპლექსური და ადაპტაციური ორგანოს (მაგალითად, თვალის) წარმოქმნა.

### **ბუნებრივი გადარჩევა და ჩანაფიქრი**

ინჟინერს აქვს მზა კონცეფცია იმისა, თუ რა უნდა განახორციელოს ჩანაფიქრმა. შესაბამისად, იგი არჩევს შესაბამის მასალებს და იმგვარად ახდენს მათ ორგანიზებას, რომ ჩანაფიქრმა განზრახული ფუნქცია შეასრულოს. ამისგან განსხვავებით, ბუნებრივი გადარჩევა არ მოქმედებს რაიმე წინასწარგანსაზღვრული გეგმის საფუძველზე. ეს არის წმინდად ბუნებრივი პროცესი, რომელიც ფიზიოქომიკური და ბიოლოგიური ორგანიზმების თვისებების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება. ბუნებრივი გადარჩევა სხვა არაფერია, თუ არა ცოცხალი არსებების ერთმანეთისგან განსხვავებული გადარჩენისა და რეპროდუქციის შედეგი. მას მიზანშეწონილობის გარკვეული ელფერი დაჰკრავს, რადგან ის გარემოთია განპირობებული: ის, თუ რომელი ორგანიზმები გადარჩებიან და უფრო ეფექტურად გამრავლდებიან, დამოკიდებულია იმაზე, აქვთ თუ არა მათ ისეთი ვარიაციები, რომლებიც მოცემულ ადგილზე და მოცემულ დროში სასარგებლო იქნებიან მათთვის.

ბუნებრივ გადარჩევას არ გააჩნია მომავლის ხედვის უნარი. ის წინასწარ ვერ განჭვრეტს მომავალში არსებულ განსხვავებულ



გარემოებს. გარემოში მომხდარმა მკვეთრმა ცვლილებებმა, შესაძლოა ისეთი დაბრკოლებები წარმოშვას, რომლებიც გადაულახავი იქნება იმ ორგანიზმებისთვის, ადრე რომ აყვავებას განიცდიდნენ. მართლაც, სახეობათა გადაშენება ევოლუციური პროცესის ჩვეულებრივ შედეგს წარმოადგენს. დღეს არსებული სახეობები წარმოადგენენ იმ ბალანსს, რომელიც არსებობს ახალი სახეობების წარმოშობასა და მათ საბოლოო გადაშენებას შორის. დღესდღეობით თითქმის ორ მილიონამდე ცოცხალი სახეობაა აღნუსხული, თუმცა მიიჩნევა, რომ მათი საერთო რაოდენობა, სულ მცირე, ათი მილიონი მაინც უნდა იყოს. თუმცა, ისევ და ისევ, ჩვენთვის ცნობილია, რომ ყველა იმ სახეობიდან, რომელიც საერთოდ არსებობდა დედამიწაზე, 99%-ზე მეტი გადაშენდა.<sup>25</sup>

ისეთი შემთხვევითი მოვლენები, როგორცაა მუტაცია, რომელიც ორგანიზმთა ადაპტაციებს ხსნის, გონივრული ჩანაფიქრის თეორიის მომხრეთა არგუმენტების მიხედვით, ფაქტიურად წარმოუდგენელია.<sup>26</sup> თუმცა, ეს არგუმენტები არარელევანტურია, რადგან ევოლუცია შემთხვევითი პროცესებით არ იმართება. გენეტიკური მუტაციები შემთხვევითი მოვლენებია, რომლებიც გარკვეული ალბათობის ფარგლებში ხორციელდება. თუმცა, ევოლუციის შედეგებს მუტაციები არ განსაზღვრავენ. არსებობს ბუნებრივი პროცესი (კერძოდ, ბუნებრივი გადარჩევა), რომელიც შემთხვევითი კი არაა, არამედ გარკვეული მიმართულებით ხორციელდება და რომელსაც შეუძლია წესრიგის წარმოქმნა ანუ „შექმნა“. ის თვისებები, რომლებსაც ორგანიზმები იძენენ თავიანთი ევოლუციური ისტორიების განმავლობაში, არ არის შემთხვევითი: ისინი განსაზღვრებიან იმ ფუნქციური სარგებლიანობით, რომლებიც მათ მოაქვთ ორგანიზმებისთვის და თითქოს მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არიან შექმნილი. ბუნებრივი გადარჩევა ინარჩუნებს სასარგებლო მუტაციებს, ხოლო მავნე მუტაციებს აღმოფხვრის. მემკვიდრეობითი მუტა-

25 იხ. G. M. Aitken, "Extinction", *Biology & Philosophy*, 13 (1998), გვ. 393–411.

26 იხ., მაგალითად, S. C. Meyer, *Signature in the Cell: DNA and the Evidence for Intelligent Design*. New York: HarperCollins, 2009.

ციების გარეშე ევოლუცია ვერ განხორციელდება, რადგან ასეთ შემთხვევაში, არ იარსებებდა ვარიაციები, რომელთა დიფერენცირებული გადაცემა შესაძლებელი იქნებოდა თაობიდან თაობაზე. მაგრამ ბუნებრივი გადარჩევის გარეშე მუტაციური პროცესის შედეგი დეზორგანიზაცია და გადაშენება იქნებოდა, რადგან მუტაციათა უმეტესობა არახელსაყრელია. მუტაციამ და გადარჩევამ ერთობლივად წარმართეს სასწაულებრივი პროცესი, რომელმაც ჯერ მიკროსკოპული ორგანიზმები წარმოქმნა, შემდეგ კი ორქიდეები, ფრინველები და ადამიანები წარმოშვა.

ევოლუციის თეორია გამოხატავს შემთხვევითობასა და აუცილებლობას, რომლებიც სიცოცხლეშია ჩანს. მას დღის სინათლეზე გამოაქვს შემთხვევითობა და დეტერმინიზმი, რომლებიც ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული ბუნებრივ პროცესში. ამ პროცესმა მჩქეფარე ნაკადივით წარმოქმნა ყველაზე უფრო რთული, მრავალფეროვანი და მშვენიერი არსებები, რომლებიც ჩვენთვისაა ცნობილი ამ სამყაროში. ეს ის ორგანიზმებია, რომლებიც დედამიწაზე ცხოვრობენ და აქ შედიან ადამიანებიც, რომლებიც აზროვნებენ და რომლებსაც უყვართ, რომლებიც თავისუფალი ნებითა და შემოქმედებითი უნარებით არიან დაჯილდოებულნი და რომლებსაც შეუძლიათ, გააანალიზონ თავად ევოლუციის პროცესი, რომელმაც ისინი წარმოქმნა.

### **გაუთვალისწინებელი შედეგები: გონივრული ჩანაფიქრის თეორიის მიერ რელიგიისა და ღმერთის დისკრედიტაცია**

დებულებამ, რომელსაც ქვემოთ მოვიყვან, თანაბრად შესაძლოა გააკვირვოს როგორც მორწმუნეები, ასევე, მეცნიერებიც. მე ვამტკიცებ, რომ მეცნიერული ცოდნა, კერძოდ, ევოლუციის თეორია, თანხმობაშია პიროვნული ღმერთის რელიგიურ რწმენასთან, ხოლო კრეაციონიზმი და გონივრული ჩანაფიქრის შესახებ თეორია ასეთ რწმენას ეწინააღმდეგება. აღნიშნული დებულება კავშირშია ღმერთის შესახებ კონკრეტულ წარმოდგენასთან (ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე და

კეთილისმყოფელი ღმერთი), რომელსაც მრავალი მორწმუნე იზიარებს. ეს დებულება, ასევე, უკავშირდება ფიზიკური სამყაროს, კერძოდ, ცოცხალი სამყაროს შესახებ ჩვენს ცოდნას.

თანამედროვე ფიზიკის განვითარებამდე, ზოგიერთი რელიგიური რწმენის წიაღში მიიჩნეოდა, რომ წვიმას, გვალვას, ვულკანის ამოფრქვევებს და სხვა მოვლენებს, ადამიანთა დაჯილდოების ან დასჯის მიზნით, ღმერთი იწვევდა. ეს შეხედულება გულისხმობს, რომ ცუნამი, რომელმაც რამდენიმე წლის წინ 200 000 ინდონეზიელი იმსხვერპლა,<sup>27</sup> ან კიდევ უფრო გვიანდელი მიწისძვრა, რომლის შემდეგაცაა ჰაიტიზე ათეულობით ათასი ადამიანი დაიღუპა,<sup>28</sup> შესაძლოა, ღმერთის მიერ ყოფილიყო გამოწვეული. ეს კი შეუთავსებელი იქნებოდა კეთილისმყოფელი ღმერთის იდეასთან. თუმცა, დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილია, რომ ცუნამი და სხვა „ბუნებრივი“ კატასტროფები ბუნებრივი პროცესების შედეგად წარმოიქმნება. ბუნებრივი პროცესები კი მორალურ ღირებულებებს არ გულისხმობს. ამაზე ზოგიერთმა კრიტიკოსმა, შესაძლოა, თქვას: „ეს არ ათავისუფლებს ღმერთს პასუხისმგებლობისგან, რადგან ღმერთმა შექმნა სამყარო ისეთი, როგორიც ის არის. ღმერთს შეეძლო განსხვავებული სამყაროს შექმნა, სადაც კატასტროფები არ იქნებოდა.“ დიახ, რწმენის ზოგიერთი სისტემის მიხედვით, ღმერთს შეეძლო განსხვავებული სამყაროს შექმნა. მაგრამ ეს არ იქნებოდა შემოქმედებითი სამყარო, სადაც ყალიბდება გალაქტიკები, იქმნება ვარსკვლავები და პლანეტარული სისტემები, ხოლო კონტინენტების გადაადგილება მიწისძვრებს იწვევს. სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ქმნალობითაა აღსავსე და ის უფრო აღმაფრთოვანებელია, ვიდრე სტატიკური სამყარო. ეს არგუმენტი ყველას ვერ დაარწმუნებს, თუმცა როგორც ფიზიკური ბოროტების ახსნა, ის ზოგიერთისთვის დამაჯერებელია. იმპლიციტურად თუ ამკარად, ამ არგუმენტს ბევრი თეოლოგი იყენებს.

---

27 აღნიშნული კატასტროფა 2004 წელს მოხდა. – მთარგმნ. შენიშვნა.

28 7 მაგნიტუდის სიმძლავრის კატასტროფული მიწისძვრა ჰაიტიზე 2010 წლის 12 იანვარს მოხდა. – მთარგმნ. შენიშვნა.

განვიხილოთ ადამიანის ყბები, რომლებიც სულაც არაა კარგად განვითარებული; პარაზიტები, რომლებიც მილიონობით ბავშვს კლავენ; ადამიანის რეპროდუქციული სისტემა, რომლის არასრულყოფილების გამო ყოველწლიურად მსოფლიოში მილიონობით ქალს ეშლება მუცელი. თუკი ეს საშინელი მოვლენები ღმერთის უშუალო ჩანაფიქრის შედეგად ხორციელდება, მაშინ გამოდის, რომ ამ შედეგებზე ღმერთია პასუხისმგებელი. თუკი ინჟინრები ქმნიან ისეთ მანქანას, რომელიც ძრავის დაქოქვის შედეგად ფეთქდება, მაშინ ამაზე ისინი აგებენ პასუხს. მაგრამ თუკი ეს საშინელი მოვლენები ბუნებრივი პროცესების (ევოლუციის) შედეგად ხდება, მაშინ არ არსებობს მორალური წინაპირობები, რადგან ბუნებრივი პროცესები არ მოიცავენ მორალურ ღირებულებებს.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ისევ იტყვის, რომ რადგან სამყარო ღმერთმა შექმნა, საბოლოო ჯამში, ღმერთია პასუხისმგებელი, რადგან ღმერთს შეეძლო ისეთი სამყაროს შექმნა, სადაც პარაზიტები ან დისფუნქციები არ იარსებებდა. დიახ, შესაძლოა, უპასუხონ მათ სხვებმა, თუმცა ცოცხალი სამყარო, რომელშიც ევოლუცია ხდება, უფრო აღმაფრთოვანებელია. ეს არის შემოქმედებითი სამყარო, სადაც ჩნდება ახალი სახეობები, წარმოიშვება კომპლექსური ეკოსისტემები და რომელშიც ადამიანები განვითარდნენ. ეს ახსნა არ დააკმაყოფილებს ზოგიერთ მორწმუნეს, ხოლო ბევრი არამორწმუნე ნამდვილად არ მიიჩნევს მას დამაჯერებლად და *deus ex machina*-დ<sup>29</sup> ჩათვლის. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არგუმენტი, შესაძლოა, ბევრი მორწმუნისთვის, ასევე, თეოლოგისთვისაც, ერთგვარი სანყისი პუნქტი აღმოჩნდეს.

ერთ-ერთი სირთულე, რომელიც ორგანიზმთა აგებულების შემოქმედისთვის მიწერას უკავშირდება, ისაა, რომ ცოცხალი

29 *deus ex machina* – (ლათ.) სიტყვასიტყვით „ღმერთი მანქანიდან“. მოულოდნელი ხსნა: პირი ან გარემოება, რომელიც მოულოდნელად ჩნდება უიმედო ვითარებაში და მოვლენებს სასიკეთოდ წარმართავს. გამოთქმა უკავშირდება ანტიკურ ტრაგედიებს, რომლებშიც კვანძის გახსნა ხორციელდებოდა რომელიმე ღმერთის მეშვეობით, რომელიც სცენაზე მექანიკური მოწყობილობის მეშვეობით შემოდის. – მთარგმნ. შენიშვნა.

სამყარო აღსავსეა არასრულყოფილებითა და დეფექტებით. განვიხილოთ ადამიანის თვალი. მხედველობის ნერვის ბოჭკოები თვალში ოპტიკურ ნერვს აყალიბებს, რომელიც კვეთს ბადურას (იმისთვის, რათა ტვინს მიაღწიოს) და, ამრიგად, ბრმა ლაქას წარმოქმნის.<sup>30</sup> ეს მცირე არასრულყოფილებაა, თუმცა ის მაინც აგებულების არასრულყოფილებად (*imperfection of design*) რჩება. კალმარებს და რვაფეხებს ეს დეფექტი არ გააჩნიათ. ნუთუ შემოქმედს უფრო მეტი სიყვარული ჰქონდა კალმარების მიმართ და ამიტომ მათი თვალების შემთხვევაში უფრო მეტი მზრუნველობა გამოავლინა, ვიდრე ადამიანებთან მიმართებაში?

გონივრული ჩანაფიქრის შესახებ თეორია შემოქმედის ბუნების შესახებ ისეთ დასკვნებამდე მიდის, რომლებიც სრულიად განსხვავდება იმ პრედიკატებისგან, რომლებსაც ქრისტიანული თეოლოგია ღმერთს მიაწერს (ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე და კეთილისმყოფელი). არა მხოლოდ ორგანიზმები და მათი ორგანოებია არასრულყოფილები, არამედ დეფექტები და დისფუნქციები საკმაოადაა გავრცელებული, რაც „არაკომპეტენტურ“ ჩანაფიქრზე უფრო მეტყველებს, ვიდრე „გონივრულზე“. განვიხილოთ ადამიანის ყბა. ყბის ზომასთან შედარებით, ჩვენ უფრო მეტი კბილი გვაქვს, ასე რომ, სიბრძნის კბილის ამოღება ხდება საჭირო, ხოლო დანარჩენების გასწორებით ორთოდონტები არც თუ ისე ურიგო თანხებს გამოიმუშავენ. ნუთუ ამ შეცდომის გამო ღმერთი უნდა დავადანაშაულოთ? ჩვეულებრივი ინჟინერი ამ ამოცანას უკეთ გაართმევდა თავს.

ევოლუცია კარგად ხსნის ამ არასრულყოფილებას. დროთა განმავლობაში ჩვენი წინაპრების ტვინის ზომა იზრდებოდა. თავის ქალის ფორმის შეცვლამ, რაც გამოწვეული იყო უფრო დიდი ზომის ტვინით, ყბის შემცირება გამოიწვია, რათა ახალშობილის თავი დედის სამშობიარო არხისთვის ზედმეტად დიდი არ ყოფილიყო. ორგანიზმის მოთხოვნილებებს ევოლუცია ბუნებრივი გადარჩევის მეშვეობით პასუხობს. თუმცა, ეს გულისხმობს არა ოპტიმალურ აგებულებას, არამედ „შეკეთებას“, ანუ არსებული

30 ბრმა ლაქა – არე მხედველობის ველში, რომელსაც ადამიანი, წესით, უნდა ხედავდეს, თუმცა ეს ასე არ არის. ამის მიზეზი ტექსტშია მითითებული. – მთარგმნ. შენიშვნა.

სტრუქტურების თანდათანობით შეცვლას. ევოლუცია აღწევს „ჩანაფიქრს“ ბუნებრივი გადარჩევის შედეგად, ადაპტაციების ხელშეწყობით. ევოლუციის „გონივრული ჩანაფიქრი“ **არასრულყოფილი** ჩანაფიქრია და არა **გონივრული** ჩანაფიქრი.

განვიხილოთ ქალების სამშობიარო არხის მაგალითი. ეს არხი საკმაოდ ვიწროა იმისთვის, რათა მასში ჩვილის თავი გაეტიოს, რის გამოც მშობიარობის დროს ათასობით და კიდევ უფრო მეტი ახალშობილი და დედა იღუპება. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვსურს, რომ ამ დისფუნქციური აგებულების ან ბავშვთა სიკვდილის გამო ღმერთი დავადანაშაულოთ. მეცნიერება ხსნის ამ მოვლენას, როგორც ჩვენი თავის ტვინის ევოლუციური ზრდის შედეგს. სხვა პრიმატების მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები ამ სირთულეს არ აწყდებიან. წარსულში თეოლოგები ცდილობდნენ დისფუნქციის პრობლემის გადაჭრას, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ დისფუნქცია ღმერთის ჩანაფიქრზე მითითებით უნდა აეხსნათ. თეოლოგების სანუგეშოდ, მეცნიერება გვთავაზობს ახსნას, რომელიც დეფექტებს, დეფორმაციებსა და დისფუნქციებს ბუნებრივ მიზეზებს მიაწერს.

დეფექტებისა და დისფუნქციების მაგალითები, რომლებიც ყველა სახის ორგანიზმში არსებობს, შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს. ეს გამოხატავს ბუნებრივი გადარჩევის მოქნილ, „შეკეთებულზე“ ორიენტირებულ ხასიათს, რომელიც ახორციელებს არა გონივრულ, არამედ არასრულყოფილ ჩანაფიქრს. ორგანიზმთა სამყაროში, ასევე, მრავლად გვხვდება ისეთი თვისებები, რომლებსაც შესაძლოა, „უცნაურობები“ ვუწოდოთ. გარდა ამისა, აქ გვხვდება ისეთი თვისებები, რომლებიც ცნობილი არიან, როგორც „სისასტიკეები“. ეს უკანასკნელი შესაფერისი დახასიათებაა, თუკი დავუშვებთ, რომ ეს სასტიკი ქმედებები იმ არსების მიერ იყო ჩაფიქრებული, რომელიც მორალის ადამიანურ ან მასზე უფრო მაღლა მდგომ სტანდარტებს ემყარებოდა. თუმცა, ბიოლოგიური ბუნების სისასტიკეები მხოლოდ მეტაფორული სისასტიკეებია, თუ მათ ბუნებრივი გადარჩევის შედეგების კონტექსტში განვიხილავთ.

„სისასტიკის“ მაგალითები მოიცავენ არა მხოლოდ ჩვენთვის ნაცნობი მტაცებლების მიერ საკუთარი მსხვერპლის დაგლე-

ჯას (მაგალითად, პატარა მაიმუნი, რომელსაც შიმპანზე ცოცხალს ჭამს. მსხვერპლი ყვირის, ხოლო შიმპანზე მას ხორცის მოზრდილ ნაჭრებს აგლეჯს) ან პარაზიტების მიერ თავიანთი მასპინძლის ფუნქციონალური ორგანოების განადგურებას, არამედ ძალიან ხშირად ერთი და იგივე სახეობის ორგანიზმებს, თვით წყვილებსაც კი. კარგად ცნობილი მაგალითია მდედრი ჩვეულებრივი ჩოქელა, რომელიც კოიტუსის შემდეგ მამრ ჩოქელას ჭამს. ნაკლებად ცნობილია ის, რომ, თუკი შესაძლებლობა მიეცა, მდედრი ჩოქელა მამრი ჩოქელას თავს **შენწყილება**მდე ჭამს, რაც უთავო მამრ ჩოქელაში „სქესობრივი სიგიჟის“ სპაზმებს იწვევს. ეს მდედრ ჩოქელას შესაძლებლობას აძლევს, რომ მამრის გენიტალიები თავისას დაუკავშიროს. ზოგიერთ ქინქლაში (პანანინა მწერი) მდედრი იჭერს მამრს სხვა ნებისმიერი მსხვერპლის მსგავსად და თავისი ხორთუმის ბოლოთი მასში თავისი ნერწყვი შეჰყავს, რომელიც მამრის შიგნეულობის მონელებას იწყებს. მონელებულ მასას შემდეგ მდედრი შეინოვს. მონელებისგან ნანილობრივ დაცულია მამრის შედარებით დაუზიანებელი სქესობრივი ორგანოები, რომლებიც სცილდებიან მამრს, აღწევენ მდედრის ორგანიზმში და ანაყოფიერებენ მას. კანიბალიზმი მამრების მიმართ მდედრების მხრიდან ათეულობით სახეობაში გვხვდება, განსაკუთრებით, ობობებსა და მორიელებში. ცოცხალ სამყაროში ასეთი სახის „სასტიკი“ ქცევები უზვად გვხვდება.

ორგანიზმთა აგებულება ხშირად ისეთი დისფუნქციური, უცნაური და სასტიკია, რომ ის ალბათ შეიძლება ძველი ბერძნების, რომაელების და ეგვიპტელების ღმერთებს მივანეროთ, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, შეცდომებს უშვებდნენ და თავიანთ ქმედებებში სიტლანქეს ავლენდნენ. თანამედროვე ბიოლოგისთვის, რომელსაც ცოცხალი სამყაროს შესახებ ცოდნა აქვს, ორგანიზმთა აგებულება არ არის თავსებადი იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ღმერთის კონკრეტულ ქმედებასთან. გამოცხადებისა და რწმენის ღმერთი სიყვარულისა და გულმონყალების ღმერთია, რომელიც ბრძენია. მორწმუნეთა მხრებიდან

არც თუ ისე მსუბუქი ტვირთი მოიხსნა მას შემდეგ, რაც დამარწმუნებელმა ფაქტებმა აჩვენეს, რომ არ არის აუცილებელი, ორგანიზმთა აგებულება შემოქმედის უშუალო მოქმედებას მივაწეროთ, რომ ის<sup>31</sup> ბუნებრივი პროცესების შედეგია. თუკი ჩვენ შევეცდებით იმის მტკიცებას, რომ ორგანიზმები და მათი ცალკეული ნაწილები უშუალოდ ღმერთის მიერაა შექმნილი, მაშინ ჩვენ უნდა ავხსნათ ადამიანის ყბის არასრულყოფილი აგებულება, სამშობიარო არხის სივინროვე და ჩვენი არც თუ ისე კარგად „დაპროექტებული“ ხერხემალი, რომელიც სულაც არ არის იდეალური გამართულად სიარულისთვის.

გონივრული ჩანაფიქრის თეორიის მომხრეებისთვის ყველაზე შემანუხებელი შემდეგი განაზრება უნდა იყოს. მშობიარობის ყველა დაფიქსირებული შემთხვევის დაახლოებით 20 % მშობიარობის პირველი ორი თვის განმავლობაში უეცარი მუცლის მოშლით სრულდება. დღესდღეობით ეს უბედურება ყოველ წელს მსოფლიოს მასშტაბით 20 მილიონზე მეტ მუცლის მოშლის შემთხვევას იწვევს. ნუთუ ორსულობის პროცესის ნაკლოვანებები ღმერთს უნდა დავაბრალოთ? არის თუ არა ღმერთი მუცლის მოშლის ყველაზე უფრო დიდი მიზეზი? უმრავლესობა ჩვენგანი ამ საშინელ უბედურ შემთხვევებს ევოლუციური პროცესის სიტლანქით უფრო ახსნის, ვიდრე გონიერი შემოქმედის არაკომპეტენტურობით.

### „შენიღბული მეგობარი“

კარგი იქნება, თუკი გონივრული ჩანაფიქრის თეორიის მომხრეები აღიარებენ დარვინის რევოლუციას და ბუნებრივ გადარჩევას, როგორც პროცესს, რომელიც ხსნის ორგანიზმთა აგებულებას და ასევე, ცოცხალ სამყაროში ჭარბად არსებულ დისფუნქციებს, უცნაურობებს, სისასტიკესა და სადიზმს. ამ მოვლენათა მიწერა შემოქმედის კონკრეტული მოქმედებისადმი მკრეხელობის ტოლფასია. რა თქმა უნდა, გონივრული

31 იგულისხმება ორგანიზმთა აგებულება. – მთარგმნ. შენიშვნა.



ჩანაფიქრის თეორიის მხარდამჭერები და მიმდევრები გულ-წრფელი ზრახვებით მოქმედებენ და ამგვარ მკრეხელობაზე არ ფიქრობენ, მაგრამ ეს ასე ჩანს ბიოლოგისთვის, რომელსაც ანუხებს, რომ არ მოხდეს ღმერთის იდეის შებლაღვა არასრულყოფილი ჩანაფიქრის ბრალდებით.

ან განსვენებულ თეოლოგს, სერ ართურ ფიქოქს საკვირველად მიაჩნდა ის, თუ „როგორ უხალისოდ მიიღეს (თუკი საერთოდ მიიღეს) ქრისტიანულ თეოლოგიაში „შენიღბული მეგობარი“ დარვინიზმისა და ევოლუციური იდეების სახით“.<sup>32</sup> ფიქოქს მხედველობაში ჰქონდა პროტესტანტი თეოლოგის ობრი მურის განცხადება, რომელიც 1891 წელს წერდა: „დარვინიზმი გაჩნდა და, მტრის ნიღბით, მეგობრული საქმე გააკეთა. მან ფილოსოფიასა და რელიგიას შეუდარებელი სარგებელი მოუტანა.“<sup>33</sup>

დარვინის ევოლუციური თეორია ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერული მიღწევაა. ჩემი აზრით, ის, ასევე, დიდი ძღვენია რელიგიისთვის.

---

32 იხ. A. Peacocke, *The Palace of Glory: God's World and Science*. Adelaide: ATF Press, 2005, გვ. 60.

33 იხ. F. J. Ayala, *Darwin's Gift to Science and Religion*, გვ. 159.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Aitken, G. M. "Extinction." *Biology & Philosophy*, 13 (1998), pp. 393–411.
- Aquinas, Thomas. "Of God and His Creatures." In: J. J. Rickaby (ed), *Summa contra gentiles*. London: Burns & Oates, 1905.
- Augustine. *The City of God against the Pagans*. Robert Dyson, ed. Cambridge: Cambridge University Press, 1998.
- Avise, J. C. *Evolutionary Pathways in Nature: A Phylogenetic Approach*. Cambridge: Cambridge University Press, 2006.
- Ayala, F. J. *Darwin's Gift to Science and Religion*. Washington, DC: Joseph Henry Press, 2007.
- Behe, M. *Darwin's Black Box: The Biochemical Challenge to Evolution*. New York: The Free Press, 1996.
- Brauer, M. J. and Brumbaugh, D. R., "Biology Remystified: The Scientific Claims of the New Creationist." In: R.T. Pennock (ed), *Intelligent Design Creationism and Its Critics: Philosophical, Theological, and Scientific Perspectives*. Cambridge, MA: MIT Press, 2001, pp. 289–334.
- Carroll, S. B. *Endless Forms Most Beautiful: The New Science of Evo Devo and the Making of the Animal Kingdom*. New York: W. W. Norton, 2005.
- Darwin, Ch. *On the Origin of Species by Means of Natural Selection*. London: John Murray, 1859.
- Hooke, R. *Micrographia, or, Some Physiological Descriptions of Minute Bodies Made by Magnifying Glasses with Observations and Inquiries Thereupon*. London: Martyn & Allestry, 1665.
- Kirk, G. K., Raven, J. E., and Schofield, M. *The Presocratic Philosophers: A Critical History with a Selection of Texts*. Cambridge: Cambridge University Press, 1983.

- Meyer, S. C. *Signature in the Cell: DNA and the Evidence for Intelligent Design*. New York: HarperCollins, 2009.
- Miller, K. R. *Finding Darwin's God: A Scientist's Search for Common Ground*. New York: HarperCollins, 1999.
- Miller, K. R. "The Flagellum Unspun: The Collapse of *Irreducible Complexity*". In: W. Dembski and M. Ruse (eds.), *Debating Design: From Darwin to DNA*. Cambridge: Cambridge University Press, 2004, pp. 81–97.
- Nachman, M.W., Hoekstra, H. E., D'Agostino, S. L. "The Genetic Basis of Adaptive Melanism in Pocket Mice." *Proceedings of the National Academy of Sciences USA*, 100 (2003), pp. 5268–5273.
- Paley, W. *Natural Theology, or Evidences of the Existence and Attributes of the Deity Collected from the Appearances of Nature*. New York: American Tract Society, 1802.
- Peacocke, A. *The Palace of Glory: God's World and Science*. Adelaide: ATF Press, 2005.
- Pennock, R. T. *Tower of Babel: The Evidence against the New Creationism*. Cambridge, MA: MIT Press, 2002.
- Perakh, M. *Unintelligent Design*. New York: Prometheus Books, 2004.
- Plato, "Phaedo". In: J. M. Cooper (ed.), *Plato: Complete Works*. Indianapolis, IN: Hackett Publishing Company, 1997.
- Ray, J. *The Wisdom of God Manifested in the Works of Creation*. London: Wernerian Club, 1691.
- Reznick, D. N., Mateos, M., Springer, M. S. "Independent Origins and Rapid Evolution of the Placenta in the Fish Genus *Poeciliopsis*". *Science*, 298 (2002), pp. 1018–1020.
- Torrey, N. L. "Voltaire (François-Marie Arouet de Voltaire)". In: P. Edwards (ed.), *Encyclopedia of Philosophy*, vol. 8. London: Macmillan, 1967, pp. 262–270.

## კველი ალთქმის ტექსტები, მათი დასახელებები და თარგმანები



**ჯეიმს ვანდერკამი (დაიბ. 1946 წ.)** – ნოტრ-დამის უნივერსიტეტის (ინდიანას შტატი, აშშ) ემერიტუსი პროფესორი. კვლევის მიმართულებები: ბიბლიის კვლევები, ქრისტიანობა და იუდაიზმი ანტიკურ ეპოქაში.

ჯ. ვანდერკამის აღნიშნული სტატია იხ. შემდეგ კრებულში: J. C. Vanderkam, “Texts, Titles, and translations”, in: S. B. Chapman, M. A. Sweeney (eds.), *The Cambridge Companion to the Hebrew Bible/Old Testament*, Cambridge: Cambridge University Press, 2016, გვ. 9-27.

ებრაული (და არამეული) ბიბლიის 24 წიგნი (პროტესტანტულ ძველ ალთქმაში მათ 39 წიგნად ჰყოფენ) ძვ. წ. I ათასწლეულის განსხვავებულ პერიოდებში შეიქმნა. მკვლევართა შორის არ არსებობს ერთიანი პოზიცია იმის შესახებ, თუ როდის დაინერა ან შედგა ებრაული ბიბლიის ესა თუ ის ნაწილი. თუმცა, არსებობს ზოგადი კონსენსუსი იმის შესახებ, რომ უკანასკნელი წიგნი იყო დანიელის წიგნი, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 165 წლისთვის შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე არაა მოღწეული არცერ-

თი წიგნის თავდაპირველი ხელნაწერი ვერსია ანუ ორიგინალი. ქვემოთ (პირველ ნაწილში) განხილულია ებრაული ბიბლიის ის ტექსტები, რომლებიც დღესაა შემონახული.

## I. ტექსტები

პირველ განყოფილებაში განხილულია ის ტექსტები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში იცნობდნენ და შეინახავდნენ; ხოლო მეორე განყოფილებაში განხილულია ის წყაროები, რომლებიც XX საუკუნეში იქნა აღმოჩენილი ისრაელის უდაბნოებში.

**A. ტრადიციული მონუმენტები.** ებრაულ ბიბლიაში შემავალი ყველა წიგნის ტექსტი დიდი ხნის განმავლობაშია ცნობილი ორი მონუმენტის მეშვეობით. ესენია: მასორეტული ტექსტი (MT) და სეპტუაგინტა (LXX). სამარიტანული ხუთწიგნეული (SP) პირველი ხუთი წიგნის შესახებ კიდევ ერთ ძველ მონუმენტს წარმოადგენს. გარდა ამისა, არსებობს სხვა ადრეული ვერსიებიც, რომლებიც, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც ემყარებოდა ებრაულ მოდელებს და რომლებიც ძველი აღთქმის ტექსტის შენარჩუნებისა და შესწავლის კუთხით ღირებულად მიიჩნევა.

**1. მასორეტული ტექსტი (MT).** ებრაული ბიბლიის ტრადიციულ ტექსტს მასორეტული ტექსტი ეწოდება. „მასორა“ ეწოდება შენიშვნების ერთობლიობას, რომლებიც ეხებოდა ბიბლიის გადწერასა და კითხვას. ისინი იქმნებოდა იმ მიზნით, რათა მათ ხელი შეეწყობა ბიბლიის ტექსტის ზუსტი გადაცემისთვის. მასორეტული ტექსტი ორი ნაწილისგან შედგება: 1. თანხმოვან ბგერებთან დაკავშირებული ნაწილი, რომელიც თავდაპირველად ერთადერთ ელემენტს წარმოადგენდა და რომელიც გაცილებით ადრეულ ხელნაწერებს ეფუძნება; 2. ხმოვნები, მახვილები, კანტილაციური<sup>1</sup> და სხვა ნიშნები, რომლებსაც შუა საუკუნეების ებრაელი სწავლულები („მასორეტები“) თანხმოვნებს ურთავდნენ.

1 კანტილაცია – (ლათ. *cantillo*: ვმლერი ნელა) ტრადიციული მელოდიური მეთყველება იუდაურ რიტუალებში (ბიბლიის კითხვა, ლოცვა, ქადაგება და ა.შ.). – მთარგმნ. შენიშვნა.

მასორეტული ტექსტის ყველაზე ადრეული ვერსიები ახ. წ. IX-X საუკუნეებით (და XI საუკუნის დასაწყისით) თარიღდება: წინასწარმეტყველთა კაიროს კოდექსი 896 წელს გადაინერა, ალექსოს კოდექსი (ებრაული ბიბლიის დაახლოებით სამი მეოთხედი დაზიანებული ასლის სახითაა შემორჩენილი) – 925 წელს, ხოლო ლენინგრადის კოდექსი (მთლიანი ბიბლია) – 1009 წელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაზე ადრეული ხელნაწერები სრული 1000 წლით და კიდევ უფრო მეტადაა დამორებული იმ პერიოდს, როდესაც ბიბლიის უკანასკნელი წიგნი შეიქმნა.

მასორეტული ტექსტი, რომელიც შუა საუკუნეების შემდგომ მსოფლიოს ებრაელთა ბიბლიას წარმოადგენს, ნამდვილად გასაოცარი ქმნილებაა. ეს არის გამოჩენილ სწავლულთა შრომის ნაყოფი, რომელთაც ძალისხმევა არ დაიშურეს, რათა ტექსტის გადაცემისას სიზუსტე დაეცვათ და მისი ბევრი საგანგებო ასპექტი ჩაენერათ. სხვადასხვა ვერსიები ტექსტულურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა ეს განსხვავებები უმნიშვნელოა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავად მასორეტებმა შეინარჩუნეს რამდენიმე განსხვავებული ვერსია საგანგებო მეთოდების მეშვეობით. მასორეტული ტექსტის შთამბეჭდავი ბუნება და მისი გადაწერის პროცესისთვის დამახასიათებელი სიზუსტის დაცვა ეჭვგარეშეა. მაგრამ სხვა საკითხია, თუ რამდენად წარმოადგენს ტექსტის გადმოცემის ფორმა (რომელიც ასე გულმოდგინედაა შემონახული) საუკეთესო ებრაულ ტექსტს ამ წიგნებისთვის. მკვლევარები თანხმდებიან, რომ ტექსტის ხარისხის საკითხი თითოეული წიგნისთვის ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს. ზოგიერთ შემთხვევაში მასორეტული ტექსტი ინარჩუნებს ტექსტის ზუსტ, ძველ ფორმას (მაგალითად, გამოსვლათა წიგნში), ზოგჯერ კი – არა (მაგალითად, სამუელის წიგნებში). რადგან მასორეტული ტექსტი წიგნების ორიგინალურ ენაზეა შედგენილი და ყველა წიგნს მოიცავს, მას გამორჩეული ადგილი უჭირავს ებრაული ბიბლიის თანამედროვე კვლევებისა და თარგმნის პროცესში.

**2. სეპტუაგინტა (LXX).** ებრაული ბიბლიის წიგნები ებრაელმა სწავლულებმა ბერძნულ ენაზე ძვ. წ. ბოლო სამ საუკუნე-

ში თარგმნეს. არ არსებობს სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო თარგმნის პროცესი. ნაშრომი, რომელსაც „არისტეასის წერილი“ ეწოდება, გადმოგვცემს ამბავს სჯულის წიგნების (დაბადებიდან მეორე რჯულის წიგნის ჩათვლით) თარგმნის პროექტთან დაკავშირებით. აღნიშნული წყაროს მიხედვით, ეს პროექტი დაიწყო მეფე პტოლემე II ფილადელფოსის (ძვ. წ. 283-246 წწ.) დროს. გადმოცემის თანახმად, მეფის მიწვევით, ბერძნულის მცოდნე სამოცდათორმეტი ებრაელი პალესტინიდან ალექსანდრიაში (ეგვიპტე) გაემგზავრა. მათი მიზანი იყო სჯულის წიგნების თარგმნა ბერძნულ ენაზე. აღნიშნული ამოცანა სწავლულებმა სამოცდათორმეტ დღეში შეასრულეს. ეს ისტორია ხსნის იმ სახელს, რომლითაც ტრადიციულად მოიხსენიებენ ბერძნულ თარგმანს. სეპტუაგინტა სამოცდაათი ადამიანის მიერ თარგმნილს ნიშნავს (მოხერხებულობის მიზნით, რიცხვი სამოცდათორმეტი დამრგვალებულია). თუმცა, აღნიშნულ ამბავში ისტორიული სინამდვილე, შესაძლოა, ზუსტად არ იყოს ასახული. ბიბლიის განსხვავებული ნაწილების ბერძნული თარგმანის დამოწმებები დაახლოებით ძვ. წ. 200 წლიდან იწყება. შესაბამისად, გარკვეული სახის მთარგმნელობითი სამუშაო ამ დრომდე უნდა დაწყებულიყო. სეპტუაგინტის ყველაზე ადრეულ ვერსიას „ძველი ბერძნული“ (*Old Greek*) ეწოდება. აღნიშნულ ვერსიაში მოგვიანებით ხშირად შეჭქონდათ ხოლმე შესწორებები, რათა ის უფრო დაახლოებოდა ებრაულ ტექსტს. ბიბლიის წიგნების ბერძნული ტექსტები ფართოდ გამოიყენებოდა არა მხოლოდ იმ ებრაელების მიერ, რომლებიც, ძირითადად, ბერძნულენოვან ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ, არამედ ქრისტიანების მიერაც, რომლებისთვისაც ბერძნული ვერსია ძველ აღთქმად იქცა. ამის შედეგია ის, რომ სეპტუაგინტის გარკვეული პასაჟები გვხვდება ახალ აღთქმასა და სხვა ადრეულ ქრისტიანულ ტექსტებში.

ბიბლიის ბერძნული ვერსიის მრავალი ასლი არსებობს. მათგან ყველაზე ძველი ფრაგმენტული პაპირუსებია, რომელთაგან ზოგიერთი ძვ. წ. II-I საუკუნეებით თარიღდება (ნაპოვნია ეგვიპტესა და პალესტინაში). მაგალითად, ჯონ რილანდი-

სეული<sup>2</sup> „პაპირუსი 458“ ძვ. წ. II საუკუნეში დაინერა (მასზე შემონახულია მეორე რჯულის წიგნის ზოგიერთი ფრაგმენტი 23-26, 28), ხოლო „ფუადის პაპირუსი“<sup>3</sup> დაახლოებით ძვ. წ. 100 წელს (ის შეიცავს რამდენიმე ფრაგმენტს დაბადებიდან და ნაწყვეტებს მეორე რჯულის წიგნიდან). დიდი კოდექსები, რომლებიც უნციალური შრიფტითაა<sup>4</sup> დაწერილი და რომლებიც შეიცავენ ებრაული ბიბლიის ყველა წიგნის ბერძნულ შესატყვისებს (და უფრო მეტსაც: ე.წ. აპოკრიფულ წიგნებს და ახალ აღთქმას), ახ. წ. IV-V საუკუნეებით თარიღდება. მათი საუკეთესო ნიმუშებია ვატიკანის კოდექსი (*Codex Vaticanus*, =B, IV საუკუნე, ზოგადად ითვლება „ძველი ბერძნულის“ საუკეთესო მეგზურად ყველა წიგნთან მიმართებაში), სინაის კოდექსი (*Codex Sinaiticus*, =S, IV საუკუნე) და ალექსანდრიის კოდექსი (*Codex Alexandrinus*, =A, V საუკუნე). გარდა ამისა, არსებობს განსხვავებული ტექსტუალური ღირებულების მქონე ბევრი მინუსკულა.<sup>5</sup> როგორც ქვემოთ იქნება აღნიშნული, კუმრანის მეოთხე და მეშვიდე გამოქვაბულები შეიცავს ბიბლიის ბერძნულენოვანი ტექსტების ასლებს (გამოსვლა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე რჯული), რომლებიც თარიღდება ძვ. წ. II საუკუნიდან ვიდრე წელთაღრიცხვათა მიჯნამდე.

შესაბამისად, ზოგიერთი შემორჩენილი ბერძნულენოვანი მონუმბა უფრო ძველია, ვიდრე მასორეტიული ტექსტის ყველაზე ადრეული ხელნაწერები. მიუხედავად ამისა, ძველი აღთქმის თანამედროვე თარგმანებში ბერძნული ვერსია, რო-

- 2 ჯონ რილანდი (1801-1888 წწ.) – ინგლისელი მენარმე და ფილანთროპი. –*მთარგმნ. შენიშვნა.*
- 3 პაპირუსს სახელი ეწოდა ეგვიპტის მეფის ფუად პირველის (1868-1936 წწ.) პატივსაცემად, რომლის მმართველობის დროსაც იგი აღმოაჩინეს (1933 წ., ქ. ფაიუმ). –*მთარგმნ. შენიშვნა.*
- 4 უნციალური შრიფტი – დამწერლობის ტიპი, რომელიც შუა საუკუნეების ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერებში გვხვდება. მისთვის დამახასიათებელია თანაბარი ზომის ასოები, რომლებსაც არა აქვთ მკვეთრი კუთხეები და ტეხილი საზები. –*მთარგმნ. შენიშვნა.*
- 5 მინუსკულა – შუა საუკუნეების ლათინურ ანბანში: დამწერლობის ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია არამთავრული ასოების გამოყენება. –*მთარგმნ. შენიშვნა.*



გორც წესი, ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ალბათ, უფრო მეტად იმიტომ, რომ ის არ გვთავაზობს ტექსტს მის ორიგინალურ ენაზე.

„ძველი ბერძნული“ ებრაულ წყაროებს ეყრდნობოდა, თუმცა ყოველთვის არაა შესაძლებელი სრული დამაჯერებლობით ამ ებრაული წყაროს აღდგენა. მიუხედავად ამისა, მთარგმნელებს ხშირად სიტყვასიტყვით გადმოჰქონდათ ებრაული ტექსტი და ამრიგად, მათი ნათარგმნი ამ ტექსტის რეგულარულ „ანარეკლს“ გვთავაზობს. თუკი სეპტუაგინტა დამაჯერებლად შეესატყვისება მის საფუძველმდებარე ებრაულ ტექსტს, მაშინ ეს ტექსტი ბევრ შემთხვევაში განსხვავდება მასორეტიული ტექსტისგან. ზოგჯერ ეს სავარაუდო ებრაული მოდელი უკეთესი ნაკითხვის შესაძლებლობას იძლევა, ზოგჯერ კი – არა. მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ: დაბადება 4:8-ში სეპტუაგინტა განსხვავდება მასორეტიული ტექსტისგან:

მასორეტიული ტექსტი: „უთხრა კაენმა თავის ძმას აბელს. და როცა ველად იყვნენ...“

სეპტუაგინტა: „უთხრა კაენმა თავის ძმას აბელს: გავიდეთ ველად. და როცა ველად იყვნენ...“

აქ სეპტუაგინტაში (ასევე, სამარიტანულ ხუთნიგნეულში და მასორეტიული ტექსტის ზოგიერთ ვერსიაში) გვხვდება კაენის სიტყვები, რომლებიც იგულისხმება, მაგრამ არ გვხვდება მასორეტიულ ტექსტში.

ბერძნული ტექსტები ბიბლიის სხვა ძველი თარგმანების საფუძველს წარმოადგენდა. ასეთი თარგმანების თვალსაჩინო ნიმუშებია ძველი ლათინური, სომხური და ეთიოპიური ვერსიები.

**3. სამარიტანული ხუთნიგნეული (SP).** ასე ეწოდება ებრაული ბიბლიის ტექსტს, რომელიც სამარიტანული თემის მიერ გამოიყენება. ის შეიცავს ძველი აღთქმის პირველ ხუთ წიგნს (მხოლოდ თანხმომავანი ტექსტი) და დაწერილია პალეო-ებრაული ენის სამარიტანულ ვერსიაზე. სამარიტანული ხუთნიგნეუ-

ლის ტექსტი, მართალია, უფრო ძველ ვერსიას ემყარება, თუმცა შემონახულია მხოლოდ შუა საუკუნეებში ან უფრო გვიანდელ პერიოდებში გაკეთებული ასლების მეშვეობით. ყველაზე ადრეული ხელნაწერი შესაძლოა იყოს კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ასლი (Add. 1846), რომელიც მეთორმეტე საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

უმრავლეს შემთხვევაში სამარიტანული ხუთნიგნეული მასორეტულ ტექსტს თანხვდება. თუმცა, მათ შორის დაახლოებით 6000 განსხვავება არსებობს: ტექსტუალური თვალსაზრისით ეს განსხვავებები საკმაოდ უმნიშვნელოა და ძირითადად, მართლწერას უკავშირდება. მთელი რიგი განსხვავებები იჩენს თავს დაბადების მეხუთე წიგნში, სადაც სამარიტანულ ხუთნიგნეულში პატრიარქთა ასაკი სისტემატურად უფრო დაბალია, ვიდრე მასორეტულ ტექსტში ან სეპტუაგინტაში (ორივე მათგანს საკუთარი ქრონოლოგიები აქვს). იმ დაახლოებით 6000 განსხვავებისგან, რომლებიც სამარიტანულ ხუთნიგნეულსა და მასორეტულ ტექსტს შორის არსებობს, 1600-ზე მეტ შემთხვევაში სამარიტანული ხუთნიგნეული სეპტუაგინტას თანხვდება. სამარიტანული ხუთნიგნეული ემყარება მასორეტული ტექსტის მსგავს ტექსტს, თუმცა მის განვრცობილ ვერსიას წარმოადგენს. განვრცობებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სამარიტანული ხუთნიგნეული ერთ ადგილზე უყრის თავს ხუთნიგნეულში არსებულ პარალელურ მასალას. რამდენიმე შემთხვევაში კი ტექსტი სპეციფიკურად სამარიტანულ ინტერესებს ასახავს. მაგალითად, მეთავე მცნებად მოხსენებულია უფლის ბრძანება, რომელიც გერიზიმის მთას ტაძრის ადგილსამყოფელად ადგენს. დამატებითი მცნების შემოტანა შესაძლებელი გახდა პირველი ორი მცნების ერთმანეთთან კომბინირების შედეგად. ასეთ შემთხვევებში, დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ცვლილებები ტექსტის ძველ ფორმაში სამარიტანული სწავლულების მიერ განხორციელდა.

ებრაული ბიბლიის (ან მისი ნაწილების) ეს სამი – უშუალო თუ გაშუალებული – მონიშნა მხოლოდ მორწმუნეთა შესატყვისი ერთობების მიერ როდი გამოიყენება. ისინი, ასევე,

საფუძვლად უდევს ტექსტის შემსწავლელ მეცნიერთა მიერ განხორციელებულ კვლევებსა და თარგმანებს.

**4. სხვა თარგმანები.** ყურადღებას იმსახურებს, ასევე, სამი სხვა ძველი თარგმანი, რომლებიც ებრაულ ტექსტებს ემყარებოდა (თითოეული თავისებურად).

**a. პეშიტა.** ებრაული ბიბლიის წიგნების სირიულ ენაზე თარგმნა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა და ის აშკარად მთელი რიგი მთარგმნელების მიერ სრულდებოდა. შესაძლოა, რომ ეს პროცესი ახ. წ. III საუკუნის ბოლოს დასრულდა და პეშიტა სირიელი ქრისტიანების სტანდარტულ ბიბლიად იქცა. არსებობს ამ თარგმანის შედარებით ძველი ასლები. მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერი Add. 14512 ახ. წ. 459-460 წლებში შეიქმნა, ხოლო ხელნაწერი Add. 14425 – ახ. წ. 463-464 წლებში. ამბროსიუსის კოდექსი, რომელსაც მკვლევარები მაღალ შეფასებას აძლევენ, ახ. წ. VI-VII საუკუნეებით თარიღდება. პეშიტას ანუ წმინდა წერილის თარგმანს ერთი სემიტური ენიდან მეორეზე, ებრაული მთარგმნელების კვალი ეტყობა, განსაკუთრებით პირველი ხუთი წიგნის თარგმანში. ტექსტი მაღალ პროცენტულ თანხვედრას ამჟღავნებს მასორეტულ ტექსტთან.

**b. ვულგატა.** ბერძნულ თარგმანებზე დაყრდნობით შესრულებულ ძველ ლათინურ ვერსიებში არსებული საგრძნობი განსხვავებების გამო რომის ეპისკოპოსმა დამასუსმა ახ. წ. 382-383 წლებში იერონიმეს დაავალა, მოემზადებინა მთელი ბიბლიის სტანდარტული ლათინური გამოცემა ხარისხიან ბერძნულ ტექსტზე დაყრდნობით. თავდაპირველად იერონიმემ ახალი აღთქმის ძველი ლათინური ტექსტების შესწორება დაიწყო, თუმცა ძველი აღთქმის წიგნებზე მუშაობისას იგი ბერძნულ ნიმუშებს იყენებდა. მუშაობის პროცესში იგი უფრო ჩააფიქრა იმ წინააღმდეგობებმა, რომლებიც არსებობდა ბერძნულ ასლებსა და იმ ებრაულ ტექსტებს შორის, რომლებსაც მისი ებრაელი ნაცნობები იყენებდნენ (ეს უკანასკნელნი იერონიმეს პარტნიორები იყვნენ ამ საკითხებთან დაკავშირებულ დებატებში). შესაბამისად, თარგმნის პროცესში იერონიმე

უფრო მეტად დაეყრდნო ებრაულ ხელნაწერებს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთელი ვულგატა (ასე დაერქვა მოგვიანებით თარგმანს) მისი შემოქმედების ნაყოფი იყოს, თუმცა მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ შრომის შექმნაში, რომელიც შემდგომში დასავლური ეკლესიის ბიბლიად იქცა და დიდი ხნის განმავლობაში საფუძვლად ედო ინგლისურ ენაზე განხორციელებულ კათოლიკურ თარგმანებს.

**ც. თარგუმები.** სიტყვა „თარგუმი“ „თარგმანს“ ნიშნავს.<sup>6</sup> ის გამოიყენება ებრაული ბიბლიის წიგნების არამეულ ენაზე შესრულებული თარგმანების აღსანიშნავად. არამეული ენა ინტენსიურად გამოიყენებოდა ებრაელი ხალხის მიერ მეორე ტაძრის ეპოქაში.<sup>7</sup> თარგუმების ადრეული ისტორიის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი (მაგალითად, არსებობდნენ თუ არა ისინი თავდაპირველად ზეპირი ფორმით, რის შემდეგაც მოხდა მათი ჩანერა), თუმცა ზოგიერთი მათგანი მკვდარი ზღვის გრაგნილებშია აღმოჩენილი, რაც იმას ადასტურებს, რომ წერილობითი სახის თარგუმები წინაქრისტიანულ ეპოქაში არსებობდა. არსებობს კანონთა წიგნის რამდენიმე განსხვავებული თარგუმი (ფსევდო-იონათანის თარგუმი, ნეოფიტის თარგუმი, თარგუმი ფრამენტი და ონკელოსის თარგუმი), წინასწარმეტყველთა წიგნის ერთი თარგუმი (იონათანის თარგუმი) და ბიბლიის წიგნების უმეტესობის მოგვიანებით შესრულებული თარგმანები (იმ წიგნების გარდა, რომლებიც არამეულ პასაჟებს შეიცავენ: ეზრა, დანიელი). წერილობითი თარგუმები ადრეული პერიოდით თარიღდება, ხოლო აქ ჩამოთვლილი თარგუმები უფრო გვიანაა შესრულებული. თარგუმები ტექსტუალური თვალსაზრისით ღირებულია იმდენად, რამდენადაც ისინი ებრაული ტექსტების საფუძველზეა შექმნილი. მაგრამ ისინი, ასევე, მნიშვნელოვანია ბიბლიის ინტერპრეტაციის ისტორიის ქრილში, რადგან ზოგჯერ

6 ებრაულ ენაზე. –*მთარგმნ. შენიშვნა.*

7 იგულისხმება პერიოდი ძვ. წ. 516 წლიდან ახ. წ. 70 წლამდე. ამ პერიოდში იერუსალიმში ფუნქციონირებდა მეორე ტაძარი, რომელმაც ჩაანაცვლა სოლომონის ტაძარი, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში ბაბილონელებმა გაანადგურეს. მეორე ტაძარი რომაელებმა ახ. წ. I საუკუნეში გაანადგურეს. –*მთარგმნ. შენიშვნა.*

ისინი განავრცობენ ან კიდევ სხვაგვარად (ეგზეგეტიკურ კონტექსტში) ცვლიან ებრაულ პირველნიმუშებს.

**B. თანამედროვე აღმოჩენები.** XX საუკუნე დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების პერიოდი იყო. ამ აღმოჩენებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა მკვლევართათვის ხელმისაწვდომი მასალა როგორც რაოდენობრივად, ასევე, ხარისხობრივადაც და ხელი შეუწყო ბიბლიის ტექსტისა და მისი გადაცემის ისტორიის უკეთ გააზრებას.

**1. მკვდარი ზღვის (კუმრანის) გრაგნილები.**<sup>8</sup> დაახლოებით 900 ხელნაწერიდან, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა გრაგნილების რედაქტორთა მიერ, დაახლოებით 230 ბიბლიის ერთი ან რამდენიმე წიგნის ასლს წარმოადგენს. ისტორიული პერიოდი, რომლებშიც ხელნაწერები შეიქმნა, ძვ. წ. III საუკუნიდან იწყება და ახ. წ. I საუკუნემდე გრძელდება. მათი უმრავლესობა გადაწერილია ძვ. წ. I ან ახ. წ. I საუკუნეში. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მრავალი საუკუნით წინ უსწრებენ მასორეტული ტექსტის (და თვით სეპტუაგინტის) ყველაზე ადრეულ ხელნაწერს. სავარაუდოდ, კუმრანში შემონახული ასლები ბიბლიის წიგნების ტექსტთან მიმართებაში ასახავენ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ იმ პერიოდის მთელ ისრაელში არსებულ ვითარებას, რადგან ზოგიერთი გრაგნილი (დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო ადრეულები) კუმრანში სხვა ადგილ(ებ)იდან მიიტანეს.

**a. ასლთა რაოდენობა.** მრავალი შემორჩენილი გრაგნილიდან მხოლოდ ერთს შესაძლოა სრული ენოდოს: 1QIsa<sup>a</sup> ესაიას მთელ წიგნს შეიცავს. ყველა დანარჩენი ამა თუ იმ ხარისხით ფრაგმენტულია. ერთის გარდა (იგულისხმება ესთერის წიგნი), ებრაული ბიბლიის ყველა წიგნი მკვდარი ზღვის გრაგნილებში, სულ მცირე, ერთი ფრაგმენტით მაინცაა წარმოდგენილი. თითქმის ყველა ასლი დაწერილია კუთხოვანი (ანუ ასურული) შრიფტით, თუმცა თორმეტი ხელნაწერი დაწერილია პალეო-ებრაულ,<sup>9</sup> ხოლო

8 გრაგნილები მკვდარი ზღვის მახლობლად, კუმრანში, პირველად 1946 წელს აღმოაჩინეს. ხელახალი აღმოჩენები გაკეთდა 1956 წელს. – მთარგმნ. შენიშვნა.

9 ძველი ებრაული ანბანი, რომელიც ძალიან ჰგავს ფინიკიურ ანბანს; განვითარდა ძვ. წ. X-X საუკუნეებში. – მთარგმნ. შენიშვნა.

სულ მცირე ხუთი მაინც – ბერძნულ ენაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ბიბლიის თითოეული წიგნის შესატყვისი იდენტიფიცირებული ებრაული ასლების რაოდენობას. ცხრილში მოცემული რიცხვები შესაძლოა არ იყოს ზუსტი, რადგან ზოგჯერ რთულდება იმის დადგენა, ეკუთვნის თუ არა კონკრეტული ფრაგმენტი ამა თუ იმ ხელნაწერს. თუმცა, ეს რიცხვები ფაქტობრივ ვითარებასთან ახლოს უნდა იყოს. ჯამი, რომლითაც აღნიშნულია „19-20“ ან „8-9“ ასლი ბიბლიის ერთი წიგნისთვის, აღნიშნავს გაურკვეველობას იმასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ფრაგმენტი ერთ ასლს ეკუთვნის თუ რამდენიმეს. ფრჩხილებში მოცემული რიცხვები ასახავს გამოყენებულ გრაგნილთა რაოდენობას იმ შემთხვევებში, როდესაც ერთ გრაგნილზე ბიბლიის ერთზე მეტი წიგნია გადანერილი (ყოველი წიგნისთვის ერთი გრაგნილი ერთხელ ითვლება, შესაბამისად, ზოგიერთი წიგნის შემთხვევაში ასლების ჯამური მაჩვენებელი უფრო დიდია).

|                   |                              |
|-------------------|------------------------------|
| დაბადება 19-20    | მცირე წინასწარმეტყველები 8-9 |
| გამოსვლა 17 (15)  | ფსალმუნნი 36                 |
| ლევიტელთა 13 (12) | იობი 4                       |
| რიცხვთა 7 (5)     | იგავნი 2                     |
| მეორე რჯული 30    | რუთი 4                       |
| იესო ნავეს ძე 2   | ქებათა ქება 4                |
| მსაჯულნი 3        | ეკლესიასტე 2                 |
| 1-2 სამუელი 4     | იერემიას გოდება 4            |
| 1-2 მეფეთა 3      | დანიელი 8                    |
| ესაია 21          | ეზრა 1                       |
| იერემია 6         | 1-2 ნემტთა 1                 |
| იეზეკიელი 6       | ნემია 1                      |

ასლების საერთო რაოდენობა, თუკი გაურკვეველი შემთხვევებისთვის უფრო დიდ რიცხვს ავიღებთ, 207-ს შეადგენს, უფრო მცირე რიცხვების შემთხვევაში კი – 200-ს.<sup>10</sup>

<sup>10</sup> უნდა იყოს 208 და 206. მოცემულ შემთხვევაში დასაზუსტებელია, რა პრინციპს ეყრდნობა შეჯამებისას სტატიის ავტორი. –*მთარგმნ. შენიშვნა.*

**b. სხვა ხელნაწერები.** ზემოთ მოყვანილი რიცხვები შთამბეჭდავია, თუმცა კუმრანის გამოქვაბულში ნაპოვნი ბიბლიის ნიგნების მონაბეები მხოლოდ აღნიშნული ასლებით არ შემოიფარგლება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არსებობს, ბერძნული თარგმანების, სულ მცირე, ხუთი ასლი: ერთი – გამოსვლათა ნიგნისთვის, ორი – ლევიტელთა ნიგნისთვის, ერთი – რიცხვთა ნიგნისთვის და ერთიც – მეორე რჯულის ნიგნისთვის. სხვა მცირე ფრაგმენტები შესაძლოა კიდევ უფრო მეტ ასლს უკავშირდებოდეს, თუმცა არ არის შემორჩენილი საკარისი ტექსტი იმისთვის, რათა მათი იდენტიფიცირება მოხერხდეს. გარდა ამისა, არსებობს სამი ხელნაწერი, რომლებიც იდენტიფიცირებულია როგორც თარგუმები (ებრაული ბიბლიის არამეფული თარგმანები): ერთი ლევიტელთა ნიგნის და ორი – იობის ნიგნის (ამ უკანასკნელიდან ერთი ვრცელადაა შემორჩენილი).

ბიბლიური ნიგნების ამ ასლების გარდა, კუმრანის ხელნაწერებში გვხვდება სხვა ტიპის შრომები, რომლებიც მნიშვნელოვანია ძველი აღთქმის ტექსტისა და მისი ისტორიის შესწავლისთვის. კუმრანის გამოქვაბულებში აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი კომენტარები წინასწარმეტყველთა შრომებზე. ამ შრომების ავტორებს, რომლებსაც „პეშარიმ“-ები ეწოდებათ, მოჰყავთ ნაწყვეტი ძველი აღთქმის ნიგნიდან (ზოგჯერ ნიგნებიდან) და განმარტავენ მის მნიშვნელობას. აღნიშნული ნაწყვეტის კომენტარების შემდეგ ისინი მომდევნო ან სხვა პასაჟზე გადადიან. ეს დამონებები და მრავალი ბიბლიური ციტატა სხვა გრაგნილებიდან (მაგალითად, დამასკოს დოკუმენტი), მნიშვნელოვნად ამდიდრებს ინფორმაციას მკვდარი ზღვის გრაგნილების ბიბლიური ტექსტის შესახებ. გვხვდება, ასევე ფილაქტერიები („თეფილინ“) და „მეზუზოთ“-ები ანუ ძველი აღთქმის ტექსტების ერთობლიობა, რომლებიც მცირე ზომის ყუთებშია მოთავსებული. პირველი მათგანი მორნმუნის მხარზე (და თავზე; იხ., მაგალითად, გამ. 13:9), ხოლო მეორე კი კარზე მაგრდება<sup>11</sup> (რჯლ. 6:9). რადგან ყოველთვის არაა შეს-

11 ფილაქტერია თავზე, ხოლო მეზუზა (მხ. რიცხვი) – კარზე. –*მთარგმნ. შენიშვნა.*

აძლებელი ამ ორი ტიპის ერთმანეთისგან განსხვავება, თუკი მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი, ხელნაწერების რიცხვი შესაძლოა ზუსტი არ იყოს. კუმრანში ნაპოვნია 28 „თეფილინი“ (აქედან 21 – მეოთხე გამოქვაბულში), სამი „თეფილინი“ კიდევ სხვა ადგილებში იქნა აღმოჩენილი. ასევე, ცხრა „მეზუზა“ აღმოჩენილია კუმრანში და ერთი – მურაბათში.

**2. ტექსტები ისრაელის სხვა უდაბნოებიდან.** ისრაელის სხვა უდაბნოებშიც იქნა აღმოჩენილი ბიბლიის წიგნების ასლები. მართალია, იქ არ იქნა ნაპოვნი იმდენი ასლი, რამდენიც კუმრანში, თუმცა ამით ისინი ნაკლებადმნიშვნელოვანი როდი არიან.

**მასადა** – ამ ცნობილ ადგილზე გაკეთებულ აღმოჩენებზე მყარად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ვერ დათარიღდებიან ახ. წ. 73 წელზე უფრო გვიან (ამ წელს მასადას ციხე-სიმაგრე რომაელებმა დაიპყრეს).

- დაბადება 1
- ლევიტელთა 2
- მეორე რჯული 1
- ეზეკიელი 1
- ფსალმუნნი 2

### **მურაბათი (7 [6])**

- დაბადება 2
- გამოსვლა 1 (შესრულებულია დაბადების ასლის ერთ-ერთ ხელნაწერზე)
- რიცხვნი 1
- მეორე რჯული 1
- ესაია 1
- მცირე წინასწარმეტყველები 1 (შედარებით კარგად შემორჩენილი ხელნაწერი)

### **ნაჰალ ჰევერი (3)**

- რიცხვნი 1
- მცირე წინასწარმეტყველები 1 (ბერძნული ასლი, შემორჩენილია ვრცელი ტექსტი)



ფსალმუნნი 1

**ნაჰალ ჰევერი/სეელიმი (2)**

რიცხვნი 1

მეორე რჯული 1

**სეელიმი (1)**

რიცხვნი 1

**სღერი (1)**

დაბადება 1

არსებობს, ასევე, იესო ნავეს ძის წიგნისა (1) და მსაჯულთა წიგნის (1) ასლები უცნობი ადგილიდან.

**3. ტექსტების ბუნება.** აღნიშნულმა ტექსტებმა, მათი ფრაგმენტული მდგომარეობის მიუხედავად, მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ბიბლიის ტექსტების და მათი ისტორიის შესახებ არსებული ცოდნა.

**a. ზოგადი შენიშვნები.** კუმრანში არსებულ ხელნაწერთა ერთობლიობა რამდენიმე ფართო განზოგადების შესაძლებლობას იძლევა. უპირველეს ყოვლისა, ისინი გვთავაზობენ უძველეს მონუმობებს ებრაულ ენაზე ბევრი პასაჟისთვის, რომლებსაც ისინი შეიცავენ. ეს ხელნაწერები რამდენიმე საუკუნით უფრო ძველია ნებისმიერ სხვა მონუმობასთან შედარებით (ზოგიერთი ბერძნული პაპირუსის გამოკლებით). კუმრანში არსებული გრაგნილები და გრაგნილების ფრაგმენტები ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. I საუკუნემდე პერიოდში შეიქმნა. შესაბამისად, ისინი რამდენიმე ასეული წლით უფრო ძველია, ვიდრე უძველეს ბერძნულ კოდექსთა უმეტესობა (რომლებიც ახ. წ. IV საუკუნით თარიღდება). გარდა ამისა, რამდენიმე შემთხვევაში ისინი სრული ათასი წლით წინ უსწრებენ მასორეტული ტექსტის პირველ ასლებს. იმ ეპოქაში, როდესაც ყველა ტექსტი ხელით უნდა გადაწერილიყო, რაც უფრო ადრეულია მონუმობა, მით უფრო ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ გადამწერები კორექტურებს ან სხვა სახის გადაწერით შეცდომებს დაუშვებდნენ. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ძველი უკეთესია, თუმცა ანტიკური ასლები უნიკალურ კომპარატივისტულ მონუმობას გვთავაზობენ. ისინი საშუალებას გვაძლევენ, ერთმანეთს შევა-

დაროთ შედარებით ახალი (მაგალითად, მასორეტიული ტექსტი) და უფრო ძველი ასლები და დავადგინოთ, არიან თუ არა ისინი ერთმანეთის იდენტური, თითქმის იდენტური თუ სრულიად განსხვავებული.

გარდა ამისა, ისრაელის უდაბნოებში ნაპოვნი ასლები ადასტურებს იმას, რომ ებრაელი გადამწერები ბიბლიის ტექსტების გადანერას სიფრთხილითა და სიზუსტის დაცვით ახორციელებდნენ. ისრაელის უდაბნოებში აღმოჩენილ ტექსტებსა და მაგალითად, მასორეტულ ტექსტს შორის არსებული განსხვავებები ხშირად უმნიშვნელოა და ისინი არ ცვლიან ტექსტის მნიშვნელობას (მაგალითად, ცვლილება მართლწერაში, კავშირის გამოტოვება ან დამატება და ა.შ.). რაბინულ ლიტერატურაში აღწერილია ის ზედმინევით დანვრილებითი პროცედურები, რომლებსაც ბიბლიის ტექსტების გადანერას ეყრდნობოდნენ. უდაბნოში აღმოჩენილი ტექსტები, ასევე, ადასტურებს, რომ ადრეულ პერიოდში ამ მხრივ დიდი ძალისხმევა იყო გაწეული. თუმცა, ამაში არ იგულისხმება ის, რომ გადამწერები მხოლოდ ერთი სახის ტექსტს იწერდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბლიის ნებისმიერი ტექსტის გადანერა დიდი გულისყურით ხორციელდებოდა.

**b. ტექსტობრივი სურათი.** კუმრანის ტექსტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ პერიოდში (ძვ. წ. III საუკუნე – ახ. წ. I საუკუნე) ბიბლიის ტექსტთან მიმართებაში გარკვეული ხარისხის თავისუფლება არსებობდა. კერძოდ, არ გვხვდება ბიბლიური ტექსტის (მაგალითად, დაბადების, ესაიას და ა.შ. ნიგნების) გადმოცემის ერთი, სრულიად ერთგვაროვანი და დამკვიდრებული ფორმა. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტექსტების გადმოცემა თავისუფლად ხდებოდა. მაგრამ, უმეტეს შემთხვევებში გარკვეულ ფარგლებში ხელნაწერებს შორის საგრძნობი განსხვავებები გვხვდება. ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე მაგალითი აჩვენებს ვარიაციის განსხვავებულ ხარისხს (აქ არ შედის მართლწერაში არსებული განსხვავებები).

**უმნიშვნელო ვარიაციები.** ხელნაწერებს შორის არსებული მრავალი განსხვავება გადამწერთა შეცდომების და მცირე ზომის

ფრაგმენტების (მაგალითად, სიტყვა „და“, რომელიც ებრაულში ერთი ასოთი აღინიშნება) დამატების/გამოტოვების შედეგია. ასეთი დიდწილად უმნიშვნელო განსხვავებების მაგალითებია:

1. ესაია 6:3 MT: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა“  
1QIsa<sup>a</sup>: „წმიდაა, წმიდაა“

რალაც მიზეზის გამო, კუმრანის ასლში სიტყვა „წმიდაა“ მხოლოდ ორჯერ გვხვდება. ნაცნობი ფორმულიდან ეს გამოტოვება (თუკი ეს მართლაც იყო გამოტოვება) ესაიას წიგნის სხვა ძველ ასლებში არ გვხვდება.

2. დაბადება 1:9 MT/SP: „შეგროვდეს ერთ ადგილას (= mqwm) ცისქვეშეთის წყალი“

4QGen<sup>h1</sup>LXX: „შეკერბინ წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელსა (= mqwm) ერთსა“

ამ შემთხვევაში მოხდა ორი ერთმანეთის მსგავსი ებრაული სიტყვის აღრევა. [...]<sup>12</sup>

**საგრძნობი ვარიაციები.** ისტორიულ ქრილში უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ვარიაციები, რომლებიც გარკვეულ კანონზომიერებას ავლენს. შესაძლებელია, რომ კუმრანის პერიოდში, გადამწერები, მიუხედავად იმისა, რომ სიზუსტეს იცავდნენ, მაინც გრძნობდნენ გარკვეულ თავისუფლებას და ამის შედეგად ბიბლიის ტექსტთან მიმართებაში უფრო აქტიურ როლს ასრულებდნენ და მხოლოდ გადანერით არ შემოიფარგლებოდნენ. ერთ-ერთი კანონზომიერება, რომელიც გრაგნილებში იჩენს თავს და კარგადაა დოკუმენტირებული, პარალელური პასაჟების შერწყმას გულისხმობს. მაგალითად, ათი მცნება ორ ადგილასაა შემონახული: გამოსვლა 20 და მეორე რჯული 5. მეორე შემთხვევაში შაბათის მცნების მიზეზი პირველი შემთხვევისგან განსხვავებულია:

მეორე რჯული 5:15 MT: „გახსოვდეს, რომ ყმა იყავი ეგვიპტის ქვეყანაში და გამოგიყვანა იქიდან უფალმა, შენმა ღმერთ-

12 აღნიშნავს გამოტოვებულ პასაჟებს სტატიაში. – მთარგმნ. შენიშვნა.

მა მაგარი ხელით და შემართული მკლავით. ამიტომ გიბრძანა უფალმა, შენმა ღმერთმა, შაბათი დღის შენახვა.“

აღნიშნული ნაწყვეტის დასასრულს, კუმრანის ერთ-ერთ ასლს (4QDeut<sup>n</sup>) შემდეგი დანართი აქვს: „ [...] გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი.“

ეს დანართი აღებულია გამოსვლათა წიგნის პარალელური ვერსიის ნაწილიდან (20:11), სადაც შაბათი დღის წმიდაჰყოფის მოტივაცია იმ კანონზომიერების იმიტაციაა, რომელიც ღმერთმა დაადგინა შესაქმის პირველ კვირას. პარალელური პასაჟების ტექსტების შერწყმა არა მხოლოდ კუმრანში შემონახულ ზოგიერთ ასლს ახასიათებს, არამედ სეპტუაგინტასაც, თუმცა მეორე რჯულის 5:15-ში სეპტუაგინტის ტექსტში არ გვხვდება ნაწყვეტი გამოსვლა 20:11-დან.

**მნიშვნელოვანი ვარიაციები.** რამდენიმე შემთხვევაში შემორჩენილ მოწმობებს (კუმრანის აღმოჩენების ჩათვლით) შორის გვხვდება საკმაოდ მოზრდილი და სისტემური ვარიაციები. ზოგიერთ შემთხვევაში საქმე მთელ წიგნებს ეხება.

იერემია: სეპტუაგინტასა და მასორეტულ ტექსტში იერემიას წიგნის მოცულობა საკმაოდ განსხვავებულია. მასორეტული ტექსტის იერემია დაახლოებით 13%-ით მეტია სეპტუაგინტის იერემიაზე. კუმრანში აღმოჩენილი იერემიას წიგნის ებრაული ფრაგმენტებიდან ორი მასორეტული ტექსტის ვრცელი ვერსიის მსგავსია, ხოლო ორი საკმაოდ ახლოს დგას სეპტუაგინტის მოკლე ვერსიასთან. მიიჩნევა, რომ ტექსტის ხარისხის მხრივ მოკლე ვერსია უფრო უკეთესია. ებრაული ხელნაწერები ადასტურებს, რომ სეპტუაგინტის მთარგმნელ(ებ)მა თვითნებურად კი არ შეკვეცეს ებრაული ორიგინალი, არამედ ისინი ეყრდნობოდნენ ისეთ ებრაულ ტექსტს, რომელიც გაცილებით უფრო მოკლე იყო ტრადიციულ ტექსტთან შედარებით (რომელიც საფუძვლად დაედო მასორეტული ტექსტის იერემიას).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კუმრანში გვხვდება ხელ-

ნაწერები, რომლებიც მასორეტული ტექსტის, სეპტუაგინტისა და სამარიტანული ხუთწიგნეულის ტექსტუალურ ტრადიციებს ეკუთვნიან, თუმცა კუმრანში არსებულ მასალას ეს ასლები როდი ამოწურავს. ზოგიერთი ასლი არცერთ ამ კატეგორიაში არ თავსდება და სრულიად განსხვავებულ ტექსტუალურ მიმართულებაზე მიუთითებს. იმ პერიოდისთვის ყველა ეს ტექსტუალური ალტერნატივა ხელმისაწვდომი იყო, რასაც კუმრანის გამოქვაბულები ადასტურებს, სადაც ეს ტექსტები იქნა აღმოჩენილი. არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ბიბლიის ტექსტებში არსებული გარკვეული თავისუფლება ვინმესთვის რაიმე სახის პრობლემას წარმოადგენდა.

**ც. ვარიაციების დასასრული.** სხვა ადგილებში აღმოჩენილი ყველა ტექსტი, რომლებიც ცოტათი უფრო გვიანდელია კუმრანის ტექსტებზე, შესაძლოა წინარე-მასორეტულ კატეგორიას მივაკუთვნოთ (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მასადაში შემონახული წიგნების განსხვავებული ლიტერატურული ვერსიები არ არსებობს). მათზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახ. წ. I საუკუნის მიწურულიდან ან II საუკუნის დასაწყისიდან კუმრანის გრაგნილებში არსებული ტექსტუალური პლურალიზმი უფრო დიდი ერთგვაროვნებით ჩანაცვლდა. ამ ცვლილებას შესაძლოა, საფუძვლად ედოს გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მიზეზები, კერძოდ ის, რომ ადამიანები, რომლებიც ამ ტიპის ტექსტს იყენებდნენ და იწერდნენ, ტაძრის განადგურების (ახ. წ. 70 წ.) შემდეგ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ ცენტრალურ (თუ ერთადერთ არა) ჯგუფად იქცნენ. [...]

რაიმონდ სკუპინი, ქრისტოფერ დე კორსე და სხვ.

## რელიგია კულტურის ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან<sup>1</sup>

არქეოლოგებმა აღმოაჩინეს გარკვეული მტკიცებულებები, რაც ადასტურებს იმას, რომ არქაულ ჰომო საპიენსს და ნეანდერტალებს ჯერ კიდევ 100 000 წლის წინ გარკვეული რელიგიური რწმენები ჰქონდათ. რელიგია კულტურული უნივერსალია,<sup>2</sup> თუმცა კონკრეტული რწმენები და პრაქტიკები ამა თუ იმ საზოგადოებაში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ზოგიერთი რელიგია ეფუძნება ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის ცნებას, ზოგიერთი – ღვთაებების არსებობას აღიარებს, ხოლო ზოგან ღმერთის ცნება საერთოდ არ გვხვდება. ტერმინი „რელიგია“ მომდინარეობს ლათინური *religio*-დან, რომელსაც დასავლურ ისტორიაში განსხვავებული მნიშვნელობები ჰქონდა. ზოგიერთ შემთხვევაში ის აღნიშნავდა „ტრანსცენდენტურ“ გამოცდილებას, რომელიც ინდივიდებს ჰქონდათ ნორმალური, ყოველდღიური სოციალური ცხოვრების მიღმა, თუმცა, სხვა შემთხვევებში ის აღნიშნავდა „ცრურწმენას“ ან „ღვთისმოსაობას“. ანთროპოლოგებისთვის უაღრესად დიდ სირთულეს წარმოადგენს რელიგიის განსაზღვრება ერთი მარტივი ფორმულით. ეს იმიტომ, რომ რელიგიური პრაქტიკები მსოფლიოში უკიდურესად განსხვავებულია.

საკუთარ რელიგიურ ტრადიციებს ადამიანები ინკულტურა-

---

1 შედგენილია შემდეგი წყაროს მიხედვით: R. Scupin, C. R. DeCorse, *Anthropology. A Global Perspective*. 7th edition, Pearson Publishing, 2012, გვ. 313-316. კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია ინფორმაცია დამატებითი წყაროებიდან.

2 კულტურული უნივერსალიები საზოგადოებათა ისეთი მახასიათებლებია, რომლებიც მთელ მსოფლიოში გვხვდება (მაგალითად: ენა, ფოლკლორი, თამაშები, განათლება, მითოლოგია, საკვების აკრძალვები, რიცხვები, საკუთარი სახელები, რელიგიური რიტუალები და ა.შ.). – მთარგმნ. შენიშვნა.

ციის პროცესის<sup>3</sup> მეშვეობით შეისწავლიან. შესაბამისად, ადამიანის რელიგიურ შეხედულებებს აყალიბებს ის ისტორიული და სოციალური გარემო, რომელშიც იგი ცხოვრობს. მაგალითად, ინდივიდი, რომლის ინკულტურაციაც ძველ საბერძნეთში მოხდა, დიდი ალბათობით, აღიარებდა მრავალი ღმერთის არსებობას, რომელთაგან მთავარი ზევსი იყო.


რელიგიის ანთროპოლოგიის შესწავლის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ანთროპოლოგები არ ინტერესდებიან ამა თუ იმ რელიგიური რწმენის „ჭეშმარიტებით“ ან „მცდარობით“. ანთროპოლოგიას, როგორც მეცნიერებას, არ შეუძლია გამოიკვლიოს ის ზებუნებრივი, ანუ მეტაფიზიკური საკითხები, რომლებიც ემპირიული სამყაროს მიღმა დგანან. ამის ნაცვლად, **რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევა შეისწავლის, თუ რა კავშირშია რელიგიური რწმენები და დოქტრინები აზროვნებასთან, ემოციებთან და საზოგადოებასთან.** ანთროპოლოგების უმრავლესობა აღიარებს, რომ რელიგიური რწმენა არ წარმოადგენს შემონმებად დებულებას, რომელიც შეიძლება გაანალიზდეს მეცნიერების ან ლოგიკის მეშვეობით. რწმენა სცდება ემპირიულ მტკიცებულებებს, რომლებსაც მეცნიერება აღმოაჩენს. **მთავარი შეკითხვები, რომელსაც რელიგიის შემსწავლელი ანთროპოლოგი სვამს, ასეთია: როგორ მკვიდრდება რელიგიური რწმენები საზოგადოებაში? როგორ უკავშირდება და როგორ ასახავს რელიგიური რწმენები იმ კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ-კულტურულ პირობებს, რომლებიც მოცემულ ჯგუფს ახასიათებს? რა გავლენას ახდენს ეს რწმენები ამ პირობებზე?**

XIX საუკუნის ბოლოს ბრიტანელმა ანთროპოლოგმა **ედუარდ ტაილორმა (1832-1917 წწ.)** რელიგია განსაზღვრა, როგორც სულების რწმენა. XX საუკუნეში გამოჩენილმა ანთროპოლოგმა **კლიფორდ გირცმა (1926–2006 წწ.)** ჩამოაყალიბა რელიგიის განმარტება, რომელსაც იგი ეყრდნობოდა თავისი კვლევების დროს:

---

3 ინკულტურაცია არის სოციალური ინტერაქციის პროცესი, რომლის მეშვეობით ადამიანები საკუთარ კულტურას ითვისებენ. – მთარგმნ. შენიშვნა.

„რელიგია – ეს არის სიმბოლოების სისტემა, რომელიც აყალიბებს ძლიერ, დამარწმუნებელ და ხანგრძლივ განწყობებს და მოტივაციებს ადამიანებში. ამას ის ახერხებს არსებობის ზოგადი წესრიგის შესახებ კონცეფციების განვითარებით. ამ კონცეფციებს ფაქტობრიობის ისეთი აურა ახლავს თან, რომ ადამიანთა განწყობები და მოტივაციები წარმოჩნდება, როგორც უნიკალურად რეალისტური.“<sup>4</sup>



კლიფორდ გირცი

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს განსაზღვრება. ნებისმიერი რელიგიისთვის მნიშვნელოვანია „**სიმბოლოთა სისტემის**“ არსებობა. აქ იგულისხმება როგორც საკრალური ანუ წმინდა ობიექტები (მაგალითად, ქრისტიანული ჯვარი, ინდიელთა თილისმები, ბუდისტთა სამარხები), ასევე, საკრალური გადმოცემებიც (მაგალითად, შესაქმე ქრისტიანობაში და რამაიანა ინდუიზმში). ეს სიმბოლოები ქმნიან განწყობებს (ბედნიერების ან მწუხარების განცდებს) და მოტივაციებს, რომლებიც ადამიანის ცხოვრებას მიმართულებას აძლევს და

4 იხ. C. Geertz, *The Interpretation of Cultures: Selected Essays by Clifford Geertz*. New York: Basic Books, 1973, გვ. 90.



მას ეთიკურ იდეალებს უსახავს. შესაბამისად, რელიგიური სიმბოლოები აძლიერებენ კონკრეტულ გრძნობებს და განწყობებს და ინდივიდებში ღრმა მონივნების გრძნობას აღძრავენ. **მონივნების გრძნობის წარმოშობას ხელს უწყობს რიტუალებში და სხვა რელიგიურ ცერემონიებში საკრალური სიმბოლოების გამოყენება, რაც ქმნის საიდუმლოებით მოცულ ატმოსფეროს, რომელიც სცდება ყოველდღიურ გამოცდილებას.** მაგრამ, რელიგიური სიმბოლოები, ასევე, ქმნიან და განამტკიცებენ ადამიანთა მსოფლმხედველობას საგანთა ბუნების შესახებ კონცეფციების ჩამოყალიბებით. ეს მსოფლმხედველობა სიცოცხლეს და სამყაროს გარკვეულ საზრისს ანიჭებს. **რელიგიური მსოფლმხედველობა ადამიანს ეხმარება, გაიაზროს და დაძლიოს სამყაროში არსებული ტკივილი და ტანჯვა.** გარდა ამისა, საკრალური გამოცემები ხსნიან და ამართლებენ კულტურულ ღირებულებებსა და სოციალურ წესებს. თუმცა, გირცის განსაზღვრებაში ერთი პრობლემა არსებობს: აღნიშნული დეფინიცია ყურადღებას არ ამახვილებს რწმენათა, სიმბოლურ მნიშვნელობათა და მსოფლმხედველობათა მრავალფეროვნებაზე, ასევე, პრაქტიკათა მრავალფეროვნებაზე მოცემული რელიგიური ტრადიციის შიგნით. მოგვიანებით, ამაზე თავად გირცმა გაამახვილა ყურადღება.<sup>5</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგია ძალზე მრავალფეროვანია. შესაბამისად, როდესაც ვცდილობთ, მისი არსება ერთ განსაზღვრებაში მოვაქციოთ, შეიძლება ამით ჩვენი პერსპექტივა შევზღუდოთ კიდევც.

გირცის განსაზღვრება სხვა ანთროპოლოგების მიერ იქნა მოდიფიცირებული. მაგალითად, ანთროპოლოგმა დევიდ ფერქინმა თავისი ანთროპოლოგიური კვლევების შედეგად, რომლებიც მან ზანზიბარში (აღმ. აფრიკა) მცხოვრებ მუსლიმებში ჩაატარა, გირცის დეფინიციის რეინტერპრეტაცია მოახდინა. ფერქინის აზრით, გირცის განსაზღვრება მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისგან ემოციებსა და შემეცნებით უნარებს. დღესდღეობით კი ანთროპოლოგები აღიარებენ, რომ ეს ორი

---

5 იხ. C. Geertz, *Available Light: Anthropological Reflections on Philosophical Topics*. Princeton, NJ: Princeton University Press, 2000.

რამ ერთმანეთისგან განუყოფელია. ზანზიბარში ისლამური ტრადიციის ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად ფერქინი აჩვენებს, რომ ადგილობრივები თავიანთ რელიგიას შემეცნების ფორმალური წესების თანახმად ითვისებენ, თუმცა იმაზე, რასაც ისინი სწავლობენ, არაცნობიერი კოგნიტური და ემოციური პროცესები ახდენს გავლენას.<sup>6</sup>

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ არ არსებობს რელიგიის ერთი, ყოვლისმომცველი განსაზღვრება. [ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რელიგია შედგება რწმენებისა და ქცევებისგან, რომლებიც ზებუნებრივ არსებებსა და ძალებს უკავშირდება. ამ განსაზღვრებაში არ გვხვდება უზენაესი ღვთაების ცნება, რადგან ზოგიერთ რელიგიაში არ არსებობს უზენაესი არსების ცნება, ხოლო მთელ რიგ რელიგიებში არსებობს არა ერთი, არამედ ბევრი ღვთაება.

რელიგია უკავშირდება ადამიანთა მსოფლმხედველობას, თუმცა რელიგია და მსოფლმხედველობა ერთი და იგივე რამ არ არის. მსოფლმხედველობა აუცილებლობით არ გულისხმობს ზებუნებრივ სამყაროს. ათეისტს არა აქვს რელიგია, თუმცა მას აქვს მსოფლმხედველობა.<sup>7</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რელიგიას გირცი განსაზღვრავს, როგორც „სიმბოლოთა სისტემას“. სიმბოლოებზე ყურადღების გამახვილება გირცთან მასზე სოციოლოგ **მაქს ვებერის (1864-1920 წწ.)** გავლენას მიუთითებს. ვებერის თანახმად, ადამიანი არის არსება, რომელიც გახვეულია მნიშვნელობათა იმ ქსელში, რომელიც თავად მან შექმნა. ვებერზე დაყრდნობით გირცი მიიჩნევა, რომ კულტურა ასეთი ქსელის მსგავსია. გირცის თანახმად, კულტურა არის მნიშვნელობათა ისტორიულად გადაცემადი შაბლონები (მოდელები), რომლებიც სიმბოლოებშია მოქცეული; ეს არის შექმნილ კონცეპტთა სისტემა, რომელიც სიმბოლური ფორმებითაა გამოხატული. ამ სიმბოლური

6 იხ. D. Parkin, "The Accidental in Religious Instruction: Ideas and Convictions", in: D. Berliner, R. Sarro (eds.): *Learning Religion. Anthropological Approaches*. New York: Berghahn Books, 2007, გვ. 49-64.

7 იხ. B. Miller, *Cultural Anthropology*, 8<sup>th</sup> edition, Pearson Publishing, 2017, გვ. 275.

ფორმების მეშვეობით ადამიანები ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან და ავითარებენ თავიანთ ცოდნას სოციალური სამყაროს შესახებ. შესაბამისად, მიიჩნევა გირცი, კულტურის ანალიზი ვერ იქნება ექსპერიმენტალური მეცნიერება, რომელიც კანონების ფორმულირებაზეა ორიენტირებული. ის უნდა იყოს ინტერპრეტაციული მეცნიერება, რომელიც (სიმბოლოებში გამოხატული) მნიშვნელობების წვდომას ესწრაფვის. კლოდ ლევი-სტროსისგან განსხვავებით, რომელიც თვლიდა, რომ მნიშვნელობები და მათი სტრუქტურები აყალიბებენ სუბიექტებს (ამაში ვლინდება ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმი), გირცი მიიჩნევა, რომ სუბიექტები თავად აყალიბებენ მნიშვნელობებს. თავის კვლევებში გირცი სწორედ ამ პროცესის მრავალგანზომილებიანი ასპექტების წარმოჩენას შეეცადა.<sup>8</sup>

რელიგიის ფენომენს გირცმა არაერთი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა. რელიგიის ანთროპოლოგიურ კვლევაში გირცი ორ საფეხურს გამოყოფდა: 1. რელიგიურ სიმბოლოებში მოქცეული მნიშვნელობათა სისტემების ანალიზი და 2. ამ სისტემების დაკავშირება სოციალურ-სტრუქტურულ და ფსიქოლოგიურ პროცესებთან.<sup>9</sup> გირცი თვლიდა, რომ საკრალური სიმბოლოები ხალხის ეთოსის (მათი ცხოვრების წესის, განწყობები და ა.შ.) და მათი მსოფლმხედველობის შემაკავშირებელია. რელიგიური სიმბოლოები აყალიბებენ ბაზისურ თავსებადობას, ერთი მხრივ, ცხოვრების კონკრეტულ წესსა და, მეორე მხრივ, კონკრეტულ (ხშირად იმპლიციტურ, ანუ ფარულ) მეტაფიზიკას შორის და მათ ურთიერთგანმტკიცებას უწყობენ ხელს. მაგალითად, ერთი მხრივ, გვაქვს გადმოცემები, რომ სამყარო არის მონყობილი ასე და ასე, რომ არსებობენ ესა და ეს ზებუნებრივი ძალები და არსებები (მეტაფიზიკა). მეორე მხრივ, მოცემული საზოგადოება თავისი ცხოვრების წესს (ეთოსს) ამ გადმოცემების საფუძველზე აგებს. საკრალური სიმბოლოები სწორედ ამ ორი ელემენტის

---

8 იხ. J. S. Lansing, T. A. de Vet, "Clifford Geertz", in: R. J. McGee, R. L. Warms (eds.), *Theory in Social and Cultural Anthropology: An Encyclopedia*. vol. 1, Sage, გვ. 306; C. Geertz, *The Interpretation of Cultures*. New York, NY: Basic Books, 1973, გვ. 89.

9 შდრ. C. Geertz, *The Interpretation of Cultures*, გვ. 125.

შემაკავშირებელ მომენტს წარმოადგენს.<sup>10</sup> გარდა ამისა, რელიგიური სიმბოლოები ადამიანებს ეხმარება არა მხოლოდ სამყაროს შემეცნებაში, არამედ ტაჯვის ატანაშიც. გირცის აზრით, როგორც რელიგიური პრობლემა, ტანჯვის პრობლემა გულისხმობს არა ტანჯვის თავიდან არიდებას, არამედ მის გააზრებას და ატანას.<sup>11</sup>

**რელიგია კოგნიტური ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან.** კოგნიტური ანთროპოლოგია შეისწავლის შემეცნებასა და კულტურულ მნიშვნელობებს სპეციფიკური მეთოდოლოგიების მეშვეობით (ექსპერიმენტები, კომპიუტერული მოდელირება და სხვ.), რომელთა მიზანია ადამიანის აზროვნების საფუძველმდებარე არაცნობიერი ფაქტორების გამოვლენა და მათი ანალიზი. ანთროპოლოგებმა პასკალ ბოიერმა და სკოტ ეთრენმა რელიგია კოგნიტურ ანთროპოლოგიასა და ევოლუციურ ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით გააანალიზეს. თავისი შეხედულებები ბოიერმა გადმოსცა ნაშრომში „რელიგიის განმარტება. რელიგიური აზროვნების ევოლუციური საფუძვლები“ (2001 წ.), ხოლო ეთრენის ნაშრომს ეწოდება „ჩვენ გვწამს ღმერთის: რელიგიის ევოლუციური ლანდშაფტი“ (2002 წ.).<sup>12</sup> მათი მიზანი იყო რელიგიის მეცნიერული შესწავლა მიზეზობრივი კავშირებისა და რელიგიის საყოველთაო ასპექტების გამოვლენის მიზნით. ბოიერსა და ეთრენს აინტერესებდათ პასუხების გაცემა შემდეგ შეკითხვებზე: რატომაა რელიგია ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავებულ ხალხებში? არსებობს თუ არა რელიგიის საერთო თვისებები, რომლებიც ყველგანაა გავრცელებული? რატომ ხდება, რომ ზოგიერთი სახის რელიგიური რწმენა ვითარდება, ზოგიერთი კი – არა? კროს-კულტურული<sup>13</sup> კვ-

---

10 შდრ. იქვე, გვ. 90.

11 შდრ. იქვე, გვ. 104.

12 იხ. P. Boyer, *Religion Explained: The Evolutionary Origins of Religious Thought*. New York: Basic Books, 2001; S. Atran, *In Gods We Trust: The Evolutionary Landscape of Religion*. Oxford, England: Oxford University Press, 2002.

13 კროს-კულტურული – განსხვავებული კულტურების მომცველი. – მთარგმნ. შენიშვნა.

ლევების საფუძველზე მოპოვებული საკმაოდ დიდი მასალის საფუძველზე ბოიერი და ეთრენი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ევოლუციისა და ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ადამიანის გონება „რელიგიური“ გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ერთმანეთისგან უალრესად განსხვავებული რელიგიური ტრადიციები არსებობენ, ზოგიერთი რწმენა, სხვა რწმენებთან შედარებით, უფრო მყარია. ყველა საზოგადოებაში ადამიანები ბავშვობიდანვე განსხვავებულ რელიგიურ რწმენებსა და პრაქტიკებს აწყდებიან. თუმცა, ეთრენისა და ბოიერის აზრით, ჩვენს გონებაში, რომელიც ევოლუციის შედეგადაა ჩამოყალიბებული, სპეციფიკური განწყობები და ინტუიციები არსებობენ. ამის შედეგად, რელიგიური რწმენის ზოგიერთ ფორმასა და ცნებას ადამიანებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთი რელიგიური რწმენა ნარჩუნდება და კულტურის მემკვიდრეობით მომდევნო თაობებს გადაეცემა, ხოლო სხვები ქრებიან.

ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიაში არსებული უზარმაზარი რაოდენობის მონაცემებზე დაყრდნობით ეთრენი და ბოიერი ანალიზებენ, თუ რა სახის ინტუიციური ცოდნა ხდება ცხადი ბავშვებისთვის. მაგალითად, ბოიერი აღნიშნავს, რომ კოგნიტური ექსპერიმენტები აჩვენებს, რომ თუკი პატარა ბავშვი გაიგებს, რომ ესა თუ ის ცხოველი ამა და ამ წესით შობს თავის ნაშიერს, მაშინ იგი ინტუიციურად მიხვდება, რომ იმავე სახეობის სხვა ცხოველებიც ასეთივე წესით შობენ თავიანთ შვილებს. ამ ტიპის ინტუიციური ცოდნის განვითარებისა და განსხვავებული ბუნებრივი მოვლენების შესახებ დასკვნებისა და ვარაუდების გასაკეთებლად ბავშვს არ სჭირდება ყველა სახის გამოცდილების ათვისება. ჩვენ, როგორც ადამიანები, ვიყენებთ ისეთ მენტალურ (გონებრივ) შაბლონებს/მოდელებს როგორებიცაა: „ცხოველი“, „მცენარე“, „პიროვნება“, „ხელსაწყო“. სწორედ ეს შაბლონები ქმნიან იმ ინტუიციური ცოდნის საფუძველს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ სამყაროს შევიმეცნებთ. ბავშვებმა იციან, რომ ხელსაწყოებს არ შეუძლიათ თავისით გადაადგილება და რომ ისინი არ შობენ ნაშიერებს ცხოველების მსგავსად. ბოიერი არ

ამტიკიცებს იმას, რომ ეს მენტალური შაბლონები თანშობილია. იგი თვლის, რომ გონებრივ განვითარებასთან ერთად, ბავშვები აითვისებენ ამ შაბლონებს იმ ურთიერთქმედების საფუძველზე, რომელიც ხორციელდება მათ შინაგან მიდრეკილებებსა და გარემოს შორის. ის ბავშვები, რომლებიც იზოლირებულად არ იზრდებიან, თავიანთ ენობრივ უნარებს ნორმალურ გარემოსთან ურთიერთქმედების შედეგად იძენენ. იგივე შეიძლება ითქვას მათი ინტუიციური ცოდნის შესახებაც, რომლის მეშვეობით მათ შეუძლიათ, იმსჯელონ გარემომცველი სამყაროს შესახებ. თუმცა, ეს ინტუიციური ცოდნა ბავშვებს მხოლოდ ბუნებრივი სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას როდი აძლევს. ამ ცოდნის მეშვეობით ბავშვი იძენს სხვა ადამიანების ინტუიციური გაგებისა და მათი თანაგრძნობის უნარს და სოციალურ სამყაროსთან ადაპტირდება: იგი სწავლობს, თუ როგორ მოიქცეს საზოგადოებაში და ითვისებს დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს. ადრეულ ასაკშივე ბავშვები სწავლობენ, რომ სხვა ადამიანებს აქვთ აზრები და გარკვეული მიზნები. ბავშვებმა, ასევე, იციან, რომ მათ შეუძლიათ, დაეყრდნონ სხვა ადამიანთა აზრებსა და მიზნებს იმისთვის, რათა სხვა ადამიანებთან ურთიერთობები დაამყარონ.

ბუნებრივი და სოციალური სამყაროების შემეცნებისთვის საფუძველმდებარე ინტუიციური ცოდნისა და დასკვნებისგან განსხვავებით, ეთრენი და ბოიერი მიიჩნევენ, რომ რელიგიური რწმენები და ცოდნა, დიდნილად, კონტრინტუიციურია. რელიგიაში სულები და ღმერთები ისეთი თვისებებით არიან დაჯილდოებულნი, რომლებიც ადამიანებს არ გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა უმრავლესობა სულებსა და ღმერთებს პიროვნებებად განიხილავს, ეს უკანასკნელნი რადიკალურად განსხვავდებიან იმისგან, რაც ჩვენ ინტუიციურად ვიცით სხვა პიროვნებების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში, ისინი არ იკვებებიან, არ ბერდებიან და არ კვდებიან; მათ შეუძლიათ სივრცეში მყისიერი გადაადგილება, უხილავად გახდომა და ფორმის შეცვლა. გარდა ამისა, ისინი წვდებიან ჩვენს აზრებს. ღმერთები და სულები ადამიანთა უხილავი მოკავშირეები და მეგო-

ბრები ხდებიან, თუმცა ეს არსებები არ ჰგვანან ჩვეულებრივ პიროვნებებს. მათ შეუძლიათ ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ადგილას (ან ყველგან) ყოფნა და ჩვენი გულისნადების გამოცნობა. ზოგიერთ საზოგადოებაში ყოვლისმცოდნე ღმერთის ცნება არსებობს. უფროსებმა და პატარა ბავშვებმაც იციან, რომ ჩვეულებრივ ადამიანებს ასეთი უნარები არ გააჩნიათ.

ღმერთებისა და სულების ეს კონტრინტუიციური უნარები ადამიანთა ყურადღებას იპყრობს. ის სულიერი არსებები, რომლებსაც შეუძლიათ, სრულად წვდნენ ადამიანთა ფიქრებს, ადამიანთა სოციალურ და მორალურ განწყობებს ეხმიანებიან. ამრიგად, რელიგიური რწმენებისა და ცნებების გავრცელება ყველა საზოგადოებაში თავად ადამიანის კოგნიტური უნარების სპეციფიკურობით აიხსნება. გულმონყალე ან მრისხანე ღმერთების, წინაპართა სულების, ჯადოქრების და სხვა ზებუნებრივი არსებების ცნებები ადამიანთა კოგნიტურ უნარებსა და მათ მიერ ფიზიკური და სოციალური სამყაროს ინტუიციურ ცოდნაზეა დამოკიდებული. ეს რელიგიური მოვლენები, ეთრენისა და ბოიერის აზრით, ადამიანის კოგნიტური და ინტუიციური უნარების აქტივაციას ახდენენ. სწორედ ამით აიხსნება გარკვეული სახის რელიგიური რწმენებისა და ცნებების საყოველთაო გავრცელება.

ეთრენი და ბოიერი არ თვლიან, რომ ტვინში არსებობს სპეციფიკური ადგილი, რომელიც პასუხს აგებს ღმერთთან ან რელიგიასთან დაკავშირებულ აზრებზე. ისინი, ასევე, უარყოფენ ე.წ. „რელიგიური ინსტინქტის“ არსებობასაც. გარდა ამისა, ისინი არ თვლიან, რომ არსებობდნენ განსაკუთრებული რელიგიური უნარებით დაჯილდოებული ადამიანები, რომლებმაც რელიგიური რწმენები და პრაქტიკები დააფუძნეს. ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი მრავალი სხვა ასპექტის მსგავსად, რელიგია არ მოითხოვს ადამიანში განსაკუთრებული უნარების არსებობას. რელიგიური რწმენები და ცნებები ყველა ადამიანისთვის რელევანტური გახდა იმიტომ, რომ ისინი ადვილად „ენყობიან“ ადამიანთა კოგნიტურ და ინტუიციურ უნარებს. ეს რელიგიური რწმენები და ცნებები უშუალო ზეგა-

ვლენას ახდენენ ადამიანთა აზრებზე, ემოციებსა და მორალზე.

თუმცა, რელიგიური რწმენები ადვილად როდი ასიმილირდებიან ჩვენს კოგნიტურ მიდრეკილებებსა და ინტუიციებთან. რელიგიურ რწმენებში შესაძლოა გამოვყოთ საერთო მომენტები (არსებები, რომლებსაც ჩვენი აზრების წვდომა შეუძლიათ; საიქიოსა და მორალის ცნებები და ა.შ.), რომლებსაც, ბოიერისა და ეთრენის აზრით, ხანგრძლივი ევოლუციური ისტორია აქვთ. შესაძლოა, რომ ნარსულში არსებობდნენ სხვა რელიგიური რწმენებიც, თუმცა მათ არ აღმოაჩნდათ ისეთი მდგრადობა, როგორც დღეს შემორჩენილ რწმენებს აქვთ და ამიტომაც ისინი გაქრნენ. იმ რელიგიურ რწმენებს, რომლებიც დღესდღეობით არსებობენ, ბევრი ადამიანისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვთ. ეს რწმენები საკმაოდ ძლიერია და ისინი ადამიანთა კოგნიტურ უნარებთან შესატყვისობაში მოდიან. ხშირად ადამიანები, კონკრეტული რელიგიური რწმენის გამო, კლავენ სხვა ადამიანებს ან საკუთარ სიცოცხლეს მსხვერპლად წირავენ. ეთრენისა და ბოიერის კვლევებმა ადამიანის კოგნიტურ უნარებსა და რელიგიურობას შორის არსებული ურთიერთკავშირების შესახებ ბიძგი მისცა ანთროპოლოგიური ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას. ეს ჰიპოთეზები ეხება კავშირებს, რომლებიც არსებობენ ადამიანის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ განვითარებასა და მის რელიგიურ ცხოვრებას შორის. ბევრი კოგნიტური ანთროპოლოგი მუშაობს ამ მიმართულებით იმისთვის, რათა დაადასტუროს, ან უარყოს ბოიერისა და ეთრენის მიერ შემუშავებული ჰიპოთეზა.

**მაგია და რელიგია.** ე. ტაილორის აზრით, მაგიას, მეცნიერებასა და რელიგიას საერთო აქვთ ის, რომ მათი მეშვეობით ადამიანები ცდილობდნენ ფიზიკური სამყაროსა და მასში არსებული მოვლენების ახსნას.<sup>14</sup> იგი თვლიდა, რომ მათგან მეცნიერება ყველაზე უფრო მეტად რაციონალურია. ანთროპოლოგ **ჯეიმს ფრეზერის (1854-1941 წწ.)** აზრით, მაგია წარმოადგენს ადამიანთა მცდელობას, ზემოქმედება მოახდინონ

14 იხ. E. B. Tylor, *Primitive Culture: Researchers into the Development of Mythology, Philosophy, Religion, Art, and Custom*. 2 volumes. London: J. Murray, 1871.



ზებუნებრივ არსებებსა და ძალებზე, რათა ისინი გარკვეული წესით მოიქცნენ. მან ერთმანეთს შეუპირისპირა მაგია და რელიგია. მაგიისგან განსხვავებით, რელიგია, ფრეზერის აზრით, ესწრაფვის, ასიამოვნოს ზებუნებრივ არსებებსა და ძალებს.<sup>15</sup> ფრეზერმა, ასევე, გამოყო მაგიის ორი ძირითადი მახასიათებელი:

- *მსგავსების პრინციპი.* იმიტაციური მაგიის საფუძველს წარმოადგენს დაშვება, რომ თუკი რაიმე A პიროვნება/ნივთი ჰგავს B პიროვნებას/ნივთს, მაშინ ის მოქმედებები, რომლებიც განხორციელდება A პიროვნებაზე/ნივთზე, გავლენას მოახდენს B პიროვნებაზე/ნივთზე. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ვუდუს<sup>16</sup> კულტის თოჯინა. ვუდუს კულტის პრაქტიკოსებს სწამთ, რომ თუკი შეარჭობენ ნემსებს A თოჯინაში, რომელიც B პიროვნებას განასახიერებს, მაშინ B ტკივილს ან ტანჯვას შეიგრძნობს.
- *„ინფექციის“ პრინციპი.* აქ საფუძველს წარმოადგენს დაშვება, რომლის თანახმად, ადამიანებს ან ნივთებს, რომლებსაც ჰქონდათ კონტაქტი მოცემულ პიროვნებასთან, კვლავაც შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა ამ პიროვნებაზე. ასეთ მაგიაში გამოიყენება ადამიანის მოჭრილი თმა ან ფრჩხილი, კბილი, ნერწყვი, სისხლი და ა.შ. იმ კულტურებში, სადაც ე.წ. „ინფექციური“ მაგიაა გავრცელებული, ადამიანები ცდილობენ, რომ ასეთი ობიექტები სხვა პირების ხელში არ აღმოჩნდეს.

ტაილორი, ფრეზერი და სხვა ადრეული ანთროპოლოგები მხარს უჭერდნენ ე.წ. ევოლუციურ მოდელს, რომლის თანახმად, მაგია წინ უსწრებდა რელიგიას. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მაგია ნაკლებად სულიერი და ეთიკურია, ვიდრე რელიგია, რის გამოც ის უფრო „პრიმიტიულია“. ისინი უშვებდნენ, რომ დროთა განმავლობაში მაგია სრულად ჩანაცვლდებოდა რელიგიის

---

15 იხ. J. Frazer, *The Golden Bough: A Study in Magic and Religion*. New York: Macmillan, 1978 [1890].

16 ვუდუ (ინგლ. *voodoo*) – რელიგიური კულტი, რომელიც გავრცელებულია ჰაიტიზე და კარიბის ზღვის სხვა კუნძულებზე. – მთარგმნ. შენიშენა.

უფრო „განვითარებული“ სისტემებით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ჩანაცვლდებოდა მეცნიერებით, რომელიც, მათი აზრით, აზროვნების ყველაზე უფრო რაციონალურ გზას წარმოადგენდა. თუმცა, XX ს-ში მიმდინარე მოვლენებმა აჩვენა, რომ ისინი ცდებოდნენ. თანამედროვე მსოფლიოში მაგიური რელიგიები საკმაოდ გავრცელებულია. ამის ნიმუშია ვიკას (ინგლ. *Wicca*) კულტი. ეს არის ნეონარმართული რელიგია, რომელშიც თავყვანს სცემენ დედამიწას, ბუნებას და წელიწადის დროების მონაცვლეობას. ხუთქიმიანი ვარსკვლავი ვიკას კულტის მნიშვნელოვან სიმბოლოს წარმოადგენს. 2007 წელს აშშ-ს ვეტერანთა დეპარტამენტმა ხუთქიმიანი ვარსკვლავი იმ რელიგიურ სიმბოლოთა სიას დაუმატა, რომელთა განთავსება ნებადართულია გარდაცვლილ ვეტერანთა საფლავის ქვაზე.

**საკრალური გადმოცემები/მითები და დოქტრინა.** რელიგიები რწმენებისა და მოქმედებებისგან შედგება. როგორც წესი, რელიგიის მკვლევარები ჯერ რწმენათა სისტემებზე ამახვილებენ ყურადღებას, რადგან რელიგიური ქმედებები სწორედ რელიგიური რწმენებითაა განსაზღვრული. რელიგიური რწმენები საერთოა ჯგუფისთვის (ხანდახან რამდენიმე მილიონი ადამიანისთვისაც) და ისინი თაობიდან თაობას გადაეცემა.

არსებობს რელიგიური რწმენების გადაცემის ორი ძირითადი ფორმა: მითები ანუ საკრალური გადმოცემები და დოქტრინა.<sup>17</sup>

**მითები** წარმოადგენს ამა თუ იმ ხალხის გადმოცემებს სამყაროს შესახებ, სადაც საუბარია ზებუნებრივ ძალებზე და კაცობრიობის ადგილზე სამყაროში. ყველა საზოგადოებას აქვს თავისი საკრალური მითი. საკრალურ გადმოცემებთან და მითებთან მიმართებაში ანთროპოლოგებს აინტერესებთ პასუხები შემდეგ შეკითხვებზე: რატომ არსებობს კონკრეტული ტიპის საკრალური გადმოცემები/მითები განსხვავებულ საზოგადოებებში? რა კავშირია მითებსა და საზოგადოების სხვა სოციალურ-კულტურულ ასპექტებს შორის? ხომ არ არის მითები ისტორიული მოვლენების დამახინჯებები? ხომ არ არის საკრალური გადმოცემა ის მოდელი, რომლის მეშ-

17 შდრ. B. Miller, *Cultural Anthropology*, გვ. 276.

ვეობითაც საზოგადოება ბუნებასა და სოციალურ სამყაროს აღიქვამს (როგორც ამას გირცი ვარაუდობდა)? რა არის მითის ფუნქციები? როგორ ხდება მითების ინტერპრეტირება და რეინტერპრეტირება მოცემული საზოგადოების შიგნით? რა საერთოა სხვადასხვა მითებს შორის? და ა.შ.

[ანთროპოლოგ **ბრონისლავ მალინოვსკის** (1884-1942 წწ.) აზრით, მითი საზოგადოების საფუძველმდებარე რწმენებს გამოხატავს და ზნეობრივი დატვირთვის მატარებელია.<sup>18</sup> ფრანგი ანთროპოლოგი **კლოდ ლევი-სტროსი** (1908-2009 წწ.), რომელიც, ალბათ, მითების ყველაზე უფრო ცნობილი მკვლევარია, თვლიდა, რომ მითებში შეგვიძლია ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განზომილება დავინახოთ. მისი აზრით, მითები ადამიანებს ეხმარებიან, გადაჭრან ის რთული დაპირისპირებები, რომლებიც არსებობს, მაგალითად, სიცოცხლესა და სიკვდილს, ან სიკეთესა და ბოროტებას შორის. ლევი-სტროსის აზრით, მითები შეიცავენ გადმოცემებს, სადაც ეს დაპირისპირებული დუალობები მესამე ფაქტორითაა გაშუალებული. აღნიშნულ პრობლემათა ეს მითოლოგიური „გადანწყვეტები“ მითის „სიღრმეშია“ საძიებელი.<sup>19</sup>

მითების შესახებ კულტურულ-მატერიალისტური და ფუნქციონალისტური მიდგომების თანახმად, მითებში გადმოცემული ინფორმაცია არსებობისთვის ბრძოლას და ეკონომიკური კრიზისების დაძლევას უკავშირდება. აშშ-ს ტერიტორიაზე, ორეგონისა და კალიფორნიის შტატებში მცხოვრები კლემენტისა და მოდოკის ტომის ინდიელთა 28 მითის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ ძირითად თემას წარმოადგენს მუდმივი ეჭვი საკვების მისაწვდომობასთან დაკავშირებით. სხვა თემები უკავშირდება შიმშილთან გამკლავებას, საკვების მარაგს, რესურსების დივერსიფიკაციას/გამრავალფეროვნებას, რესურსების შენარჩუნებას, მობილობას, ურთიერთდახმარებას და ზებუნებრივ ძალებს. ამრიგად, მითებში შემონახული ცოდნა უკავშირდება ეკონომიკურ საკითხებს (რე-

18 იხ. B. Malinowski, *Magic, Science and Religion, and Other Essays*. Boston: Beacon Press, 1948.

19 იხ. C. Lévi-Strauss, *Structural Anthropology*. New York: Anchor Books, 1967.

სურსების მისაწვდომობა) და ბუნების შენარჩუნების თემას.<sup>20</sup>

**დოქტრინაში** ზებუნებრივი არსებები და ძალები ნათლადაა განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. აქ, ასევე, მკაფიოდაა მოცემული სამყაროს წარმოშობის ახსნა და ადამიანთა დამოკიდებულება ზებუნებრივ ძალებთან და სხვა ადამიანებთან. მითისგან განსხვავებით, დოქტრინა წერილობითი სახისაა და ფორმალურია. ის ახლოს დგას კანონთან, რადგან არასწორ რწმენებსა და ქმედებებს სასჯელებთან აკავშირებს. დოქტრინა უფრო უკავშირდება ინსტიტუციონალიზებულ, ფართომასშტაბიან რელიგიებს, ვიდრე მცირე მასშტაბის „ხალხურ“ რელიგიებს. მიუხედავად ამისა, დოქტრინა უცვლელი როდია. დროის გასვლასთან ერთად დოქტრინის მთელი რიგი ასპექტები ზუსტდება და რეინტერპრეტირდება.<sup>21</sup>

**რიტუალები.** გირცის განსაზღვრებაში ბოლო წინადადება ეხება „ფაქტობრიობის აურას“, რომელიც მოტივაციებს და განწყობებს უნიკალურად რეალისტურად წარმოაჩენს. ეს დებულება მიზნად ისახავს, პასუხი გასცეს იმ შეკითხვებს, რომლებიც ხშირად აღმოცენდება რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებით: რის საფუძველზე დაიწყეს ადამიანებმა სულების, ზებუნებრივი არსებების და სხვა დაუკვირვებადი მოვლენების რწმენა? გირცის აზრით, ამ „ფაქტობრიობის აურას“ ქმნიან რელიგიური რიტუალები, რომელშიც ადამიანები მონაწილეობენ. სწორედ რიტუალის მეშვეობით ხდება სიღრმისეული რეალობის წვდომა. ჭეშმარიტების ძიების პროცესში რელიგია არაემპირიულ და არარაციონალურ არგუმენტებს ემყარება (თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რელიგია რაციონალურ არგუმენტებს საერთოდ არ იყენებს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, თავისი საფუძვლების შესახებ იგი რაციონალურ ახსნას არ გვთავაზობს). რელიგია არ ემყარება მეცნიერული გამოცდილების საფუძველზე მიღებულ დასკვნებს. რელიგიური ჭეშმარიტება

20 იხ. E. Sobel, G. Bettles, "Winter Hunger, Winter Myths: Subsistence Risk and Mythology among the Klamath and Modoc". *Journal of Anthropological Archaeology*, 19 (2000), გვ. 276-316.

21 იხ. B. Miller, *Cultural Anthropology*, გვ. 276.

არ არის მეცნიერული ხასიათის და არ გვანვდის მტკიცებებს მეტაფიზიკური ან ზებუნებრივი მოვლენების ახსნისთვის. რელიგია სიმბოლურად და აბსტრაქტულად აღძრავს ადამიანებში დამოკიდებულებას ამ რწმენების მიმართ. რიტუალური აქტივობების მეშვეობით ეს სიმბოლოები და აბსტრაქტული ჭეშმარიტებები, ასე ვთქვათ, ხორცს იხსამენ.

**რელიგიური რიტუალები შედგება განმეორებადი ქცევებისგან, რომელთა მეშვეობით ხდება საკრალური სიმბოლოების გადაცემა საზოგადოების წევრებისთვის.** რელიგიური რიტუალების მაგალითებია ქრისტიანული წირვა, ადგილობრივ ინდიელთა ცეკვები და მედიტაციები და ა.შ. რიტუალები მოიცავენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა ლოცვა, მედიტაცია და სულიერი კომუნიკაციის სხვა საშუალებები. ანთროპოლოგ ედმუნდ ლიჩის მიხედვით, რელიგიური რიტუალები საკრალურ სიმბოლოებს და ინფორმაციას **შეკუმშულად** გადასცემენ. მან აღნიშნა, რომ რიტუალის ვერბალური ნაწილი არ არის განცალკევებული ქცევითი ნაწილისგან და რომ რიტუალებს, შესაძლოა, სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდეთ საზოგადოების წევრებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგიურ რიტუალში მონაწილე ყოველი ინდივიდი, ამ რიტუალის მეშვეობით **უნიკალურ**, პირად და ფსიქოლოგიურ გამოცდილებას იღებს.<sup>22</sup>

კოგნიტიურ-ევოლუციურ მიდგომაზე დაყრდნობით, ანთროპოლოგი ჰარვი უაითჰაუზი მიიჩნევს, რომ არსებობს რელიგიურობის ორი განსხვავებული ტიპი: **დოქტრინული (doctrinal)** და **ხატოვანი (imagistic)**. დოქტრინული ტიპი წარმოადგენს ფორმალურ-წერილობით ან ზეპირ ტრადიციებს, რომელიც უკავშირდება იმას, რასაც ბავშვები და მოზრდილები სწავლობენ მუდმივი გამეორების გზით თავიანთ რელიგიურ ტრადიციაში. ამისგან განსხვავებით, რელიგიურობის ე.წ. „ხატოვანი“ ტიპი ღრმად ემოციურია და მომდინარეობს იმ ინტენსიური პირადი გამოცდილებიდან, რომელიც ინდივიდს აქვს საკუთარ რელიგიურ ტრადიციასთან მიმართებაში. რელიგიურობის ეს ტიპი ბევრ

22 იხ. E. Leach, "Ritualization in Man in Relation to Conceptual and Social Development." *Philosophical Transactions of the Royal Society of London, Series B* 251 (772), 1966, გვ. 403-408.

შემთხვევაში ემყარება ცალკეულ შემთხვევებს, რომელთა დროს რელიგიური რიტუალები სრულდება და რომელთა შესახებ ინდივიდებს მოგონებები აქვთ. უაითჰაუზმა შეისწავლა მოზარდთა ინიციაციის რიტუალები მელანეზიაში (წყნარი ოკეანე) და აღწერა, თუ როგორ აყალიბებს რიტუალების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი მოგონებები მოზარდებში რელიგიურობის ხატოვან ფორმას.<sup>23</sup> ეს დაყოფა რელიგიურობის დოქტრინულ და ხატოვან ტიპებს შორის არსებითია თანამედროვე ანთროპოლოგებისთვის, რომლებიც რელიგიურ რიტუალებს შეისწავლიან.

[ანთროპოლოგები რიტუალების კატეგორიზებას ახდენენ. ერთ-ერთი ნიშანი, რომლითაც რიტუალები ჯგუფდება, მათი პერიოდულობაა. რეგულარულად განხორციელებულ რიტუალებს **პერიოდული რიტუალები** ეწოდება. ამისგან განსხვავებით, **არაპერიოდული რიტუალები** არარეგულარობით ხასიათდება. ზოგჯერ ისინი პასუხია ერთგვარ მოულოდნელ მოვლენებზე (გვალვა ან წყალდიდობა) ან კიდევ უკავშირდებიან გარკვეულ მოვლენებს პიროვნების ცხოვრებაში (ავადმყოფობა, უშვილობა, დაბადება, ქორწინება, სიკვდილი).

**სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული რიტუალი ანუ გარდამავალი (ინიციაციის) რიტუალი** აღნიშნავს სტატუსის ცვლილებას, რომელიც უკავშირდება ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ცხოვრების ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლას. ანთროპოლოგმა ვიქტორ თერნერმა ჩაატარა სავსელ სამუშაო ჩრდილოეთ-დასავლეთ ზამბიაში მცხოვრებ ნდემბუს ხალხში.<sup>24</sup> თერნერმა აღმოაჩინა, რომ ნდემბუს ხალხში (და ზოგადად) სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებულ რიტუალში სამი ფაზა გამოიყოფა: **სეპარაცია (განცალკევება), გარდამავალი ფაზა და რეინტეგრაცია.**

პირველ ფაზაში ხდება ინდივიდის ან ჯგუფის ფიზიკური, **სოციალური ან სიმბოლური განცალკევება** ნორმალური

23 H. Whitehouse, *Modes of Religiosity: A Cognitive Theory of Religious Transmission*. Walnut Creek, CA: AltaMira Press, 2004.

24 იხ. V. W. Turner, *The Ritual Process: Structure and Anti-Structure*. Chicago: Aldine, 1969.

ცხოვრებიდან. განცალკევება, შესაძლოა, საგანგებო ტანსაცმლის ტარებით გამოიხატოს. მრავალ კულტურაში (ამაზონი, აღმ. და დას. აფრიკა) მოზარდები რამდენიმე წლის განმავლობაში სოფლისგან მოშორებით, განცალკევებულ ქოხებში ცხოვრობენ.

გარდამავალი ფაზის დროს ადამიანს უკვე არა აქვს ძველი სტატუსი, თუმცა, ჯერ კიდევ არა აქვს შექმნილი ახალი. ეს ფაზა ხშირად მოიცავს სპეციალიზებული უნარების ათვისებას, რაც ინდივიდს ახალი სტატუსისთვის ამზადებს (მაგალითად, ჩრდილოეთ ზამბიაში მცხოვრებ ბემბას ტომში გოგონები ინიციაციის რიტუალის დროს 40 სახეობის სოკოს შორის განსხვავებებს სწავლობენ, რათა გაარჩიონ, რომელია შხამიანი და რომელი – საკვებად ვარგისი). დაბოლოს, რეინტეგრაციის საფეხურზე ინდივიდი ახალი სტატუსით უბრუნდება საზოგადოებას.

**პილიგრიმობის რიტუალი** გულისხმობს საკრალური ადგილის ან ადგილების მონახულებას რელიგიური მოტივებით. პილიგრიმთა ცნობილი ადგილებია: იერუსალიმი (ისრაელი) – ქრისტიანებისთვის, ვარანასი (ინდოეთი) – ინდუისტებისთვის, მექა (საუდის არაბეთი) – მუსლიმანებისთვის, ბოდჰ გაია (ინდოეთი) – ბუდისტებისთვის. პილიგრიმობა ხშირად გულისხმობს გაჭირვების გადატანას მორწმუნის მხრიდან. მიიჩნევა, რომ რაც უფრო მეტ სირთულეს გადალახავს მორწმუნე, მით უფრო მეტად ღირებული იქნება პილიგრიმობა. ეკლესიის ან სინაგოგის ყოველდღიური მონახულებისგან განსხვავებით, პილიგრიმობის რიტუალი ინდივიდს უფრო მეტად აშორებს ყოველდღიური ცხოვრებისგან. შესაბამისად, მასში უფრო მეტია ინდივიდის ტრანსფორმირების (გარდაქმნის) პოტენციალი.

ვ. თერნერმა სასიცოცხლო ციკლის რიტუალის სამი ფაზა პილიგრიმობის რიტუალს დაუკავშირა: თავდაპირველად პილიგრიმი შორდება თავის ყოველდღიურ ცხოვრებას; შემდეგ, პილიგრიმობის პერიოდში იგი გარდამავალ საფეხურზე იმყოფება; დაბოლოს, შექმნილი გამოცდილებით გარდაქმნილი, რეინტეგრირდება თავის საზოგადოებაში.<sup>25</sup> ადამიანი, რომელმაც პილი-

25 იხ. B. Miller, *Cultural Anthropology*, გვ. 281-282..

გრიმობის რიტუალი განახორციელა, ხშირად თავის სტატუსს განამტკიცებს და, ასევე, ახალ სულიერ გამოცდილებას იძენს.

**ინვერსიულ რიტუალებში** ხდება ნორმალური სოციალური როლებისა და მიმართებების დროებითი შეტრიალება. ფუნქციონალისტური პერსპექტივის თანახმად, ეს რიტუალები სოციალური ზემოქმედების „გამოთავისუფლების“ საშუალებას იძლევა. ისინი, ასევე, ახსენებენ საზოგადოების წევრებს ნორმალური, ყოველდღიური როლებისა და პრაქტიკების მართებულობას, რომლებსაც ადამიანები რიტუალის დასრულების შემდეგ უნდა დაუბრუნდნენ.

კარნავალი ინვერსიული რიტუალია, რომლის ძირები ხმელთაშუაზღვისპირეთის ჩრდილოეთშია. სამხრეთ ევროპასა და დასავლეთ ნახევარსფეროში მას განსაკუთრებულად აღნიშნავენ. კარნავალი არის ხმაურიან ზარ-ზეიმის პერიოდი, რომელიც წინ უსწრებს ქრისტიანულ დიდმარხვას. სხვადასხვა ადგილზე ის განსხვავებულ დროს იწყება, თუმცა ყოველთვის სრულდება ყველიერის კვირის სამშაბათს (*Mardi Gras*), რომლის შემდეგაც დიდმარხვა იწყება. სიტყვა „კარნავალი“ ლათინურად „ხორციან დამშვიდობებას“ ნიშნავს, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დიდმარხვის პერიოდში მორწმუნეები ხორცს არ მიირთმევენ.

ქალაქ ბოსაში (კ. სარდინია, იტალია) კარნავალის პერიოდში ხდება სოციალური როლების შეტრიალება და სოციალური ქცევის ნორმების შემსუბუქება (ფლირტის ისეთი ფორმები, რომლებიც ჩვეულებრივ პერიოდში მისაღებად არ ითვლება, კარნავალის დროს ნებადართულია). ბოსაში კარნავალი სამი ეტაპისგან შედგება: პირველ საფეხურზე იმართება ქუჩის თეატრის სანახაობები და მასკარადები. მასკარადების დროს მამაკაცები ქალების ტანისამოსს ირგებენ და „გამომწვევ“ როლებს თამაშობენ. მეორე ეტაპზე, ყველიერის სამშაბათ დილას, ასეულობით ადამიანი (უმრავლესობა მამაკაცი), ძაძვით იმოსება (ქვრივების მსგავსად) და ასე გადის ქუჩაში. ისინი აქეთ-იქით აქნევენ თოჯინებს და გამყინავი ხმით ყვირიან: „მოგვეციოთ რძე... რძე ჩვენი ბავშვებისთვის!“ მესამე ეტაპზე, რომელსაც გიოლცი (*Giolzi*) ეწოდება, მამაკაცები და



ქალები თეთრად იმოსებიან ზენრებითა და ბალიშისპირებით, ხოლო სახეს შავად იმურავენ. ისინი ქუჩაში დარბიან ხელიხელჩაკიდებულნი და გაჰყვირიან „გიოლცი“-ს, თითქოს ეძებენ მას, თუმცა, რას ნიშნავს ეს სიტყვა, უცნობია.

როგორ ახდენს კულტურის ანთროპოლოგი ამ მოვლენების ინტერპრეტირებას? კარნავალი ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, შეასრულონ ის როლები, რომლებიც მათთვის, როგორც წესი, აკრძალულია. ეს, ასევე, საყოველთაო გართობისა და მხიარულების პერიოდია. ამ სახით ინვერსიული რიტუალები სოციალური წესრიგის შენარჩუნებას უწყობენ ხელს. რამდენიმე დღიანი მხიარულების შემდეგ ყველა ინდივიდი მომდევნო ერთი წლის განმავლობაში თავის კუთვნილ ადგილს უბრუნდება.

ბევრი რიტუალი მოიცავს **მსხვერპლშენირვას** ანუ ზებუნებრივი ძალებისა და არსებებისთვის რაიმეს შეთავაზებას. მსხვერპლშენირვის წესს მსოფლიოში დიდი ხნის ისტორია აქვს და ის, სავარაუდოდ, რიტუალის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. მსხვერპლი, შესაძლოა, იყოს ცხოველი, ადამიანი (მთლიანი ადამიანი, მისი სხეულის რომელიმე ნაწილი ან ადამიანის სისხლი), ბოსტნეული, ხილი, მარცვლეული, ყვავილები და სხვა პროდუქტები. ყვავილების, როგორც მსხვერპლშენირვის ობიექტის ერთ-ერთი ინტერპრეტაცია ისაა, რომ ისინი ცხოველთა მსხვერპლშენირვის ჩამანაცვლებელია.<sup>26</sup>

XVI საუკუნის ესპანურ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ აცტეკები ადამიანებსა და სხვა ცხოველებს საჯაროდ წირავენ მსხვერპლად, რათა ღმერთების კეთილგანწყობა მოიპოვონ. ამ აღწერილობების მიხედვით, აცტეკები ათასობით მსხვერპლს აიძულებდნენ, მათი ტაძრის ზედა სართულამდე ასულიყვნენ, რის შემდეგაც მათ გულს აგლეჯდნენ. ანთროპოლოგებს შორის მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენ ადამიანს სწირავდნენ აცტეკები მსხვერპლად და რატომ აკეთებდნენ ისინი ამას. ანთროპოლოგ მერვინ ჰერისის აზრით, ზოგიერთ ტაძარში მსხვერპლთა საერთო რიცხვი რამდენიმე ათეულ ათასს აღწევდა. ჰერისი, რომელიც კულტურულ-მა-

26 იხ. J. Goody, *The Culture of Flowers*, Cambridge: Cambridge University Press, 1993.

ტერიალისტურ მიდგომას ეყრდნობა, ასევე, ამტკიცებს, რომ მსხვერპლთა დანარჩენ ნაწილებს შემდეგ უბრალო ადამიანები ჭამდნენ.<sup>27</sup> ჰერისის აზრით, ასეთი რიტუალების მეშვეობით აცტეკთა სახელმწიფო საკუთარი ძალის დემონსტრირებას ახდენდა და, ამავე დროს, თავის მოსახლეობას ცილებით უზრუნველყოფდა. ჰერისის საპირისპიროდ, სიმბოლური ანთროპოლოგიის წარმომადგენელი პეგი სენდეი მიიჩნევს, რომ მსხვერპლშენიშვნებს, ძირითადად, რელიგიური დატვირთვა ჰქონდა (ღმერთების მომადლიერება) და ისინი საერთოდ არ უკავშირდებოდნენ მმართველთა საერო ძალაუფლებას.<sup>28]</sup>

**რელიგიური „სპეციალისტები“.** რელიგიის ანთროპოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა სხვადასხვა საზოგადოებაში არსებული რელიგიური „სპეციალისტების“ შესწავლა. ყოველ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ინდივიდები, რომლებიც განსაკუთრებულ, საკრალურ ცოდნას ფლობენ. ეს ინდივიდები ატარებენ რიტუალებს და რელიგიური გადმოცემების ინტერპრეტაციას ახდენენ. რელიგიური სპეციალისტის ტიპი საზოგადოების სოციალურ-კულტურულ სისტემაზეა დამოკიდებული. **შამანები**, როგორც წესი, არიან რელიგიური პრაქტიკოსები, რომლებსაც, ხალხის რწმენით, ზებუნებრივ არსებებთან და ძალებთან აქვთ უშუალო კონტაქტი (ხშირად ისინი ამისთვის ზებუნებრივი ძალის მიერ არიან „მონოდებული“). შამანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას ტრანსში შესვლის უნარი წარმოადგენს. თავის საზოგადოებაში მათ არა აქვთ რელიგიური პრაქტიკოსის ფორმალიზებული, ოფიციალური სტატუსი. შამანები ჩართულნი არიან სამკურნალო პროცესში: ისინი კურნავენ როგორც ფიზიკურ, ასევე, ფიზიოლოგიურ დაავადებებს. რელიგიური ფუნქციების გარდა, ისინი იმავე აქტივობებში იღებენ მონაწილეობას, რომლებსაც საზოგადოების წევრების უმრავლესობა ახორციელებს.

27 იხ. M. Harris, *Cannibals and Kings: The Origins of Culture*. New York: Random House, 1977.

28 შდრ. B. Miller, *Cultural Anthropology*, გვ. 279-283; P. Sanday, *Divine Hunger: Cannibalism as a Cultural System*. New York: Cambridge University Press, 1986.

ტერმინი **მღვდელი/ქურუმი** აღნიშნავს რელიგიურ სპეციალისტს, რომელსაც ოფიციალური სტატუსი აქვს, რის საფუძველზეც მიიჩნევა, რომ იგი განსაკუთრებულ საკრალურ ცოდნას ფლობს. შამანებისგან განსხვავებით მღვდლები/ქურუმები ჩვეულებრივ ინვრთებიან ფორმალური, საგანმანათლებლო პროცესების მეშვეობით, რათა შენარჩუნებულ იქნეს რელიგიური ტრადიციები და რიტუალები. როგორც წესი, მღვდლები და ქურუმები უფრო რთული სოციალურ-კულტურული სისტემის წიაღში არსებობენ. შამანებისა და ქურუმების გარდა, ანთროპოლოგები, ასევე, შეისწავლიან სხვა ტიპის რელიგიურ სპეციალისტებსაც (ნათელმხილველები, მკითხავები, ე.წ. ჯადოს დამამზადებლები და ა.შ.).

**რელიგიური მოძრაობები.** ანთროპოლოგები, რომლებიც რელიგიებს შეისწავლიან, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ რელიგიური მოძრაობების ანალიზზე. სოციალურ მეცნიერებებში ადრე არსებული მიდგომები რელიგიას უბრალოდ განიხილავდა, როგორც საზოგადოებაში არსებული გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შედეგს. მიიჩნეოდა, რომ თუკი საზოგადოებაში თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები განვითარდებოდა, ამას რელიგიური ტრადიციების დაკნინება ან გაქრობა მოჰყვებოდა. რელიგია განიხილებოდა როგორც პერიფერიული ელემენტი, რომლის ერთადერთ ფუნქციას საზოგადოების სტატიკურობის შენარჩუნება წარმოადგენდა. თუმცა, დღესდღეობით, რელიგიური რწმენების ანალიზისას ანთროპოლოგები მათ ხშირად განიხილავენ, როგორც საზოგადოებრივი ცვლილების გამომწვევ ფაქტორებს. მაგალითად, ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობების შემსწავლელმა კულტურის ანთროპოლოგებმა დაასკვნეს, რომ ახლო აღმოსავლეთში რელიგია სოციალური ცვლილების გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## შეუძლია თუ არა მეცნიერებას, სასარგებლო იყოს რელიგიისთვის? კულტურის ანთროპოლოგიის პერსპექტივა

იმისთვის, რათა სათაურში დასმულ შეკითხვას ვუპასუხოთ, საჭიროა დავაზუსტოთ, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინებში „მეცნიერება“ და „რელიგია“. ასეთი დაზუსტების საჭიროებაზე სხვა ავტორებიც საუბრობენ. მაგალითად, მაიკლ სტენმარკი რელიგიასა და მეცნიერებას ერთმანეთისგან მათი მიზნების მეშვეობით განასხვავებს. მისი აზრით, მეცნიერებას **ტექნოლოგიური** (ბუნების კონტროლი და ბუნებრივი პორცესების წინასწარმეტყველება) და **ეპისტემოლოგიური** (ფიზიკური და სოციალური სამყაროს შესახებ ცოდნის მოპოვება) მიზნები აქვს, ხოლო რელიგიას – **სოტერიოლოგიური** (ინდივიდის ხსნა) და **მორალური** (სხვებთან მიმართება და იმის ცოდნა, თუ რა არის კარგი და ცუდი).<sup>1</sup> გარდა ამისა, მეცნიერება სპეციფიკური სფეროა, რომელშიც საგანგებოდ განსწავლული ინდივიდები მოღვაწეობენ, ხოლო რელიგია ისეთი პრაქტიკაა, რომელშიც ყველა ადამიანს შეუძლია ჩართვა, თუკი მას შესაბამისი რწმენები ექნება.<sup>2</sup> ჰელენ დე კრუზი აღნიშნავს, რომ მეცნიერებისა და რელიგიის ერთ-ერთი განმასხვავებელი ისაა, რომ მეცნიერება განიხილავს ფიზიკურ სამყაროს, ხოლო რელიგია – როგორც ბუნებრივ, ასევე, ზებუნებრივ სამყაროებს. ამ კონტექსტში იგი ერთმანეთისგან განასხვავებს მეთოდოლოგიურ და ონტოლოგიურ/ფილოსოფიურ ნატურალიზმს. **მეთოდოლოგიური ნატურალიზმი** არის ეპისტემოლოგიური პრინციპი, რომელიც მეცნიერულ კვლევა-ძიებას ბუნებაში არსებული ობიექტებითა და კანონებით შემოზღუდავს. რაც შეეხება **ონტოლო-**

1 შდრ. მ. სტენმარკი, „ქრისტიანული რწმენისა და მეცნიერების ურთიერთ-მიმართება“, იხ. ზემოთ, გვ. 13-14.

2 იქვე, გვ. 20-21.

**გიურ/ფილოსოფიურ ნატურალიზმს**, ეს არის მეტაფიზიკური პრინციპი, რომელიც უარყოფს ზებუნებრივის არსებობას.<sup>3</sup> არასწორი იქნება, თუკი მეცნიერებას როგორც ასეთს, ამ უკანასკნელ პრინციპს გავუიგივებთ.<sup>4</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **მეცნიერება იმთავითვე როდი უარყოფს ზებუნებრივს**. მეთოდოლოგიური ნატურალიზმი მეცნიერებაში ნიშნავს იმას, რომ მეცნიერება „თავს იკავებს“ ზებუნებრივზე შესახებ საუბრისგან. მეცნიერულად მიიჩნევა ის, რისი ემპირიულად შემონმებაც შესაძლებელია, ხოლო რადგან ზებუნებრივი ასეთ შემონმებას არ ექვემდებარება, ის მეცნიერების მიღმაა და მასზე მეცნიერების ფარგლებში ვერ ვისაუბრებთ.<sup>5</sup>

წინამდებარე სტატიაში „რელიგიაში“ მოიაზრება წარმოდგენები ზებუნებრივი რეალობის შესახებ და სოციალური პრაქტიკები (რიტუალები, მორწმუნეთა ქმედებები და ა.შ.), რომლებიც ამ წარმოდგენებს უკავშირდება. რაც შეეხება „მეცნიერებას“, აქ იგულისხმება ის სოციალური პრაქტიკები, რომელთა საფუძველმდებარე პრინციპი მეთოდოლოგიური ნატურალიზმია. აღნიშნულ პრაქტიკებს ახორციელებენ ადამიანები, რომლებიც შესაბამის კვალიფიკაციებს ფლობენ და რომელთა მიზანია ფიზიკური და სოციალური სამყაროს შესახებ სერტიფიცირებული ცოდნის მოპოვება და გავრცელება.

რა თქმა უნდა, ამ განსაზღვრებებს არა აქვთ პრეტენზია ამომწურაობაზე. ისინი ზოგადად მოხაზავენ იმ სფეროებს, რომლებსაც ჩვენ „რელიგიასა“ და „მეცნიერებას“ ვუნოდებთ. მათი შემოტანა საჭირო იყო იმდენად, რამდენადაც რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართებაზე საუბრისას გაუთ-

---

3 შდრ. H. De Cruz, “Religion and Science”, 1.2 What is science, and what is religion? *The Stanford Encyclopedia of Philosophy*. <https://plato.stanford.edu/entries/religion-science/> (წვდომა განხორციელდა: 25.05.2019)

4 ამას აკეთებს კანადელი ფილოსოფოსი ჟან გრონდენი. არამატერიალური რეალობის უარყოფას იგი თანამედროვე მეცნიერების ძირითად მახასიათებლად მიიჩნევს და ამ პოზიციას „ნომინალიზმს“ უწოდებს. შდრ. J. Grondin, *Die Philosophie der Religion. Eine Skizze*, Tübingen: Mohr Siebeck, 2012, გვ. 7 და შმდ.

5 შდრ. H. De Cruz, “Religion and Science”, 1.2 What is science, and what is religion?

ვალისწინებელი ტერმინოლოგიური გაუგებრობები არ წარმოქმნილიყო. ეს განსაკუთრებით ეხება ტერმინს „მეცნიერება“, რომელიც საკმაოდ მომცველი ცნებაა. შესაბამისად, სტატიის სათაურში დასმულ კითხვას მყისვე მოჰყვება დაზუსტება – „კულტურის ანთროპოლოგიის პერსპექტივა“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წინამდებარე სტატიაში განხილულია, თუ რამდენად სასარგებლო შესაძლოა აღმოჩნდეს ეს მეცნიერული დისციპლინა რელიგიისთვის (მოცემულ შემთხვევაში „რელიგიაში“ მართლმადიდებლობას ვგულისხმობ). თავდაპირველად განვიხილავ კულტურის ანთროპოლოგიის შესწავლის საგანს, შემდეგ გავაანალიზებ რელიგიის შესწავლის ერთ-ერთ მოდელს კულტურის ანთროპოლოგიაში (კლიფორდ გირცი), ბოლოს კი, საკუთარი ეთნოგრაფიული კვლევების საფუძველზე, შევეცდები, ვაჩვენო კულტურის ანთროპოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საჭიროება რელიგიისთვის.

**კულტურის ანთროპოლოგია** შეისწავლის ადამიანის აზროვნებისა და მოქმედების მოდელებს თანამედროვე საზოგადოებებში. ის, ასევე, სწავლობს იმას, თუ როგორ და რატომ განსხვავდებიან ეს მოდელები ერთმანეთისგან. კულტურის ანთროპოლოგიას ზოგჯერ განსხვავებული სახელებით მოიხსენებენ: სოციალური ანთროპოლოგია, სოციოკულტურული ანთროპოლოგია, ან კიდევ ეთნოლოგია.<sup>6</sup>

კულტურის ანთროპოლოგია ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ქვედარგია (ბიოლოგიურ ანუ ფიზიკურ ანთროპოლოგიასთან, არქეოლოგიასთან და ლინგვისტურ ანთროპოლოგიასთან ერთად).<sup>7</sup> **კულტურის** ცნება კულტურის ანთროპოლოგიის ცენტრალურ ცნებას წარმოადგენს. მისი ფართო მოცულობისა და საკმა-

6 შდრ. P. Collings, “Cultural anthropology”, in: H. J. Birx (ed.), *Encyclopedia of Anthropology*, vol. 1, Sage Publications, 2006, გვ. 150.

7 ზოგჯერ ანთროპოლოგიაში მეხუთე ქვედარგსაც გამოყოფენ. ესაა პრაქტიკული ანუ გამოყენებითი ანთროპოლოგია. თუმცა, ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ პრაქტიკული განზომილება ანთროპოლოგიის ოთხივე ქვედარგის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. წინამდებარე სტატიაში ეს უკანასკნელი პერსპექტივაა გაზიარებული. შდრ. B. Miller, *Cultural Anthropology*, 8<sup>th</sup> edition, Pearson, 2017, გვ. 6-7.

ოდ დიდი მრავალფეროვნების გამო, არ არსებობს კულტურის საბოლოო, ამომწურავი და უცვლელი განმარტება. კულტურის ანთროპოლოგიაში დღემდე საკმაოდ პოპულარულია ედუარდ ბარნეტ ტაილორის მიერ 1871 წელს ჩამოყალიბებული განსაზღვრება, რომლის თანახმად კულტურა არის „ის კომპლექსური მთლიანობა, რომელიც მოიცავს ცოდნას, რწმენას, ხელოვნებას, სამართალს, ზნეობას, წესებს და ნებისმიერ სხვა უნარსა თუ ჩვეულებას, რომელსაც იძენენ ადამიანები, როგორც საზოგადოების წევრები“.<sup>8</sup> როგორც პ. ქოლინგსი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ტაილორის განსაზღვრება ამომწურავი არაა, ის მაინც მნიშვნელოვანია თანამედროვე ანთროპოლოგებისთვის, რადგან კულტურის მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას.<sup>9</sup> ბ. მილერი კი მიიჩნევს, რომ ამ განსაზღვრების ყველაზე უფრო მყარი კომპონენტი არის ფრაზა „კომპლექსური მთლიანობა“.<sup>10</sup>

კულტურის ანთროპოლოგიაში კულტურის განსხვავებული განსაზღვრებები არსებობს.<sup>11</sup> მიუხედავად ამისა, ანთროპოლოგები თანხმდებიან, რომ კულტურა შემდეგი ასპექტებით ხასიათდება: 1. კულტურა საერთოა მოცემული ინდივიდთა ჯგუფისთვის; 2. მოცემულ კულტურაში დამკვიდრებული ქცევის მოდელების შესწავლა, ათვისება და ინტერნალიზება ბავშვობის პერიოდში ხდება; 3. კულტურა ადაპტაციურია: ის ხელს უწყობს ინდივიდთა გადარჩენასა და მათ რეპროდუქციას; 4. კულტურა ინტეგრირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ელ-

---

8 შდრ. P. Collings, “Cultural anthropology”, გვ. 150. ტაილორის აღნიშნული განსაზღვრება მოცემულია მის შემდეგ ნაშრომში: E. B. Tylor, *Primitive Culture. Researches into the Development of Mythology, Philosophy, Religion, Art, and Custom*, 2 vols., vol. 1, London: John Murray, 1871, გვ. 1.

9 შდრ. P. Collings, “Cultural anthropology”, გვ. 150.

10 შდრ. B. Miller, *Cultural Anthropology*, გვ. 12. თავად მილერი კულტურას განსაზღვრავს როგორც მოქმედებებისა და რწმენების ერთობლიობას, რომლებიც საერთოა მოცემული ინდივიდთა ჯგუფის წარმომადგენლებსათვის და რომლებსაც ისინი სწავლის მეშვეობით ითვისებენ (იქვე).

11 ჯერ კიდევ 1950-იან წლებში ანთროპოლოგებმა 160-ზე მეტი დეფინიცია მოიძიეს. შდრ. B. Miller, *Cultural Anthropology*, გვ. 11-12.

ემენტები ერთმანეთთანაა დაკავშირებული.<sup>12</sup>

**რელიგია** იმთავითვე დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ანთროპოლოგებისთვის. XIX საუკუნეში ანთროპოლოგები, უმეტესწილად, რელიგიის წარმოშობისა და რელიგიური პრაქტიკების განვითარების საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი. მოგვიანებით, ანთროპოლოგებმა უფრო მეტად ყურადღება გაამახვილეს რელიგიის სოციალური ასპექტებისა და რელიგიური სისტემების სიმბოლური ბუნების შესწავლაზე.<sup>13</sup>

**კლიფორდ გირცი (1926-2006 წწ.)** სწორედ ასეთი „სიმბოლური“ მიდგომის წარმომადგენელია. გირცის დამსახურება დღეს საყოველთაოდაა აღიარებული. მისმა ნააზრევმა გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ანთროპოლოგიაზე, არამედ ისტორიაზე, სოციოლოგიაზე, რელიგიის, მეცნიერებისა და კულტურის კვლევებზე. მისი ნაშრომი „კულტურათა ინტერპრეტაცია“ (1973 წ.) უკანასკნელი ათწლეულების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნაშრომად ითვლება სოციალურ მეცნიერებებში. ამ ნაშრომში შესულ სტატიებს („სიღრმისეული აღწერა: კულტურის ინტერპრეტაციული თეორიის შესახებ“, „რელიგია როგორც კულტურის სისტემა“, „ეთოსი, მსოფლმხედველობა და საკრალური სიმბოლოების ანალიზი“, „იდეოლოგია როგორც კულტურის სისტემა“, „ღრმა თამაში: შენიშვნები მამლების ბრძოლის შესახებ კუნძულ ბალიზე“ და სხვ.) დღემდე იმონებენ მკვლევრები განსხვავებული დისციპლინებიდან. დღესდღეობით გირცი ე.წ. „კულტურული შემოტრიალების“<sup>14</sup> საკვანძო ფიგურადაა აღი-

12 შდრ. P. Collings, „Cultural anthropology“, გვ. 150. ბ. მილერი კულტურის შემდეგ მახასიათებლებზე ამახვილებს ყურადღებას: 1. კულტურა არის ის, რაც განსხვავდება ბუნებისგან; 2. კულტურა ემყარება სიმბოლოებს; 3. კულტურა ისწავლება; 4. კულტურა ინტეგრირებული ელემენტებისაგან შედგება; 5. კულტურები ურთიერთქმედებენ და იცვლებიან. შდრ. B. Miller, *Cultural Anthropology*, გვ. 12-18.

13 შდრ. R. R. Jones, „Anthropology and Religion“, in: H. J. Birk (ed.), *Encyclopedia of Anthropology*, vol. 5, Sage Publications, 2006, გვ. 2004.

14 კულტურული შემოტრიალება/გარდატეხა (*cultural turn*) – 1970-1980-იან წლებში მომხდარი ცვლილებები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, რომლებმაც კულტურის ინტერდისციპლინური კვლევების დიდი ტალღა წარმოქმნეს.



არებული.<sup>15</sup>

გირცის სტატია „რელიგია როგორც კულტურის სისტემა“ მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ გირცი ცდილობს, რელიგიის სპეციფიკურად კულტურულ განზომილებაზე მიუთითოს, რომელიც არ დაიყვანება სოციალურ, მატერიალურ ან პერსონალურ განზომილებებზე.<sup>16</sup> „კულტურას“ გირცი განსაზღვრავს როგორც ისტორიულად გადაცემად მნიშვნელობებს, რომლებიც სიმბოლოებითაა გამოსატყულები. ესაა სიმბოლური ფორმებით გადმოცემული კონცეფციების სისტემა, რომელთა მეშვეობით ადამიანები ერთმანეთთან კომუნიკაციას ამყარებენ და სოციალური ცხოვრების მიმართ თავიანთ ცოდნასა და დამოკიდებულებებს ავითარებენ.<sup>17</sup> ამრიგად, **გირცთან კულტურა გვევლინება მნიშვნელობათა სტრუქტურებად, რომელთა მეშვეობით ადამიანები თავიანთ გამოცდილებებს ანესრიგებენ.**<sup>18</sup>

აქვე გვთავაზობს გირცი რელიგიის მისეულ განსაზღვრებას, რომელიც საკმაოდ ცნობილია სოციალურ მეცნიერებებში:

„რელიგია – ეს არის სიმბოლოების სისტემა, რომელიც აყალიბებს ძლიერ, დამარწმუნებელ და ხანგრძლივ განწყობებს და მოტივაციებს ადამიანებში. ამას ის ახერხებს არსებობის ზოგადი წესრიგის შესახებ კონცეფციების განვითარებით. ამ კონცეფციებს ფაქტობრიობის ისეთი აურა ახლავს თან, რომ ადამიანთა განწყობები და მოტივაციები წარმოჩნდება, როგორც უნიკალურად რეალისტური.“<sup>19</sup>

15 შდრ. „Preface“, in: J. C. Alexander, P. Smith, M. Norton (eds.), *Interpreting Clifford Geertz. Cultural Investigation in the Social Sciences*, Palgrave Macmillan, 2011, გვ. xiii.

16 შდრ. C. Geertz, „Religion as a cultural system“, in: C. Geertz, *The Interpretation of Cultures*, Basic Books, 1973, გვ. 89; M. Trondman, „To locate in the tenor of their setting the sources of their spell: Clifford Geertz and the strong program in cultural sociology“, in: J. C. Alexander, P. Smith, M. Norton (eds.), *Interpreting Clifford Geertz. Cultural Investigation in the Social Sciences*, გვ. 150.

17 შდრ. C. Geertz, „Religion as a cultural system“, გვ. 89.

18 შდრ. Trondman, „To locate in the tenor of...“, გვ. 148.

19 შდრ. C. Geertz, „Religion as a cultural system“, გვ. 90.

გირცის სტატია, ფაქტიურად, რელიგიის ამ განსაზღვრების განშლ-განვრცობასა და მასზე დართულ ვრცელ კომენტარს წარმოადგენს. „სიმბოლოს“ გირცი ფართო მნიშვნელობით გაიაზრებს: ესაა ნებისმიერი ობიექტი, მოქმედება, მოვლენა, თვისება თუ მიმართება, რომელიც გარკვეულ კონცეფციას გამოხატავს. სიმბოლოები იდეების, დამოკიდებულებების, შეფასებების, სწრაფვებისა და რწმენების კონკრეტულ გამოხატულებებს წარმოადგენენ. გირცი მიიჩნევს, რომ კულტურული ქმედებები (*cultural acts*) სხვა არაფერია, თუ არა სიმბოლური ფორმების კონსტრუირება, გამოყენება და გააზრება. ამ მხრივ კულტურული ქმედებები სოციალური მოვლენების მსგავსია.<sup>20</sup> დიურკემის მსგავსად, რომელიც „სოციოლოგიური მეთოდის წესებში“ სოციალური ფაქტების ავტონომიურობაზე საუბრობდა,<sup>21</sup> გირციც კულტურული „ფაქტების“ ანუ კულტურული ქმედებების ავტონომიურობაზე მიუთითებს და მათ სიმბოლურ განზომილებასთან განუყრელად დაკავშირებულად მიიჩნევს. დიურკემის სოციალური ფაქტების მსგავსად, კულტურის მოდელებიც (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: სიმბოლოების სისტემები) გირცთან ინდივიდებისგან დამოუკიდებლად არსებობენ.<sup>22</sup>

**კულტურის მოდელები ანუ სიმბოლოთა სისტემები/სტრუქტურები** (კონცეფციები, მუსიკალური მელოდიები, რიტუალები და ა.შ.), გირცის აზრით, მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდებიან: ერთი მხრივ, სიმბოლოთა სისტემების კონსტრუირების მეშვეობით შეიძლება გავიგოთ, თუ როგორ ფუნქციონირებენ მატერიალური ობიექტები (მაგალითად, ჰიდრაავლიკის თეორიის ფორმულირებით შეიძლება გავიაზროთ, თუ როგორ ფუნქციონირებს კაშხალი), ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებელია მატერიალური ობიექტების ისეთი მანიპულირება, რომ ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ სიმბოლურ სისტემასთან (მაგალითად, შეიძლება ავაგოთ კაშხალი ჰიდრაავლიკური თე-

---

20 შდრ. იქვე, გვ. 91.

21 ქართული გამოცემისათვის იხ. ე. დიურკემი, „სოციოლოგიის მეთოდის წესები“, თარგმნა დ. ლაბუჩიძე-ხოფერიამ, თბილისი: „იოანე პეტრინი“, 2001.

22 შდრ. C. Geertz, „Religion as a cultural system“, გვ. 92.

ორიის საფუძველზე). ამრიგად, კულტურის მოდელები (= სიმბოლური სტრუქტურები/სისტემები) მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალურ და ფსიქოლოგიურ რეალობას იმდენად, რამდენადაც აყალიბებენ მას და თავად ყალიბდებიან მისგან.<sup>23</sup> ზოგადი სახით ურთიერთქმედების ეს მოდელი, შესაძლოა, შემდეგნაირად გამოიხატოს:

სიმბოლური სტრუქტურები ანუ სისტემები/კულტურის მოდელები → არასიმბოლური სისტემები/მატერიალური ობიექტები

არასიმბოლური სისტემები/მატერიალური ობიექტები → სიმბოლური სტრუქტურები ანუ სისტემები/კულტურის მოდელები

ანუ:

**სიმბოლური სისტემები ↔ არასიმბოლური სისტემები**

**რელიგიური სიმბოლოები**, გირცის თანახმად, აყალიბებენ ბაზისურ თავსებადობას ამა თუ იმ ჯგუფის ცხოვრების კონკრეტულ წესსა (არასიმბოლურ სისტემებს) და მოცემული ჯგუფის მეტაფიზიკურ შეხედულებებს (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზეგრძნობადი სამყაროს შესახებ კონცეფციებს/სიმბოლურ სისტემებს) შორის. ამ თავსებადობის ჩამოყალიბების შედეგად კონკრეტული ცხოვრების წესი მოცემული ჯგუფის მეტაფიზიკურ შეხედულებებს განამტკიცებს, ხოლო მეტაფიზიკური შეხედულებები აღნიშნული ჯგუფის ცხოვრების წესის საფუძვლად გვევლინება.<sup>24</sup> ეს ფუნქციონალისტური პოზიციაა და აიხსნება იმით, რომ გირცზე პარსონსის სისტემების თეორიამ მოახდინა გავლენა (უფრო კონკრეტულად კი, პარსონსისა და შილსის ნაშრომმა მოქმედების ზოგადი თეორიის შესახებ<sup>25</sup>).

ამრიგად, გირცის თანახმად, რელიგიური სიმბოლოები რო-

---

23 იქვე, გვ. 93.

24 შდრ. C. Geertz, "Religion as a cultural system", გვ. 90.

25 ამას თავად გირცი ექსპლიციტურად აღნიშნავს. შდრ. C. Geertz, "Religion as a cultural system", გვ. 89.

გორც სიმბოლური სისტემები (კულტურის შემადგენელი სხვა სიმბოლური სისტემების მსგავსად) ზეგავლენას ახდენენ სამყაროზე ანუ არასიმბოლურ სისტემებზე იმდენად, რამდენადაც ისინი მორწმუნეებში გარკვეულ განწყობებს აყალიბებენ, რომლებიც მორწმუნეთა ქმედებებსა და განცდებს გარკვეულ პერიოდულობას და ამდენად, **მდგრადობას** ანიჭებს.<sup>26</sup> ამავე დროს, **რელიგიური/საკრალური სიმბოლოები სამყაროს შესახებ ზოგად იდეებსაც გადმოსცემენ**. ეს მომენტი გირცს საკმაოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია. იგი მიიჩნევს, რომ ამ ასპექტის გარეშე რელიგიის არსებობა წარმოუდგენელია.<sup>27</sup>

ამის შემდეგ გირცი განიხილავს ისეთ ვითარებებს, რომლებიც ადამიანთა წინაშე სამყაროს შემეცნებადობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. იგი სამ ძირითად კატეგორიას გამოყოფს: 1. ვითარებები, როდესაც ადამიანები ვერ ახერხებენ რაიმე მოვლენის ახსნას; 2. ვითარებები, როდესაც ტანჯვა აუტანელი ხდება და 3. ვითარებები, როდესაც ადამიანი მორალური დილემების წინაშე დგება. გირცი მიიჩნევს, რომ ამ გამონწვევებთან გამკლავება ნებისმიერი რელიგიის ამოცანას წარმოადგენს.<sup>28</sup> „აუხსნელი“, „უცნაური“, ყოველდღიურობისგან მკვეთრად განსხვავებული მოვლენების შემთხვევაში რელიგია ადამიანებს სთავაზობს გარკვეულ სქემებს, რომელთა ფარგლებშიც ისინი ამ მოვლენების ახსნას ესწრაფვიან.<sup>29</sup> ტანჯვის საკითხთან მიმართებაში, გირცის აზრით, რელიგიურ განზომილებაში მნიშვნელოვანია არა ის, რომ ტანჯვა აცილებული იქნეს, არამედ ის, თუ **როგორ** უნდა იქნეს ის ატანილი. რელიგიური სიმბოლოები ადამიანს ეხმარებიან არა მხოლოდ სამყაროს გააზრებაში, არამედ სამყაროში არსებული ტანჯვის ატანაშიც.<sup>30</sup> იგივე შეიძლება ითქვას მორალურ პრობლემებთან

---

26 შდრ. იქვე, გვ. 95.

27 შდრ. იქვე, გვ. 98.

28 შდრ. იქვე, გვ. 100.

29 შდრ. იქვე, გვ. 101-102.

30 შდრ. იქვე, გვ. 104.

მიმართებაშიც. საბოლოო ჯამში, **სამყაროს უსაზრისობის გამონვევაზე რელიგიის პასუხი გულისხმობს რელიგიური სიმბოლოების მეშვეობით სამყაროს ისეთი სურათის წარმოდგენას, რომლის ფარგლებშიც სამყაროში არსებული უცნაურობები, ტანჯვა და უსამართლობა ახსნილი იქნება.** რელიგიური სიმბოლოები, ერთი მხრივ, აღიარებენ იმას, რომ სამყაროში ნეგატიური მოვლენები ხდება, ხოლო მეორე მხრივ, მონესრიგებულ მთელში აქცევენ მათ და მორწმუნეებს ასეთი მონესრიგებული სახით სთავაზობენ სამყაროს შესახებ ზოგად სურათს.<sup>31</sup>

მაგრამ რის გამო სწამთ ადამიანებს სამყაროს იმ სურათის, რომელსაც მათ რელიგია სთავაზობს? გირცი ცალსახად უკუაგდება რწმენის ფენომენის ე.წ. ფსიქოლოგიურ ახსნებს (რადგან, როგორც იგი აღნიშნავს, სოციალური არ დაიყვანება ფსიქოლოგიურზე) და ცდილობს, **რელიგიური პერსპექტივის** არსი გამოკვეთოს (სალი აზრის, მეცნიერულ და ესთეტიკურ პერსპექტივებთან შეპირისპირებით).

სალი აზრის პერსპექტივისგან განსხვავებით, რელიგიური პერსპექტივა სცდება ყოველდღიური ცხოვრების სინამდვილეს და უფრო მომცველ სინამდვილეს ეხება. ეს უფრო მნიშვნელოვანი რეალობა ჩვენი რეალობის საფუძველმდებარეა, უფრო მეტიც, მხოლოდ ის ანიჭებს ჩვენს სინამდვილეს სრულყოფილ სახეს. ყოველდღიურ სინამდვილეზე ადამიანები ზემოქმედებენ ან ადაპტირდებიან მასთან. ამისგან განსხვავებით, მიიჩნევს გირცი, რელიგიურ პერსპექტივას გამოარჩევს არა ზემოქმედება მიღმურ სინამდვილეზე, არამედ მისი არსებობის მიღება, მისი რწმენა. მეცნიერული პერსპექტივა ეჭვქვეშ აყენებს ყოველდღიურ სინამდვილეს იმისთვის, რათა მეცნიერული ჰიპოთეზები ააგოს, რომლებიც მეცნიერულობის ამა თუ იმ კრიტერიუმს ემყარება. რაც შეეხება რელიგიურ პერსპექტივას, ის ყოველდღიურ რეალობას უფრო „მაღალი“, არაჰიპოთეტური ქმმარიტებების პერსპექტივიდან განიხილავს. დაბოლოს, ესთეტიკური პერსპექტივისგან განსხვავებით, რომელიც შეგნებულად ემიჯნება რეალობას, რელიგიური პერსპექტივა „ნამდ-

---

31 შდრ. იქვე, გვ. 108.

ვილად რეალურის“ განცდის აღძვრას ესწრაფვის. რელიგიის როგორც კულტურის სისტემის სიმბოლური აქტიურობები სწორედ ამ „ნამდვილად რეალურის“ კონსტრუირებას და მის განმტკიცებას ემსახურება. ასე რომ, **რელიგიური მოქმედების არსებას წარმოადგენს სიმბოლოთა სპეციფიკური ერთობლიობისთვის საბოლოო, დამარწმუნებელი ავტორიტეტის მინიჭება.**<sup>32</sup>

ამ მომენტს, გირცის აზრით, **რიტუალის** ცნებასთან მივყავართ. სწორედ რიტუალი წარმოქმნის დარწმუნებულობას რელიგიური შეხედულებების ქვეშარიტებაში. რიტუალში ერთმანეთს ერწყმის, ერთი მხრივ, რელიგიური სიმბოლოების ზემოქმედებით წარმოქმნილი განწყობები და მოტივაციები და მეორე მხრივ, სამყაროს შესახებ არსებული ზოგადი წარმოდგენები. ეს ორი მომენტი რიტუალში ერთმანეთს განამტკიცებს. უფრო მეტიც, რიტუალში ერთმანეთს ემთხვევა ადამიანთა რეალური სამყარო (ანუ მათი ცხოვრების წესი, რომელსაც გირცი ეთოსს უწოდებს) და ის სამყარო, რომელსაც მათ რელიგია აღუწერს (სამყაროში არსებული წესრიგის შესახებ შეხედულებები, ანუ მათი მსოფლმხედველობა).<sup>33</sup> რაც უფრო დახვეწილია და მასშტაბურია რიტუალი და რაც უფრო ფართო მეტაფიზიკურ შეხედულებათა სპექტრს მოიცავს ის (ასეთ რიტუალებს გირცი „კულტურულ პერფორმანსებს“ უწოდებს), მით უფრო მეტად ახდენს ის ზეგავლენას ადამიანთა სულიერი სამყაროს ფორმირებაზე. ასეთი ტიპის რიტუალები, ამავე დროს, ყველაზე კარგ შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს იმისთვის, რათა ემპირიულად დააკვირდეს ამ ორი მომენტის (ეთოსისა და მსოფლმხედველობის) ურთიერთქმედებას.<sup>34</sup>

თუმცა, არავინ ცხოვრობს მხოლოდ რიტუალების სამყაროში. ავსტრიელი ფილოსოფოსის **ალფრედ შუტცის (1899-1959 წწ.)** იდეებზე დაყრდნობით, გირცი ყურადღებას ამახვილებს ყოველდღიური სამყაროს როლზე. რიტუალის დასრულების შემდეგ ადამიანები ყოველდღიურ სამყაროს უბრუნდები-

32 შდრ. იქვე, გვ. 111-112.

33 შდრ. იქვე, გვ. 112.

34 შდრ. იქვე, გვ. 113.

ან. გირცი მიიჩნევს, რომ რიტუალის შედეგად წარმოქმნილი განწყობები და მოტივაციები ყველაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას სწორედ რიტუალის მიღმა, ადამიანთა ყოველდღიურ სამყაროზე ახდენენ. ისინი განსაზღვრავენ („განსაზღვრის“ არამკაცრი, არადეტერმინისტული მნიშვნელობით) იმას, თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი სამყაროს და მასში მიმდინარე მოვლენებს. ამრიგად, **„რიტუალის სამყარო“ ყოველდღიურ სამყაროსთან ურთიერთქმედებს.** ადამიანები განუწყვეტლივ მოძრაობენ ამ ორ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ სამყაროებს შორის. რიტუალში რელიგია „წმინდა“ სახითაა მოცემული, ხოლო ყოველდღიურ რეალობაში ის მორწმუნეებს, ასე ვთქვათ, „გამოყენებით“, პრაქტიკული სახით ეძლევა. ის, რაც მორწმუნეს რიტუალში „ნამდვილად რეალურის“ სახით მოეცემა, თვისებრივად განსხვავდება იმისგან, რასაც იგი, რიტუალში მონაწილეობის შედეგად მიღებული გამოცდილების ქრილში, ყოველდღიურ ცხოვრებაში აღვიქვამს. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რიტუალი ადამიანს ცვლის, რიტუალის დასრულების შედეგად ადამიანი იცვლება. აქ იგულისხმება, რომ რიტუალში ჩართულობის შედეგად მან თვისებრივად ახალი გამოცდილება შეიძინა; ხოლო შემდეგ, როდესაც იგი ყოველდღიურ რეალობას უბრუნდება, იგი ამ რეალობას რიტუალის პერსპექტივიდან აღიქვამს. ყოველდღიური სამყაროს ინტერპრეტაციაზე, გირცის აზრით, გავლენას ახდენს რიტუალში ჩართულობის შედეგად მიღებული გამოცდილება.<sup>35</sup>

გირცი მიიჩნევს, რომ ანთროპოლოგიური კუთხით რელიგია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ინდივიდებს/ჯგუფებს აწვდის ზოგად კონცეფციებს სამყაროსა და თვითობის (self), ასევე, მათი ურთიერთმიმართების შესახებ. რელიგია, ასევე, წარმოშობს მენტალურ მიდრეკილებებს, რომლებიც მორწმუნეებს გარკვეული სახის ქმედებებისაკენ განაწყობს. ასე რომ, რელიგიური ცნებები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ მეტაფიზიკური განზომილებით: ისინი აყალიბებენ

---

35 შდრ. იქვე, გვ. 119-122.

ზოგადი იდეების ერთობლიობას, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა ინტელექტუალურ, ემოციურ და მორალურ გამოცდილებებზე. რელიგიური რწმენები და შეხედულებები მორწმუნეთათვის სამყაროს გასაგებასა და „ახსნადს“ ხდიან. მაგრამ სამყაროს შესახებ რელიგიური შეხედულებების ზეგავლენა მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება. ამავე დროს, ისინი მორწმუნეებს გარკვეული ქცევებისაკენ უბიძგებენ. მაგალითად, თავდაპირველი ცოდვის შესახებ მოძღვრება არა მხოლოდ ხსნის იმას, თუ რატომ არსებობს სამყაროში ბოროტება, არამედ ის თავის თავში უკვე შეიცავს სამყაროსადმი მორწმუნის დამოკიდებულებისა და ქცევის მომენტებსაც: როგორ უნდა მოიქცეს ის მთელ რიგ შემთხვევებში, რა მიიჩნის სიკეთედ და რა – ბოროტებად და ა.შ.<sup>36</sup>

გირცისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, თუ როგორ განსაზღვრავს (კვლავ არამკაცრი მნიშვნელობით!) მორწმუნეთა წარმოდგენები „ნამდვილად რეალურის“ ანუ ზეგრძნობადი სამყაროს შესახებ და ამ წარმოდგენების ზემოქმედებით გამოწვეული განწყობები და მიდრეკილებები იმას, თუ რა ითვლება რაციონალურად, პრაქტიკულად, მორალურად და ა.შ. ამისთვის კი მას აუცილებლად მიაჩნია რელიგიურ სიმბოლოებში მოცემული მნიშვნელობათა სისტემების ანალიზი. მეორე აუცილებელ საფეხურად რელიგიის ანთროპოლოგიურ ანალიზში იგი ამ მნიშვნელობათა სისტემების სოციალურ-სტრუქტურულ და ფსიქოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებას მიიჩნევს.<sup>37</sup>

გირცის მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა სქემატურად შესაძლოა, შემდეგი დებულებების სახით ჩამოვაცალიბოთ:

---

36 შდრ. იქვე, გვ. 123-124.

37 შდრ. იქვე, გვ. 124-125.



## ბაზისური ცნებები

**სიმბოლო** – ნებისმიერი ობიექტი, მოქმედება, მოვლენა, თვისება თუ მიმართება, რომელიც გარკვეულ კონცეფციას გამოხატავს.

**კულტურა** – სიმბოლოებით გამოხატული მნიშვნელობის სტრუქტურების ერთობლიობა.

**რელიგია** – სიმბოლოების სისტემა, რომელიც აყალიბებს ძლიერ, დამარწმუნებელ და ხანგრძლივ განწყობებს და მოტივაციებს ადამიანებში. ამას ის ახერხებს არსებობის ზოგადი წესრიგის შესახებ კონცეფციების განვითარებით. ამ კონცეფციებს ფაქტობრიობის ისეთი აურა ახლავს თან, რომ ადამიანთა განწყობები და მოტივაციები წარმოჩნდება, როგორც უნიკალურად რეალისტური.

## ბაზისური დებულებები

1. სიმბოლური და არასიმბოლური სისტემები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ;
2. რელიგიური სიმბოლოები ხელს უწყობენ ინდივიდის/ჯგუფის ცხოვრების წესსა (ეთოსი) და მის მსოფლმხედველობას შორის ჰარმონიული მიმართების არსებობას. ეთოსი და მსოფლმხედველობა ერთმანეთს განამტკიცებს.
3. რელიგიური მოქმედების არსებას წარმოადგენს სიმბოლოთა სპეციფიკური ერთობლიობისთვის საბოლოო, დამარწმუნებელი ავტორიტეტის მინიჭება.
4. რელიგიურ რიტუალში ერთმანეთს ერწყმის ადამიანთა რეალური სამყარო (ეთოსი) და ის სამყარო, რომელსაც მათ რელიგია აღუწერს (მსოფლმხედველობა).
5. „რიტუალის სამყაროს“ გავლენა სცდება რიტუალის ფარგლებს. ინდივიდები/ჯგუფები თავიანთ სამყაროს რიტუალური გამოცდილებების ქრილში აღიქვამენ.

6. რელიგიური რწმენები და შეხედულებები მორწმუნეთათვის სამყაროს გასაგებასა და „ახსნადს“ ხდიან, მაგრამ, ამავე დროს, ისინი მორწმუნეებს გარკვეული ქცევებისაკენ უბიძგებენ. ანთროპოლოგიისთვის საინტერესოა, თუ როგორ ხორციელდება ეს პროცესი.
7. რელიგიის ანალიზი ორსაფეხურიანი პროცესია: 1. რელიგიურ სიმბოლოებში მოცემული მნიშვნელობათა სისტემების ანალიზი; 2. ამ მნიშვნელობათა სისტემების სოციალურ-სტრუქტურულ და ფსიქოლოგიურ პროცესებთან დაკავშირება.

ვიდრე სტატიის დასკვნით ნაწილზე გადავიდოდე, აუცილებლად მიმაჩნია, ვუპასუხო შემდეგ შეკითხვას: რა მიმართებაა, გირცის მიხედვით, მეცნიერებასა და რელიგიას შორის?

ამ შეკითხვაზე პასუხი გირცს მოცემული აქვს თავის სტატიაში. იგი ექსპლიციტურად წერს, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია საკითხები იმის შესახებ, არის თუ არა ესა თუ ის რელიგიური დებულება სწორი, რამდენად ჭეშმარიტია ესა თუ ის რელიგიური გამოცდილება, ან საერთოდ შესაძლებელია თუ არა სწორი რელიგიური დებულებებისა და ჭეშმარიტი რელიგიური გამოცდილებების არსებობა. თუმცა, **მეცნიერული პერსპექტივის მიერ საკუთარი თავისთვის დაწესებული შეზღუდვების** გათვალისწინებით ასეთ შეკითხვებს არათუ პასუხებს ვერ გავცემთ, არამედ საერთოდ ამ შეკითხვების დასმაც კი უსაზრისო ხდება.<sup>38</sup> აქედან ნათელია, რომ გირცი მეთოდოლოგიური ნატურალიზმის პოზიციებზე დგას.

აქ, შესაძლოა, შემდეგი შეკითხვა გაჩნდეს: თუკი მეცნიერული მიდგომა მეთოდოლოგიური ნატურალიზმის პოზიციებზე დგას, მაშინ რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ის რელიგიისთვის? რა ჭრილშია შესაძლებელი მეცნიერებისა და რელიგიის დიალოგი?

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ჩემს მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების საფუძველზე შევეცდები. 2012-2015

---

38 შდრ. იქვე, გვ. 123.

ნლებში ყოველ ზაფხულს ვატარებდი ეთნოგრაფიულ კვლევას პირიქითა ხევსურეთში. კვლევის მიზანი იყო ადგილებსა და იდენტობებს შორის ურთიერთქმედების შესწავლა ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან.<sup>39</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე მაინტერესებდა, რა გავლენას ახდენდა საკრალური ადგილები და სივრცეები ინდივიდუალურ და კოლექტიურ იდენტობებზე. გარდა ამისა, ფენომენოლოგიური მიდგომის გავლენით, საგრძნობი ყურადღება გავამახვილე ყოველდღიურ სივრცეზეც, რომლის წიაღშიც ინდივიდები ყველაზე მეტ დროს ატარებენ.

რადგან საკრალური ადგილები (ე. წ. „ხატი“ ანუ „სალოცავები“) ჩემი კვლევის ერთ-ერთ მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა,<sup>40</sup> ბუნებრივია, მომიწია მასალის შეგროვება ადგილობრივთა რელიგიური რწმენების შესახებ. ბევრ რამეს თავად მივხვდი ჩართული დაკვირვების პროცესში, როდესაც ადგილობრივებთან ერთად ვცხოვრობდი და მათთან ერთად ვმონაწილეობდი სხვადასხვა რიტუალებში. ესაა ჩართული დაკვირვების უაღრესად დიდი უპირატესობა. ალბათ ვერც ერთი ინტერვიუ, ვერც ერთი ფოლკლორული კრებული, სადაც ხალხური გადმოცემებია თავმოყრილი, ვერ მოგცემს იმის საშუალებას, „შიგნიდან“ წვდე ადგილობრივთა სამყაროს, როგორც ამას ჩართული დაკვირვების მეთოდი უზრუნველყოფს. რა თქმა უნდა, ჩართული დაკვირვების დროს ბოლომდე „შინაური“ ვერ გახდები (going native-ის ცნობილი თემა ანთროპოლოგიაში<sup>41</sup>), რადგან ასეთ შემთხვევაში უკვე წყვეტ მკვლევრად ყოფნას, თუმცა

---

39 ფილოსოფიური გეოგრაფიის ჩემუელი ხედვა გადმოცემული მაქვს შემდეგ ნაშრომში: „ფილოსოფიური გეოგრაფია: ისტორია, პრობლემები და პერსპექტივები“, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2016. 2012 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებისათვის იხ. გ. თავაძე, „შატლი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2013.

40 ჩემი სურვილია აღნიშნული მასალები შევაჯამო ნაშრომში „კისტანი: ადგილის ძალა“.

41 იხ., მაგალითად, A. C. G. M. Robben, J. A. Sluka, *Ethnographic Fieldwork. An Ethnographic Reader*, Blackwell Publishing, 2007, გვ. 59-119.

ეს მეთოდი უნიკალური საშუალებაა იმისთვის, რათა „შიდა სამზარეულოს“ სამზარეულოდან დააკვირდე და არა, ვთქვათ, სასტუმრო ოთახიდან, ან სულაც უარესი, სახლის ეზოდან.

ქვემოთ შევეცდები, ძალზე მოკლედ აღვწერო პირიქითა ხე-ვსურეთის მაცხოვრებელთა რელიგიური რწმენების თავისებურებები. „ძალზე მოკლედ“ იმიტომ, რომ წინამდებარე სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის ვრცელი განხილვა ვერ მოხერხდება.<sup>42</sup>

ჩემი რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა თავს მორწმუნე ადამიანად მიიჩნევდა. უფრო მეტიც, შეიძლება თქვას, რომ ვერ ვიხსენებ რომელიმეს, რომელიც ათეისტად ან აგნოსტიკოსად შეიძლებოდა მომენათლა. როგორც ჩემთან საუბრებში, ასევე, მათ ქცევებში, ადგილობრივი სალოცავების („ხატის“) მიმართ მონივნებას და კრძალვას ვაფიქსირებდი.<sup>43</sup> საკუთარ თავს ისინი მართლმადიდებელ ქრისტიანებად მიიჩნევდნენ, თუმცა პრაქტიკულ დონეზე აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში გავრცელებული ე.წ. ხალხური რელიგიის ერთგულნი იყვნენ. ამ ხალხური რელიგიის ცენტრალურ კომპონენტს ქმნის ფიზიკური ადგილი, ე. წ. სალოცავი/ჯვარი/ხატი (ეს ტერმინები ადგილობრივთა მეტყველებაში ურთიერთშენაცვლებადია), რომელიც, შესაძლოა, გადახურული ნაგებობა იყოს ან სიპის ქვების გარკვეული წესრიგით დალაგებულ ერთობლიობას წარმოადგენდეს.

აღნიშნული ხალხური რელიგიის ცენტრალურ ფიგურას

42 თუმცა, ასეთი რამ უაღრესად სასურველია. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რადგან ხშირად ლიტერატურაში, რომელიც ასეთ თემებს ეხება, მთელი რიგი საკითხები იდეალიზებულია იმდენად, რომ საქმე გვაქვს არა რეალურ, არამედ იდეალურ კულტურასთან (კულტურის ანთროპოლოგიაში ეს საკმაოდ ცნობილი განსხვავებაა. იდეალური კულტურა მოიცავს იმას, რის შესახებაც ადამიანები ამბობენ, რომ ესა და ეს ასეა, თუმცა, რეალური კულტურა ადამიანთა აქტუალურ, ნამდვილ ქმედებებს ეხება. მაგალითად, მოცემული საზოგადოების წარმომადგენლები შესაძლოა ამბობდნენ, რომ მათ საზოგადოებაში ყველას ეძლევა განვითარების შესაძლებლობა, თუმცა რეალობაში ეს ასე არ იყოს).

43 აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სალოცავის/ჯვარის/ხატის მნიშვნელობის შესახებ იხ. K. Tuite, "Real and imagined feudalism in highland Georgia", „ამირანი“, VII (2002), გვ. 25-42.

წარმოადგენს „ხუცესი“, ანუ პირი, რომელიც „სალოცავში“ რიტუალებს წარმართავს. ხუცესს ჰყავს თავისი დამხმარეები: ხელოსნები, მედროშეები, მაგანძურები (ვისაც ხატში დაცული თას-განძის მოვლა-პატრონობა აკისრია). არსებობს, ასევე, „დასტურების“ ანუ იმ ადამიანების ინსტიტუტი, რომლებიც თავიანთი ხარჯებით პერიოდულად ხალხური რელიგიის დღესასწაულებისთვის (მაგალითად, ათენგენობისთვის) ლუდს ადუღებენ და სალოცავს მსხვერპლს სწირავენ. მოკლედ რომ ვთქვათ, **აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში არსებობს ხალხური რელიგიის საკმაოდ მაღალგანვითარებული სისტემა** თავისი შესაბამისი რწმენებით, რელიგიური სიმბოლოებით, ინსტიტუტებითა და დამკვიდრებული რიტუალებით.<sup>44</sup>

როგორი წარმოდგენები აქვთ ღმერთის შესახებ ადგილობრივებს? ჩემს რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების, მათთან ხანგრძლივი საუბრების, ასევე, სხვადასხვა დროს მათ მიერ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე ტრანსცენდენტურთან მიმართების სპეციფიკური სურათი გამოიკვეთა. ამ წარმოდგენის თანახმად, უზენაესი არსება უფრო მეტად მკაცრი და მომთხოვნია, ვიდრე კეთილი და გულმონყალე. დაქვემდებარებულ ღვთაებებთან (უხილავი ძალები/ანგელოზები/ღვთიშვილები) მიმართებაც ამბივალენტურია. ადამიანი ფრთხილად უნდა იყოს, რომ მათი რისხვა არ გამოიწვიოს. ამიტომაც, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიტუალების შესრულებას და მსხვერპლშენივას, ადამიანი უნდა ერიდოს საკრალურ ადგილებზე/სივრცეებზე შესვლას იმისთვის, რათა ზეგრძნობადი ძალები არ განარისხოს. ითვლება, რომ ასეთ შემთხვევაში ეს ძალები წესების დამრღვევ ინდივიდს, მისი ოჯახის წევრებს, ან კიდევ მის შთამომავლობას დასჯიან (უბედურებას შეამთხვევენ, გვარს გაუთავებენ ანუ „დაღვინ“ და ა.შ.). ერთი სიტყვით, სახეზეა უზენაესი არსების/არსებების ისეთი გაგება,

44 იხ., მაგალითად, თ. ოჩიაური, „ქადაგობა ხევსურეთში“, თბილისი: საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, 2010; ვ. ბარდაველიძე, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“, ტ. 21, „ხევსურეთი“, თბილისი: „მეცნიერება“, 1982.

რომელიც მათ ძველი აღთქმის ღმერთთან უფრო აახლოებს, ვიდრე ახალი აღთქმის ღმერთთან. გარდა ამისა, მკვეთრადაა ხაზგასმული რიტუალში მონაწილეობის მნიშვნელობა, რაც ღვთაებასთან/ანგელოზებთან/„დალოცვილებთან“ ჰარმონიული ურთიერთობის საწინდარია.<sup>45</sup>

უნდა ითქვას, რომ ჩვენს სინამდვილეში ხალხური რელიგიის ანალიზის გაბატონებული მეთოდი ფუნქციონალისტურია. ხშირ შემთხვევაში ხდება ხალხური რელიგიის „ჩასმა“ ქრისტიანობის კონცეპტუალურ ჩარჩოში, ანუ ქრისტიანობასთან არათავსებადი ელემენტების იგნორირება, ადგილობრივთა მიერ „ქრისტიანული რწმენის შენარჩუნების“ მომენტის წინ წამოწევა, ისტორიის იდეალიზება და არსებული კონფლიქტური მომენტების გადაფარვა. ეს გამონწვეულია „წარმართობის“ სტერეოტიპის გავრცელებით, რომელიც ადგილობრივების მიერ ძალიან მძიმე შეურაცხყოფად აღიქმება, ხოლო მკვლევრების მიერ ხალხურ რელიგიაში არსებული წარმართული მოტივების არსებობა ხშირად უგულებელყოფილია. შესაბამისად, ის ასპექტები, რომლებიც არ არის ქრისტიანული, ან ინტერესის მიღმა რჩება, ან კიდევ მათზე უბრალოდ არ საუბრობენ.

თუმცა, კულტურის ანთროპოლოგიისთვის ასეთი მიდგომა დამღუპველია. ჩართული დაკვირვების პროცესში არაერთხელ დამიფიქსირებია კონფლიქტური მომენტები ინსტიტუციონალიზებულ ქრისტიანობასთან მიმართებით (ეკლესიებთან შედარებით ხატებისა და სალოცავებისთვის უპირატესობის

---

45 ანტიკური რელიგიების დახასიათება პ. ჟიზელის მიერ ძალიან კარგად მიეყენება აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში არსებულ ხალხურ რელიგიას. რიტუალისათვის საკვანძო მნიშვნელობის მინიჭების შესახებ ჟიზელი წერს: „კოსმოსთან მიმართებით ანტიკური რელიგიური პირი ღრმად რიტუალურია. არსებობს გარკვეული შესასრულებელი რიტუალები, რომლებიც მითოსშია ჩაწნული. რიტუალები უნდა შესრულდეს გარკვეულ ადგილზე, თითოეულის (უცხოს თუ გამვლელის) მიერ. ამის გარეშე, შესაძლოა, თავი იჩინოს შავმა ჭირმა ან მოხდეს რაიმე სხვა კოსმიური კატასტროფა. რიტუალი უნდა ასრულდეს მიუხედავად იმისა, თუ რა სწამს მის აღმსრულებელ ინდივიდს და თუ როგორია მისი პიროვნება.“ დამონმებულია ჟ. გრონდენთან. იხ. ჟ. გრონდენი, „რელიგიის ფილოსოფია“, თარგმნა დ. ლაბუჩიძე-ხოფერიამ, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2018, გვ. 47.

მინიჭება, საეკლესიო იერარქიის მიმართ უნდობლობა და ა.შ.). ბუნებრივია, მკვლევარმა ისინი უნდა დააფიქსიროს და გააანალიზოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლევა იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული.

**თეორიულ ჭრილში** ხალხური რელიგიის ანალიზი, შესაძლოა, უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდეს. ჩემი კვლევების საფუძველზე შევეცდები, ვაჩვენო, რომ საკრალური და ყოველდღიური სივრცე არც ისე გამიჯნულია ერთმანეთისგან, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ხალხური რელიგიის ანალიზისას ხშირად მხოლოდ საკრალურ ადგილებსა და სივრცეებზეა ყურადღება გამახვილებული. ეს ერთგვარ რედუქციონიზმად მიმაჩნია. ჩემი აზრით, **თუკი გვსურს, ხალხური რელიგიის უფრო სიღრმისეული ანალიზი, უნდა გავცდეთ მხოლოდ საკრალური ადგილებისა და სივრცეების იზოლირებულ ანალიზს და ყურადღება გავამახვილოთ ყოველდღიურ სივრცეზე, რომელშიც საკრალური სივრცე შემოდის.** გირცის სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა, დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ, თუ როგორ სცდება „რიტუალის სამყარო“ საკრალური სივრცის ტერიტორიას. საჭიროა იმ მომენტების გამოკვეთა, როდესაც საკრალურ სივრცეში მიღებული გამოცდილებები (რიტუალი ხომ ყოველთვის საკრალურ სივრცეში ტარდება) ზეგავლენას ახდენენ ინდივიდთა ემპირიულად დაკვირვებად მოქმედებებზე ყოველდღიურ სივრცეში.<sup>46</sup>

გარდა ამისა, უაღრესად საინტერესო იქნება ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც ახსნიდა ადგილობრივების „ერთგულებას“ ტრადიციული სალოცავების მიმართ და, ამავე დროს, მათ მიერ ქრისტიანული რელიგიის „ოფიციალური“ ელემენტების ინტეგრირებას ტრადიციულ რწმენებში (ეკლესიაში სიარული ჯვარ-სალოცავების მოლოცვის პარალელურად, მართლმადიდებლური ლოცვანების შეტანა სალოცავის ტერიტორიაზე და ტრადიციული რიტუალის „გამდიდრება“ ახალი ელემენტებით და სხვ.).

46 სწორედ ეს არის კისტანის შესახებ ჩემი დაგეგმილი ნაშრომის მთავარი ფოკუსი. კონკრეტული მაგალითისთვის, რომელიც ნათელყოფს, თუ რა იგულისხმება ამ ზოგად დებულებაში იხ. გ. თავაძე, „შატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“, გვ. 48-49.

რა მხრივ შეიძლება იყოს სასარგებლო ხალხური რელიგიის შესწავლა **პრაქტიკულ ჭრილში**? პირველ რიგში, ასეთი კვლევა სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ის საშუალებას გვაძლევს, გავცდეთ სტერეოტიპულ და ზედაპირულ წარმოდგენებს („ყველაფერი ეს წარმართობაა“, „ეს ბარბაროსულია“, „პრიმიტიულია“ და ა.შ.<sup>47</sup>) და **სიღრმისეულად** ვწვდეთ ადგილობრივთა სულიერ სამყაროს; გავიგოთ მათი საფუძველმდებარე რწმენები; თვალნათლივ დავინახოთ ის მომენტები, როდესაც „რიტუალის სამყაროდან“ მომდინარე რწმენები და შეხედულებები ადგილობრივთა ყოველდღიურ შეხედულებებსა და მოქმედებებს განსაზღვრავენ. ეს კი სასულიერო პირებს ინტერაქციის ადეკვატური მოდელებისა და კონფლიქტების თავიდან არიდების ეფექტური მექანიზმების შემუშავების საშუალებას მისცემს. ვიდრე დიალოგს დავინწყებდეთ, ჯერ გაგების სურვილი უნდა არსებობდეს (წინააღმდეგ შემთხვევაში დიალოგი, უბრალოდ, ვერ შედგება). კულტურის ანთროპოლოგიას შეუძლია, მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი „გაგებას“ და ამით, დიალოგსაც. ამრიგად, გამოყენებითი ანთროპოლოგიის სფეროში კულტურის ანთროპოლოგია, შესაძლოა, საკმაოდ სასარგებლო აღმოჩნდეს რელიგიისთვის.

---

47 ასეთი შეხედულებების მქონეთ, შევასხენებდი, რომ ანთროპოლოგიამ ასეთი მიდგომა ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში გადალახა. ე. წ. „პრიმიტიულ“ კულტურებს ანთროპოლოგიის უმნიშვნელოვანესმა წარმომადგენლებმა საკმაოდ სქელტანიანი ტომები მიუძღვნეს და დასავლეთს აჩვენეს, რომ „პრიმიტიული“ კულტურები სინამდვილეში არც ისე პრიმიტიულები ყოფილან, როგორც ეს მიაჩნდათ XIX საუკუნეში.



## სახელთა საძიებელი

- აბელი ბიბლ. 96  
აიალა, ფ. ს. 9, 63-88  
აინშტაინი, ა. 42, 46-47, 49, 51, 53  
ანაქსაგორა კლადომენელი 68-69  
არისტოტელე 45  
ბარდაველიძე, ვ. 148  
ბაქლენდი, უ. 73  
ბელი, ჩ. 73  
ბარი, ს. 9, 38-60  
ბიჰი, მ. 73-74  
ბოიერი, პ. 115-119  
ბოურდი, ე. 53  
ბრეგვაძე, ბ. 69  
გიორცი, კ. 110-115, 122-123, 133, 135-143, 145, 150  
გოულდი, ს. ჯ. 15, 23  
გრონდენი, ფ. 132, 149  
გუთი, ა. 53  
დამასუსი 98  
დარვინი, ჩ. 63-65, 73, 75-76, 87  
დემბსკი, უ. 73  
დიკენსი, ჩ. 56  
დიოგენე აპოლონიელი 68  
დიუვი, ქ. დე 23  
დიურკემი, ე. 137  
ეგერთონი, ფ. პ. 72  
ედინგტონი, ა. 47  
ეთრენი, ს. 115-119  
ეთქინსი, პ. 24  
ვანდერკამი, ჯ. 9, 91-108  
ვებერი, მ. 113  
ვილენკინი, ა. 53  
ვოლტერი 70  
თავაძე, გ. 10, 131-151  
თერნერი, ვ. 125-126  
თოლმენი, რ. 50, 55  
თომა აქვინელი 39-40, 66  
თუროქი, ნ. 54  
იერონიმე 98  
იესო ქრისტე 17  
იოანე დამასკელი 69  
კაენი ბიბლ. 96  
კორსე, ქ. დე 109  
კრუზი, პ. დე 131  
ლაბუჩიძე-ხოფერია, დ. 137, 149  
ლამეტრი, ფ. 47  
ლევე-სტროსი, კ. 114, 122  
ლინდე, ა. 52, 54  
ლიჩი, ე. 124  
მაიერი, ს. 73  
მალინოვსკი, ბ. 122  
მალენი, ჯ. თ. 22  
მილერი, ბ. 134  
მილერი, პ. 73  
მილი, ჯ. ს. 22  
მიჯლი, მ. 11-12  
მორი, პ. 70  
მური, ო. 88  
ნერსტი, ვ. 46  
ნეტარი ავგუსტინე 41-43, 48, 62, 66, 69

ნიუტონი, ი. 42, 45

ოჩიაური, თ. 148

პარსონსი, ტ. 138

პელი, უ. 66-67, 69, 71-72

პენზიასი, ა. 48

პლატონი 45, 67, 69

პტოლემე II ფილადელფოსი 94

ჟიზელი, პ. 149

რაიტი, რ. 22

რეი, ჯ. 70-71

რილანდი, ჯ. 94-95

როლსტონი, პ. 15

სენდვი, პ. 129

სიმფსონი, ჯ. გ. 23

სკუპინი, რ. 109

სოკრატე 69

სტენმარკი, მ. 9, 11-36, 131

ტაილორი, ე. ბ. 110, 119-120,  
134

უაითჰაუზი, პ. 124-125

უილსონი, ე.ო. 16

უილსონი, რ. უ. 48

ფერქინი, დ. 112-113

ფიქოქი, ა. 88

ფრეზერი, ჯ. 119-120

ფრიდმანი, ა. 47

ფუად I 95

ქოლინგსი, პ. 134

ქონვეი მორისი, ს. 23

შექსპირი, უ. 44

შილსი, ე. 138

შტაინჰარდტი, ფ. ჯ. 54

შუტცი, ა. 141

ციცერონი, მარკუს ტულიუს 69

ჰაბლი, ე. 47

ჰერისი, მ. 128

ჰიუმესონი, მ. ლ. 47

ჰუკი, რ. 70

Aitken, G. M. 80, 89

Alexander, J. C. 136

Anderson, J. F. 39, 61-62

Aquinas, T. 39-40, 61-62, 66, 89

Atkins, P. 24, 37

Atran, S. 115

Augustine 41, 43, 61, 66, 89

Avise, J. C. 78, 89

Ayala, F. J. 63, 74, 88-89

Barr, S. M. 38, 62

Behe, M. 74

Berliner, D. 113

Bettles, G. 123

Birx, H. J. 133, 135

Borde, A. 53, 61

Boyer, P. 115

Brauer, M. J. 74, 89

Brumbaugh, D. R. 74, 89

Brush, S. G. 48, 61

Carroll, S. B. 76, 89

Chapman, S. B. 91

Clayton, P. 37

Collings, P. 133-135

Conway Morris, S. 23, 37

Cooper, J. M. 90

სახელთა საძიებელი

- Cornwell, J. 24, 37
- Darwin, Ch. 75, 89
- Dawkins, R. 37
- DeCorse, C. R. 109
- De Cruz, H. 132
- Dembski, W. 74, 90
- Denziger, H. 41, 61
- Dyson, R. 66, 89
- D'Agostino, S. L. 77, 90
- Edwards, P. 71, 90
- Frazer, J. 120
- Geertz, C. 111-112, 114, 136-138
- Gilson, E. 40, 61
- Goody, J. 128
- Gould, S. J. 16, 23, 37
- Grondin, J. 132
- Guth, A. G. 53, 61
- Harris, M. 129
- Harrison, P. 24, 37
- Hawking, S. 57, 61
- Hoekstra, H. E. 77, 90
- Hooke, R. 70, 89
- Jastrow, R. 46, 61
- Jones, R. R. 135
- Kirk, G. K. 68, 89
- Knapp, S. 37
- Lansing, J. S. 114
- Leach, E. 124
- Lévi-Strauss, C. 122
- Malinowski, B. 122
- Mateos, M. 78, 90
- McGee, R. G. 114
- Meyer, S. C. 80, 90
- Midgley, M. 12, 37
- Miller, B. 113, 121, 123, 126, 129, 133-135
- Miller, K. R. 74, 90
- Misner, Ch. W. 54, 61
- Mlodinow, L. 57, 61
- Mullen, J. T. 23, 37
- Nachman, M. W. 77, 90
- Norton, M. 136
- Padgett, A. G. 11, 38, 63
- Paley, W. 67, 71, 90
- Parkin, D. 113
- Peacocke, A. 37, 88, 90
- Pennock, R. T. 74, 89-90
- Perakh, M. 74, 90
- Plato 90
- Raven, J. E. 68, 89
- Ray, J. 70, 90
- Reznick, D. N. 78, 90
- Richardson, W. M. 37
- Rickaby, J. J. 66, 89
- Robben, A. C. G. M. 146
- Rolston, H. 15, 37
- Ruse, M. 74, 90
- Ryan, J. K. 41, 61
- Sanday, P. 129
- Sarro, R. 113
- Schofield, M. 68, 89
- Schönmetzer, A. 41, 61
- Scupin, R. 109
- Shook, I. K. 41, 61
- Silk, J. 50, 61
- Sluka, J. A. 146
- Smith, P. 136

Sobel, E. 123  
Springer, M. S. 78, 90  
Steinhardt, P. J. 55, 61  
Stenmark, M. 11, 25, 37  
Stump, J. B. 11, 38, 63  
Sweeney, M. A. 91

Thorne, K. S. 54, 61  
Torrey, N. L. 71, 90  
Trondman, M. 136  
Turner, V. 125  
Turok, N. 55, 61  
Tuite, K. 147

Tylor, E. B. 119, 134

Vanderkam, J. C. 91  
Vet, T. A. de 114  
Vilenkin, A. 53, 61

Warms, R. L. 114  
Wheeler, J. A. 54, 61  
Whitehouse, H. 125  
Wildman, W. J. 37  
Wilson, E. O. 16, 37  
Wright, R. 22, 37

## ცნობათა საძიებელი

- ადაპტაცია 64-65, 75, 77-78,  
80, 85
- ადგილი, 146-147, 149,  
საკრალური 126, 146, 148,  
150
- ათენგენობა 148
- ამონახსნი, დე სიტერის 51, 53-  
54
- ანალიზი, ადგილების და  
სივრცეების 150, რელიგიის  
9, 143, 145, 149-150,  
კულტურის 114
- ანთროპოლოგია,  
ბიოლოგიური/ფიზიკური  
133, ევოლუციური  
10, კოგნიტური 115,  
კულტურის/კულტურული  
7, 9-10, 109, 131, 133-134,  
147, 149, 151, ლინგვისტური  
133, რელიგიის 110, 129,  
პრაქტიკული/გამოყენებითი  
133, 151, სიმბოლური  
129, სოციალური 133,  
სოციოკულტურული 133
- ანტი-ნაწილაკი 57
- არქეოლოგია 133
- ატომი, 51 თავდაპირველი 47
- ახალი აღთქმა 94
- ბიბლია 45, 91-106, 108
- გადარჩევა, ბუნებრივი 64-65,  
74-76, 78-81, 84-85, 87, 116
- გადმოცემა, საკრალური 111-  
112, 114, 121-122, 129
- განტოლება, აინშტაინის 46-47,  
49, 51, 53
- გენეტიკა 75
- გეოგრაფია, ფილოსოფიური  
146
- გრაგნილები, მკვდარი ზღვის  
(კუმრანის) 99-100, 102
- გრაფიტაცია 46, 49
- დარვინიზმი 88
- დასტური 148
- დემიურგი 45, 67
- დეტერმინიზმი 81
- დიდი აფეთქება 47-55
- დიდი შეკუმშვა 49
- დივერსიფიკაცია, ევოლუციური  
75
- დრო 39-46, 48-54, 57-60, 62,  
68, 75-78, 123, 146
- ევოლუცია 75, 77-78, 80-81,  
83-85, 87, 116, გენეტიკური  
16, 75
- ეკოსისტემა 83
- ეთნოლოგია 133 იხ.  
ანთროპოლოგია, კულტურის  
ეთოსი 114, 135, 141, 144
- ელექტროდინამიკა, კვანტური  
57-58
- ელექტრონი 27, 57-59
- ენერგია, 42, 45-46, 51-52,  
57, ბნელი 49, 51-52,  
კინეტიკური 57
- ენტროპია 50, 54
- ეფექტი, გრაფიტაციის 49
- ველი, ელექტრული 57-58,  
ელექტრული არანულოვანი 57
- ვულგატა 98-99

- თარგუმი 99, 102  
 თეოლოგია 7, 20-21, 30, 34, ბუნებითი 71-73, სქოლასტიკური 39, ქრისტიანული 21, 38, 44, 84, 88  
 თეორემა, ბოჟრდ-გუთ-ვილენკინის 53-55, კვანტური ველის 56  
 თეორია, ბუნებრივი გადარჩევის 64, გრავიტაციის 42, 46, დარვინის 88, დიდი აფეთქების 26, 45, 47-48, ევოლუციის 22-23, 26, 68, 81, 88, კვანტური 57, კვანტური ველის 56, ფარდობითობის 42, 46-47, გონივრული ჩანაფიქრის შესახებ 63, 67-68, 73, 80-81, 84, 87-88  
 თეფილინი 102-103  
 ინდუიზმი 111  
 ინკულტურაცია 109-110  
 ინსტინქტი, რელიგიური 118  
 ინფლაცია, 51-53, ექსპონენციალური 54, მარადიული 49, 51-54  
 კანონი, თერმოდინამიკის მეორე 50-51, 54-55, ენერჯის შენახვის 45-46, 57  
 კარნავალი 127-128  
 კვლევა, კროს-კულტურული 115-116  
 კოდექსი, ალექსანდრიის 95, ამბროსიუსის 98, ვატიკანის 95, სინაის 95  
 კოსმოლოგია 41  
 კულტი, ვიკას 121, ვუდუს 120  
 კულტურა 110, 113, 116, 133-136, 139, 144, იდეალური 147, „პრიმიტიული“ 151, რეალური 147  
 ლეგიტიმაცია, ვერტიკალური 7  
 მაგანძური 148  
 მაგია 119-121, იმიტაციური 120  
 მაგისტერიუმი, მეცნიერების 15, რელიგიის 16  
 მასორეტული ტექსტი 92-93, 95-98, 100, 104-105, 107-108  
 მატერია 42, 45-47, 49, 53, 58  
 მედროშე 148  
 მეზუზა 102-103  
 მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართება, დამოუკიდებლობის მოდელი 12, 15-16, 21, 24, კონკურენტული მოდელი 12, 24, კონტაქტის მოდელი 12, 24, 27  
 მეცნიერების მიზანი, ეპისტემოლოგიური 14, 18-19, 21, 131, ტექნოლოგიური 13-14, 131  
 მიდგომა, ფენომენოლოგიური 146  
 მიზეზობრიობა 39-44, 67, 69, 87, 115  
 მოდელი, კულტურის 137-138  
 მსოფლმხედველობა 7, 112-114, 141, 144, მეცნიერული 8, რელიგიური 112  
 მსხვერპლშენიერვა 128-129, 148  
 მუდმივა, კოსმოლოგიური 47, 49, 51-52  
 მუტაცია 76, 79-81  
 მღვდელი 130

ცნებათა საძიებელი

ნატურალიზმი 30,  
მეთოდოლოგიური 8, 131-  
132, 145, ონტოლოგიური/  
ფილოსოფიური 8, 131-132  
ნებელობა 44

ობიექტი, საკრალური 111  
ოპერატორი, ანიჰილატორი 56,  
შემოქმედი 56

პაპირუსი 458 – 95  
პეშიტა 98  
პირველმიზეზი 40, 44  
პოზიტრონი 57-59

რამაიანა 111  
რეგოლუცია, სამეცნიერო 7,  
სამრეწველო 7  
რელიგიის მიზანი,  
ეპისტემოლოგიური 17-19,  
21, 29, 31, 36, მორალური  
14, 131, სოტერიოლოგიური  
14, 17, 29, 131

რიტუალი, არაპერიოდული  
125, ინვერსიული 127-  
128, ინიციაციის 125-126,  
იუდაური 92, პერიოდული  
125, პილიგრიმოზის 126-127,  
რელიგიური 17, 109, 112,  
123-125, 128-130, 132, 137,  
141-142, 144, 146, 148-150,  
სასიცოცხლო ციკლის 125-126

სალოცავი/ხატი/ჯვარი 146-150  
სამარიტანული ხუთნიგნეული  
92, 96-97, 108

სამოთხე 22  
სამყარო, 9, 18, 23, 39-60,  
გარემომცველი 13, 25,  
გაფართოებადი 47, 53-

54, დაუსაბამო 40, დე  
სიტერის 54, ეკპიროტიკული  
54-55, ემპირიული 14-  
15, ექსპონენციალურად  
ზრდადი 51, ზეგრძნობადი  
8, მარადიული 47, 49, 51-  
55, მხტუნავი 48-50, 55,  
რიტუალის 142, 144, 150-  
151, სოციალური 13, 18-19,  
სტატიკური 47, უსასრულოდ  
შეკუმშვადი 54, ფიზიკური  
13, 18-19, 24, 26, 39, 42  
სეპტუაგინტა 92-94, 96-97, 100,  
107-108

სივრცე 39, 42-43, 45-  
48, 52, 55, 57-58, 117,  
საკრალური, 146, 148, 150,  
ყოველდღიური 146, 150  
სიმბოლო, 111, 113-114, 121,  
124, 135-137, 141, 144,  
რელიგიური 111-112, 114-  
115, 121, 124, 138-141, 143-  
145, 148, საკრალური 112,  
114, 124, 135, 139

სისტემა, არარედუცირებადად  
კომპლექსური 74,  
არასიმბოლური 138-  
139, 144, დახურული  
50, კონცეპტთა 113,  
კონცეფციების 136,  
კულტურის 135-136, 141,  
მნიშვნელობათა 114, 143,  
145, რელიგიური 135,  
148, რწმენის 82, 121,  
სიმბოლოების 111, 113,  
136-139, 144, სოციალურ-  
კულტურული 129-130,  
ფიზიკური 58

სიჩქარის წითელი წანაცვლება 53

- სტრუქტურალიზმი 114  
 სციენტისმი 24-27
- ფაქტი, სოციალური 137  
 ფილაქტერია 102  
 ფილოსოფია, 27, 63, 88,  
 მეცნიერების 7, 29, მორალის  
 11, რელიგიის 11  
 ფოტონი 51  
 ფსიქოლოგია, ევოლუციური 22-  
 23, ექსპერიმენტალური 116  
 ფუადის პაპირუსი 95  
 ფუნქციონალიზმი 122, 127, 138, 149
- ქმედება, კულტურული 137  
 ქრისტიანობა, ქრისტიანული  
 რწმენა 9-19, 21, 23, 25, 27-  
 30, 41, 86, 111, 149-150  
 ქურუმი 130
- ღმერთი/ღმერთები 7, 14, 17-  
 20, 23, 29-31, 33-34, 38-45,  
 66-71, 73, 81-88, 106-107,  
 109-110, 115. 117-118, 128-  
 129, 148-149
- შამანი 129-130  
 შემთხვევითობა 81  
 შემოტრიალება/გარდატეხა,  
 კულტურული 135  
 შესაქმე 38-43, 45, 56, 70, 107,  
 111  
 შექმნა, სამყაროთა კვანტური  
 56-60, წყვილთა 57
- ცვლილება, ევოლუციური 64,  
 75-76, 79, მემკვიდრეობითი  
 76, 81  
 ცოდვა, თავდაპირველი 22, 143  
 ცოდნა, საკრალური 129-130
- ძველი აღთქმა 9, 91-92, 94
- ხელოსანი 148  
 ხსნა 14-15, 17, 19, 25, 29-30,  
 131  
 ხუცესი 148
- ჰიპოთეზა, მეცნიერული 26, 29,  
 33, 65, 119, 140



